მ. მირიანაშვილი ლ. ვაშაკიძე ქ. თოფაძე

ქართული ენა

1

მასწავლებლის წიგნი

მ. მირიანაშვილი ქ. თოფაძე

ქართული ენა

I კლასი

მასწავლებლის წიგნი

საქართველოს მაცნე

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ქართული ენა – I კლასი

მასწავლებლის წიგნი

მ. მირიანაშვილი ქ. თოფაძე

რედაქტორი – ნანა სუხიტაშვილი
დამკაბადონებელი – ლია მოსეშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
მის: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5
ტელ: 568105467; 574 400 857
ელ.ფოსტა: saqmatsne@mail.ru, sakmacne@gmail.com
www.http://saqmatsne.ge

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018
© მ. მირიანაშვილი ქ. თოფაძე
გამოცემის წელი და რიგითობა 2003, 2009, 2011, 2018 წელი
ISBN 978-9941-16-564-1

სარჩევი

ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის სასწავლო კომპლექტის კონცეფცია (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) 4

1. ზოგადი ინფორმაცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის სასწავლო კომპლექტის შესახებ 5

2. სასწავლო კომპლექტით მუშაობის მიდგომები, მეთოდები და ხერხები
   2.1. ექვსი წლის ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები 7
   2.2. რამდენიმე რჩევა პირველადი სასკოლო სოციალური უნარ-ჩვევების გმომუშავებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის 7
   2.3. მეთოდის შესახებ 8

3. დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის სამუშაო რვეულის შესახებ
   3.1. სურათის აღწერა და სასაუბრო თემები 10
   3.2. მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხული ტექსტის დამუშავება და პატარა ლექსის დასწავლა კლასში 10
   3.3. ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სავარჯიშოები 12
   3.4. ასობგერითი მიმართებების განვითარებაზე მუშაობა 13
   3.5. სალექსიკონო ნაწილზე მუშაობა 14
   3.6. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება 15
   3.7. მოძრავი ანბანით მუშაობა 15
   3.8. საკითხავი სავარჯიშოები 16
   3.9. ძირითად ტექსტზე მუშაობა 17
   3.10. ძირითადი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სამუშაოები 18
   3.11. გრამატიკული კატეგორიების შესახებ 19
   3.12. ენობრივი სავარჯიშოები 20
   3.13. სავარჯიშოები შემეცნებითი (კოგნიტური) პროცესების გააქტიურებისათვის 20
   3.14. მოსწავლის რვეული 21
   3.15. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა 24
   3.16. მიზნობრივი თამაშები 25
   3.17. დიდაქტიკური მასალა 28

4. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი
   4.1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები 29
   4.2. საგნობრივი სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, პირველი კლასი 30
   4.3. რეკომენდაციები პირველკლასელთა შეფასებისათვის 35
   4.4. გაკვეთილების თემები, მიზნები და ესგ-ის სტანდარტის ინდიკატორებთან კავშირი. დამატებითი მასალები, რეკომენდაციები, სცენარები 41

5. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ
   5.1. გამჭოლი კომპეტენციები 182
   5.2. მეტაკოგნიცია 184
   5.3. სწავლება-სწავლის კოგნიტური სქემები 185

6. ინკლუზიური განათლების შესახებ 186
7. რეკომენდებული სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის სია 188

ქართული ენისა და ლიტერატურის I კლასის სასწავლო კომპლექტის კონცეფცია (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი)

პირველი კლასის სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა წერა-კითხვის სწავლება.

ჩვენს სასწავლო კომპლექტს საფუძვლად უდევს წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მეთოდი. წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მიდგომა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში. იგი არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტული ენის სპეციფიკას, არამედ წარმოადგენს შუალედურ მიდგომას ფონეტიკურ მეთოდებსა და მთლიანობით მეთოდებს შორის.

ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა აპრობაცია გაიარა 1995-1996 წლებში, 1997 წლიდან სახელმძღვანელო დაინერგა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგები შედარებული იქნა ტრადიციული მეთოდით მომუშავე კლასებთან. ამ მეთოდით სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა მოცემული მეთოდის ეფექტურობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სახელმძღვანელოს ფართოდ დანერგვა სკოლებში.

ამ მეთოდის საყრდენი კომპონენტებია:

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
  საშუალებები: სხვადასხვა ფონეტიკური ვარჯიშები და თამაშები;
- ასო-ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება;
  საშუალებები: ანბან-პლაკატი, მოძრავი ანბანი, ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამები;
- სიტყვის გრაფიკულ ხატზე დაკვირვება, თავასოს გამოყოფით;
  საშუალებები: მოსწავლის სახელმძღვანელოს ე.წ. სალექსიკონო გვერდი;
- კითხვის მოტივაციის ჩამოყალიბება;
  საშუალებები: მასწავლებლის მიერ კლასში საკითხავი ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები;
- კითხვაში გავარჯიშება კითხვის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით;
  საშუალებები: საანბანო პერიოდის მცირე ზომის ტექსტები, რომლებიც ერთ სიუჟეტურ ქარგაშია ჩართული; ანბანის შემდგომი სასწავლო ტექსტები; სხვადასხვა ტიპის საკითხავი სავარჯიშოები; დამოუკიდებლად საკითხავი მოთხრობები, სპეციალური სავარჯიშოების აპარატით;
- ბავშვის ლექსიკური მარაგის გაზრდა; ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების გააქტიურება-განვითარება;
  საშულებები: მოსწავლის სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსიკურ-ენობრივი სავარჯიშოები; შემეცნებით-სააზროვნო სავარჯიშოები;
- წერის ათვისება და წერითი მეტყველების განვითარება;
  საშუალებები: მოძრავი ანბანი, მოსწავლის რვეული, დაფა, ელექტრონული საგანმანათლებლო პროგრამები.

წერისა და კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

ჩვენი მეთოდის მიხედვით, პირველკლასელი მოსწავლე ჯერ სწავლობს ანბანს, იძენს კითხვის საწყის უნარ-ჩვევებს, ემზადება ბადიან რვეულში წერის დასაწყებად, ხოლო შემდეგ იწყებს ასოების, სიტყვების და წინადადებების წერას.

ვიდრე მოსწავლე დაიწყებდეს ბადიან რვეულში წერას, მან უკვე იცის ანბანი, შეუძლია მარტივი ტექსტის ამოკითხვა (რაც ხელს უწყობს გადაწერას და თავიდან აგვაცილებს გადახატვას); რვეულის I ნაწილის გავლის შემდეგ მოსწავლეს ნასწავლი აქვს კალმის ხელში სწორად ჭერა, სწორად ჯდომა, მომზადებული აქვს ხელის წვრილი მუსკულატურა, გაცნობიერებული აქვს შესასრულებელი დავალების სტრუქტურა (დღეს წერს მხოლოდ ამ გვერდს, დანარჩენი ხვალ, ზეგ და სხვა დროს არის შესასრულებელი). დაფიქსირებული აქვს წერის მიმართულება, მეტ-ნაკლებად გავარჯიშებულია სივრცითი მიმართებების დამყარებაში, გაუმჯობესებული აქვს თვალისა და ხელის კოორდინაცია; იცნობს ბადეს, შეუძლია დეტალების გადმოწერა და ა.შ. რაც, უდავოდ, ძალიან გაუადვილებს წერის ათვისებას, ბადიან რვეულში მუშაობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის პროცესს თავისი სპეციფიკა აქვს, ხოლო წერისას – თავისი. როდესაც მოსწავლე იწყებს კითხვას, რაც უფრო განსხვავებულ ასოებს ვაწვდით ერთმანეთის სიახლოვეს, მით უფრო ნაკლებად ხდება მათი აღრევა. ხოლო წერისას, რაც უფრო მსგავსია ასოები, მით უფრო ადვილია მათი წერა. წერისა და კითხვის გამიჯვნამ საშუალება მოგვცა ასოთა დალაგებისას გაგვეთვალისწინებინა ზემოთ აღნიშნული სპეციფიკა.

1. ზოგადი ინფორმაცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის სასწავლოკომპლექტის შესახებ

ძვირფასო მასწავლებლებო!

I კლასის საანბანო სახელმძღვანელოს – „ქართული ენის“ ავტორები გთავაზობენ სასწავლო კომპლექტს, რომელშიც შედის:

1. მასწავლებლის წიგნი;
2. მოსწავლის წიგნი – „ქართული ენა“;
1. მოსწავლის რვეული.

სასწავლო კომპლექტის თითოეული კომპონენტის ამომწურავად და სრულყოფილად გამოყენება საუკეთესო შედეგის მიღწევის საწინდარია. ამ საქმეში პედაგოგების მრჩველი და დამხმარე კი წინამდებარე მასწავლებლის წიგნი იქნება.

1. მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნი შედგება რვა თავისა და რამდენიმე ქვეთავისაგან.

I თავში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია სასწავლო კომპლექტის შესახებ. აქ მოკლედ არის აღწერილი მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი და მოსწავლის რვეული.

II თავში მოცემულია ავტორთა ხედვა და მიდგომები, I კლასში წერა-კითხვის სწალება-სწავლასთან დაკავშირებით; აგრეთვე ის, თუ რა მეთოდსა და ხერხებს ეყრდნობიან ავტორები. ამ თავს აქვს 3 ქვეთავი.

III თავი მთლიანად ეძღვნება მოსწავლის წიგნსა და რვეულში წარმოდგენილ სამუშაოებს. დეტალურად არის აღწერილი თითოეულ რუბრიკაზე მუშაობის მეთოდოლოგია. აქვე მოცემულია მიზნობრივი თამაშები. ამ თავს აქვს 16 ქვეთავი.

IV თავი მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილია. აქ მოთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, ესგ-ის სტანდარტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში –პირველი კლასისათვის, გაკვეთილების თემები, მიზნები, კავშირი ესგ-ის სტანდარტის ინდიკატორებთან, გაკვეთილების ჩატარებასთან დაკავშირებული დამატებითი ლიტერატურული და ენობრივი მასალა, გაკვეთილების სცენარები, დამატებითი რეკომენდაციები. ამ თავს აქვს 3 ქვეთავი.

V თავში წარმოდგენილია ავტორთა ხედვა გამჭოლ კომპეტენციებსა და მეტაკოგნიციის თაობაზე.

VI თავში თქვენ იხილავთ შეფასების შესახებ ინფორმაციას. აქ მოცემულია რეკომენდაციები განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებაზე; აქვე გთავაზობთ შეფასების კონკრეტულ ცხრილებს, რაც, ვფიქრობთ, კარგ სამსახურს გაუწევს მასწავლებლებს.

VII თავი ინკლუზიური განათლების საჭიროებებს ეძღვნება.

VIII თავში გაწვდით რეკომენდებული სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის სიას.

2. მოსწავლის წიგნი

მოსწავლის სახელმძღვანელო „ქართული ენა“ შედგება 4 ნაწილისაგან:

- **წინასაანბანო;**
- **საანბანო;**
- **კითხვის განმამტკიცებელი და წერის ათვისების;**
- **წერა-კითხვის განმამტკიცებელი**.

- **წინასაანბანო პერიოდი**

ეს ნაწილი წარმოდგენილია ნახატებით. ამ ნახატების შესატყვის სასწავლო ამოცანებს იხილავთ წინასაანბანო პერიოდის გაკვეთილების გეგმაში.

- **საანბანო პერიოდი**

ამ ნაწილში მოცემულია: I. ე.წ. სალექსიკონო გვერდები, სადაც წარმოდგენილია შესასწავლი ასოები; II. სავარჯიშოების გვერდები, სადაც მოცემულია საკითხავი, ლექსიკური და სხვადასხვა ტიპის სააზროვნო სავარჯიშოები. III. ძირითადი ტექსტები, რომლებიც საანბანო ნაწილის საერთო სიუჟეტურ ქარგას ქმნის.

- **კითხვის განმტკიცებისა და წერის ათვისების პერიოდი**

წიგნის ამ ნაწილში შეხვდებით შესასწავლ ტექსტებს თავისი სასწავლო ამოცანებით. ამ ნაწილს გასდევს საწერი ბადე თავისი ნიმუშებით, რაც ეხმარება მოსწავლეს დაამყაროს მიმართება სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულს შორის.

- **წერა-კითხვის განმტკიცების პერიოდი**

წიგნის ამ ნაწილში წარმოდგენილია სასწავლო ტექსტები და სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები.

3. მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეული განკუთვნილია მხოლოდ კლასში მუშაობისათვის და ინახება კლასში.

მოსწავლის რვეული შედგება სამი ნაწილისაგან:

• პირველი ნაწილის მასალა ითვალისწინებს სავარჯიშოებს ფონოლოგიური ცნობიერების, კითხვის საწყისი უნარ-ჩვევებისა და მოტორიკის განვითარებისათვის.

• მეორე ნაწილის მასალა ითვალისწინებს სავარჯიშოებს კითხვის განმტკიცებისა და ბადეში ასოების, სიტყვებისა და მარტივი წინადადებების წერის ათვისებისათვის.

• ბადეში ასოების წერის ათვისების შემდეგ საშუალება გვეძლევა, წერის უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე ვიმუშაოთ. მესამე ნაწილის მასალა ითვალისწინებს სავარჯიშოებს დამოუკიდებელი წერითი მეტყველების უნარის განვითარებისა და დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.

4. მოსწავლის წიგნსა და რვეულში გამოყენებული პირობითი ნიშნები და სიმბოლოები

მოსწავლის წიგნსა და რვეულში გამოყენებულია შემდეგი პირობითი ნიშნები და სიმბოლოები:



5. თვალსაჩინო მასალა

წინასაანბანო და საანბანო პერიოდში გამოყენებული დამხმარე მასალა უნდა ემსახურებოდეს სწავლებისა და სწავლის მიზნების განხორციელებას.

მასწავლებლებს, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე, შექმნილი აქვთ ათასგვარი დამხმარე მასალა. მაგალითად: სიტყვების სკივრი, თოჯინები – დიალოგის წარმართვისათვის, ნიღბები – ზღაპრების გასათამაშებლად, სურათები – აღწერის მიზნით, სხვადასხვა ტიპის ბარათები და ა.შ. ზემოთ აღნიშნულ მასალას, რა თქმა უნდა, თავისი მეთოდური დანიშნულება აქვს, ეს ყოველივე მასწავლებლის არჩევანზე, კვალიფიკაციასა და შემოქმედებით მიდგომაზეა დამოკიდებული.

2. სასწავლო კომპლექტით მუშაობის მიდგომები, მეთოდები და ხერხები

2.1. ექვსი წლის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები

ბავშვმა რომ პირველი სასწავლო წლის სირთულეებს თავი გაართვას, მას სათანადო სასკოლო მზაობა უნდა ჰქონდეს. გონებრივი ფუნქციების მომწიფება, ემოციურ-სოციალური და ფიზიკური განვითარება ბავშვის სასკოლო მზაობის სამი აუცილებელი პირობაა.

6 წლის ასაკი სწორედ ის ხანაა, როდესაც ბავშვი ამ სამი კომპონენტის მიხედვით გარდამავალ მდგომარეობაში იმყოფება: ჯერ არ არის დაძლეული თამაშის მოთხოვნილება, მაგრამ უკვე გაჩნდა წესრიგის, დავალების შესრულების, გამიზნული ქმედების სურვილი. 6 წლის ბავშვს უკვე შეუძლია უფროს ადამიანზე ორიენტირება, მაგრამ იმავდროულად სრულიად არ აქვს განვითარებული ნებისყოფა. მას უჭირს სააზროვნო ამოცანაზე ხანგრძლივად ყურადღების შეჩერება, ამოცანის პირობის ბოლომდე გააზრება და დამახსოვრება. ის ვერ ითავისებს განზოგადებულად გამოთქმულ ისტრუქციებს.

6 წლის ბავშვის აზროვნება თვალსაჩინო და ხატოვანია. აზროვნების თვალსაჩინოება იმას ნიშნავს, რომ ბავშვი ხედავს, ამჩნევს და გაიაზრებს მოვლენისა თუ საგნის იმ თვისებებს, რომლებიც ნათლად, თვალსაჩინოდ ჩანს, ზედაპირზევეა მოცემული და განზოგადებას არ მოითხოვს.

ბავშვი შეიმეცნებს გარემოს თვალსაჩინო, ხატოვან ნიშნებს. ის ამგვარად აგროვებს უშუალო გამოცდილებას სამყაროს შესახებ. ეს გამოცდილება შემოინახება მის მეხსიერებაში. მეხსიერება კი ამ ასაკში მეტად აქტიურია. მეხსიერებაში შემონახული თვალსაჩინო შემეცნებითი გამოცდილება ეხმარება ბავშვს, ახალ სიტუაციებში შესატყვისი რეაგირება მოახდინოს. მაგრამ, თუ ჩვენ ბავშვს შევთავაზებთ მისი ამგვარი გამოცდილებისათვის შეუსაბამო სასწავლო მასალას, მაგალითად, არათვალსაჩინო მოვლენის სიტყვიერ ანალიზს, ამ ანალიზიდან გამომდინარე განზოგადებულ ცნებებს (როგორიც არის, ვთქვათ, გრამატიკული განმარტებები), მაშინ ბავშვი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. თავისი განვითარებით ის ჯერ არ არის მზად ამგვარი სასწავლო მასალის ასათვისებლად. ამ ასაკის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება ისაა, რომ ბავშვის აზროვნება „მოქმედებითია“. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ამ ასაკში პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს ხელით მოქმედებასა და ინტელექტის განვითარებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ასათვისებელ მასალას ბავშვი ყველაზე უკეთ გაიგებს და დაიმახსოვრებს მაშინ, როცა მას ხელით მოქმედების საშუალებას მივცემთ.

6 წლის ბავშვს საკმაოდ კარგად აქვს განვითარებული მეტყველება, მას შეუძლია საკუთარი განცდების, ფიქრების, მოგონებების გამოხატვა სიტყვებით. მაგრამ ამავე ასაკისთვის ისიც დამახასიათებელია, რომ ბავშვისთვის ენა „გამჭვირვალეა“, ე. ი. ის კი იყენებს ენას, მაგრამ ენის არსებობის ფაქტის დანახვა, ენის მოვლენის დაკვირვების საგნად გადაქცევა და განზოგადება არ შეუძლია.

2.2. რამდენიმე რჩევა პირველადი სასკოლო სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის

პირველადი სასკოლო და სოციალური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ჯერ კიდევ წინასაანბანო პერიოდში იწყება მუშაობა და იგი გრძელდება როგორც საანბანო პერიოდში, ასევე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

წინასაანბანო პერიოდიდანვე მასწავლებელი ასტრუქტურებს სასწავლო რეჟიმს – ყურადღებას ამახვილებინებს მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისსა და დასასრულზე, რაც ხშირ შემთხვევაში ზართან არის დაკავშირებული. ავტორთა ჯგუფი თვლის, რომ სასწავლო რეჟიმის არსებობა და მისი დაცვა ბავშვს ეხმარება დროის დასტრუქტურებაში, რაც მისთვის ასე იოლი არ არის. ამავე დროს უვითარებს მნიშვნელოვან სოციალურ ჩვევას – საქმის დაგეგმვის ჩვევას, მუშაობას წინასწარ განსაზღვრული რეჟიმით. მაგ.: ახლა კითხვის დროა, ახლა – დასვენების, ახლა – წერის. ეს ეხმარება ბავშვს თანდათან გადალახოს შინაგანი წინააღმდეგობა (მე ახლა არ მინდა წერა, კითხვა და ა.შ.). რა თქმა უნდა, რეჟიმის, დღის განრიგის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თავიდან ავიცილოთ მოსწავლის გადატვირთვა და გადაღლა.

სასკოლო რეჟიმის დასტრუქტურების მომდევნო ეტაპი გახლავთ გაკვეთილების ცხრილი. მოსწავლეს უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ერთი გაკვეთილის დაწყება-დამთავრება ნიშნავს ერთი ტიპის საქმის დაწყება-დამთავრებას. ამასთან, ამ საქმიანობის დროს საჭიროა შესაბამისი სასწავლო ნივთები. მოსწავლეს

ვიზუალურ დონეზე უნდა განვასხვავებინოთ სახელმძღვანელოები და შესაბამისი რვეულები, ალბომები, მოძრავი ანბანი და სხვა სასწავლო ნივთები.

მოსწავლეებს უნდა ვესაუბროთ დღის იმ ახალ რეჟიმზეც, რომელიც მათ მოსწავლედ გახდომას მოსდევს; დროულად გაიღვიძონ, ისაუზმონ, რათა არ დააგვიანონ სკოლაში, არ დარჩეთ სასკოლო ნივთები. სასრუველია, მშობელმა და მასწავლებელმა შეაჩვიონ მოსწავლე თავისი მოვალეობების დამოუკიდებლად შესრულებას.

მოსწავლის სასკოლო საქმიანობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საჭიროა შემდეგი სოციალური უნარ-ჩვევები: თანატოლებთან და მასწავლებლებთან ურთიერთობის დამყარების უნარი, მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, პასუხის გაცემის, დავალების ჩაბარების, სხვისი მოსმენის უნარი.

პასუხის გაცემის, დავალების დასრულების შემთხვევაში ტრადიციულად იყენებენ ხელის აწევას. შესაძლოა, გამოვიყენოთ ფერად-ფერადი ალმების აწევა, რომელთაც თავ-თავისი დანიშნულება ექნებათ. ამით ნელ-ნელა თავიდან ავიცილებთ წამოძახებას, რითაც მოსწავლეები ცდილობენ ყურადღების მიქცევას.

აღსანიშნავია, რომ შეთავაზებული სისტემა მასწავლებლის მიერ პირუთვნელად უნდა იყოს დაცული, ყურადღება თანაბრად უნდა გადანაწილდეს ბავშვებზე.

აღზრდის პროცესში ხშირად მოგვიწევს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი საქციელის შეფასება – საქციელის და არა თავად ბავშვის, ცუდია ან კარგი ესა თუ ის საქციელი და არა ესა თუ ის მოსწავლე. კონკრეტული მოსწავლის ხშირი შეფასება კლასში იწვევს არასწორ სოციალურ დიფერენცირებას, მოსწავლეთა შინაგან პროტესტს, ხშირად საპირისპირო რეაქციასაც. იგი მით უფრო მძაფრდება, თუ ერთის უარყოფით საქციელს ხშირად ვუპირისპირებთ მეორის დადებით ქცევას. დადებითი მაგალითის მიბაძვის სურვილი კი უფრო მაშინ ჩნდება, თუ კარგი ზოგადად არის შექებული და წახალისებული.

2.3. მეთოდის შესახებ

პირველი კლასის სწავლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა წერა-კითხვის სწავლება.

ჩვენს სასწავლო კომპლექტს საფუძვლად უდევს წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მეთოდი. წერა-კითხვის სწავლების დაბალანსებული მიდგომა ფართოდაა გავრცელბული მსოფლიოში. იგი არ უკავშირდება რომელიმე კონკრეტული ენის სპეციფიკას, არამედ წარმოადგენს შუალედურ მიდგომას ფონეტიკურ მეთოდებსა და მთლიანობით მეთოდებს შორის.

ავტორთა ჯგუფის მიერ შემუშავებულმა მეთოდმა აპრობაცია გაიარა 1995-1996 წლებში, 1997 წლიდან სახელმძღვანელო დაინერგა როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. შედეგები შედარებული იქნა ტრადიციული მეთოდით მომუშავე კლასებთან. ამ მეთოდით სწავლების მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა მოცემული მეთოდის ეფექტურობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა სახელმძღვანელოს ფართოდ დანერგვა სკოლებში.

ამ მეთოდის საყრდენი კომპონენტებია:

- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
  საშუალებები: სხვადასხვა ფონეტიკური ვარჯიშები და თამაშები;
- ასო-ბგერითი მიმართების ჩამოყალიბება;
  საშუალებები: ანბან-პლაკატი, მოძრავი ანბანი;
- სიტყვის გრაფიკულ ხატზე დაკვირვება, თავასოს გამოყოფით;
  საშუალებები: მოსწავლის სახელმძღვანელოს ე.წ. სალექსიკონო გვერდი;
- კითხვის მოტივაციის ჩამოყალიბება;
  საშუალებები: მასწავლებლის მიერ კლასში საკითხავი ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები;
- კითხვაში გავარჯიშება კითხვის სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით;
  საშუალებები: საანბანო პერიოდის მცირე ზომის ტექსტები, რომლებიც ერთ სიუჟეტურ ქარგაშია ჩართული; ანბანის შემდეგომი სასწავლო ტექსტები; სხვადასხვა ტიპის საკითხავი სავარჯიშოები; დამოუკიდებლად საკითხავი მოთხრობები სპეციალური სავარჯიშოების აპარატით;
- ბავშვის ლექსიკური მარაგის გაზრდა; ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების გააქტიურება-განვითარება;
  საშულებები: მოსწავლის სახელმძღვანელოში შეტანილი ლექსიკურ-ენობრივი სავარჯიშოები; შემეცნებით-სააზროვნო სავარჯიშოები;
- წერის ათვისება და წერითი მეტყველების განვითარება;
  საშუალებები: მოსწავლის რვეული, დაფა.

წერისა და კითხვის სწავლებასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

ჩვენი მეთოდის მიხედვით, პირველკლასელი მოსწავლე ჯერ სწავლობს ანბანს, იძენს კითხვის საწყის უნარ-ჩვევებს, ემზადება ბადიან რვეულში წერის დასაწყებად, ხოლო შემდეგ იწყებს ასოების, სიტყვებისა და წინადადებების წერას.

ვიდრე მოსწავლე დაიწყებდეს ბადიან რვეულში წერას, მან უკვე იცის ანბანი, შეუძლია მარტივი ტექსტის ამოკითხვა (რაც ხელს უწყობს გადაწერას და თავიდან აგვაცილებს გადახატვას); რვეულის I ნაწილის გავლის შემდეგ მოსწავლეს ნასწავლი აქვს კალმის ხელში სწორად ჭერა, სწორად ჯდომა, მომზადებული აქვს ხელის წვრილი მუსკულატურა, გაცნობიერებული აქვს შესასრულებელი დავალების სტრუქტურა (დღეს წერს მხოლოდ ამ გვერდს, დანარჩენი ხვალ, ზეგ და სხვა დროს არის შესასრულებელი). დაფიქსირებული აქვს წერის მიმართულება, მეტ-ნაკლებად გავარჯიშებულია სივრცითი მიმართებების დამყარებაში, გაუმჯობესებული აქვს თვალისა და ხელის კოორდინაცია; იცნობს ბადეს, შეუძლია დეტალების გადმოწერა და ა.შ. რაც, უდავოდ, ძალიან გაუადვილებს წერის ათვისებას, ბადიან რვეულში მუშაობას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კითხვის პროცესს თავისი სპეციფიკა აქვს, ხოლო წერისას – თავისი. როდესაც მოსწავლე იწყებს კითხვას, რაც უფრო განსხვავებულ ასოებს ვაწვდით ერთმანეთის სიახლოვეს, მით უფრო ნაკლებად ხდება მათი აღრევა. ხოლო წერისას, რაც უფრო მსგავსია ასოები, მით უფრო ადვილია მათი წერა. წერისა და კითხვის გამიჯვნამ საშუალება მოგვცა ასოთა დალაგებისას გაგვეთვალისწინებინა ზემოთ აღნიშნული სპეციფიკა.

შემდეგ თავში დეტალურად ვისაუბრებთ მეთოდის თითოეული საყრდენი კომპონენტის შესახებ.

3. დეტალური კომენტარები მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის შესახებ

3.1. სურათის აღწერა და სასაუბრო თემები

სასაუბრო თემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წინასაანბანო პერიოდში. ორი კვირა ბავშვისათვის სასკოლო გარემოსთან შეჩვევის პერიოდია. ამ ეტაპზე სასაუბრო თემატიკა აახლოებს მოსწავლეს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან; აძლევს მას თვითგამოხატვის საშუალებას ისე, რომ, არა აქვს შეცდომის დაშვების შიში; ნელ-ნელა ერთვება სასკოლო მუშაობაში. ამავე დროს, მასწავლებელი პირველკლასელებს ასწავლის სასკოლო ჩვევებს: ყურადღებით მოუსმინონ შეკითხვას, ყური დაუგდონ სხვის საუბარს, დაელოდონ თავის რიგს, დაიცვან მასწავლებლის მითითებები. ამგვარი ელემენტარული ჩვევების გარეშე შეუძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა. სასაუბრო თემები ისეა შერჩეული, რომ ბავშვისათვის ახლობელია. ამოსავალია მისი პიროვნული „მე“.

სწავლის დაწყება ახალ სოციალურ და სასკოლო ამოცანებს უყენებს ბავშვს. აქედან გამომდინარე, ნახატებიცა და თემებიც შესაბამისად იქნა შერჩეული: „ვემზადებით სკოლისათვის“, „ჩვენი საკლასო ოთახი“, „ჩვენი გაკვეთილები“, „ჩვენი სახელმძღვანელო“.

სურათის აღწერისას პრინციპად უნდა ავიღოთ – მთელიდან დეტალისაკენ სვლა. ჯერ უნდა განისაზღვროს ნახატის თემა. მოსწავლეებს საშუალება უნდა მივცეთ თავად აღწერონ სურათი, მასწავლებელმა მხოლოდ დამხმარე კითხვები უნდა დაუსვას. სასურველია ყურადღება გავამახვილოთ ყველა დეტალზე: პერსონაჟებზე, მოქმედებებზე, გარემოებაზე, საგნებსა და სივრცით მიმართებებზე. ცენტრალური ნახატის ირგვლივ განლაგეული საგნები კლასიფიკაციისა და სივრცითი მიმართებების ამოცანას ემსახურება.

აუცილებელია, სურათი გამოვიყენოთ სივრცითი მიმართებების დასაფიქსირებლად: რომელი საგანი რომლის წინ, რომლის უკან, რომლის ზევით, რომლის ქვევით, რომლის მარჯვნივ და მარცხნივ მდებარეობს.

ჩვენ მიერ შერჩეული სურათების აღწერა და მათთან დაკავშირებული სასაუბრო თემები ხელს უწყობს მეტყველებით აქტივობას, ყურადღების გავარჯიშებას, სივრცითი მიმართებების დამყარებას, კლასიფიკაციის განვითარებას.

3.2. მასწავლებლის მიერ კლასში წაკითხული ტექსტის დამუშავება და პატარა ლექსის დასწავლა კლასში

პირველ კლასში მშობლიური ენის სწავლების მეთოდიკაში ტრადიციულად დიდი ადგილი უჭირავს მასწავლებლის მიერ პროზაული ტექსტების წაკითხვას, კითხვებით დამუშავებას და პატარა ლექსების კლასში დასწავლას. აღნიშნული სამუშაოს მიზანია:

- სასწავლო და კითხვის მოტივაციის განვითარება;
- ბავშვის ცნობისმოყვარეობისა და ახლის ცოდნის შეძენის სურვილის დაკმაყოფილება;
- საკუთარი აზრის გამოხატვისა და სხვათა წინაშე წარდგომის ჩვევების გამომუშავება;
- კლასის საერთო საქმიანობაში ბავშვის ჩართვა და სოციალური ადაპტაციისათვის ხელშეწყობა;
- ბავშვის აქტივობის, მისი ინტერესების მიზანმიმართული წარმართვა;
- მთლიანი შინაარსიდან ნაწილების გამოცალკევებისა და შემდგომ მთლიან შინაარსად შეკვრის ჩვევების გამომუშავება;
- მეხსიერების გავარჯიშება და ლექსიკის გამდიდრება.

მასწავლებლის მიერ ტექსტის წაკითხვა-დამუშავება, კლასში ლექსის დასწავლა, ძირითადად, წინასაანბანო და საანბანო პერიოდების განმავლობაში ხდება.

პროზაულ ტექსტზე მუშაობის მეთოდები

თავდაპირველად, მასწავლებელი უკითხავს ბავშვებს მოთხრობას ბუნებრივი ტემპითა და ინტონაციით. თავს არიდებს ინტონაციაში ხელოვნურ აქცენტებს.

წინა საანბანო პერიოდის განმავლობაში მასწავლებელი თავად იწყებს წაკითხულის თხრობას და ამ პროცესში რთავს კლასსაც შესაბამისი კითხვებით (მერე რა მოხდა? მერე რა გააკეთა? მერე რა დაინახა? და ა.შ.). ამით იგი აჩვევს ბავშვებს შინაარსის თანმიმდევრობის აღქმას, მოსმენილიდან გარკვეული ეპიზოდების გახსენებას. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მასწავლებელი აქტიურადაა ჩართული კითხვა-პასუხის

პროცესში, ეხმარება ბავშვებს, აზუსტებინებს აზრს, უსწორებს და უქმნის განწყობას, რომ ეს ყოველივე მოსწავლეებმა თავად გაიხსენეს და უპასუხეს.

ამასთან ერთად, ბავშვებს უნდა მივცეთ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის საშუალებაც. რა მოეწონათ? რა არ მოეწონათ? ვინ როგორია? რას ფიქრობენ მომხდარის შესახებ და ა.შ. ბავშვს ხშირად ესა თუ ის ამბავი ასოციაციით რაიმე სხვა ამბავს ახსენებს. შედარებით აქტიურ მოსწავლეებს უჩნდებათ სურვილი ამ ამბის მოყოლისა. სხვამ შეიძლება მიბაძოს მეგობარს, თავადაც გაიხსენოს რამე ან სულაც გამოიგონოს. რა თქმა უნდა, არასასურველია მოსწავლეთა აქტიურობის დათრგუნვა, მაგრამ ამ პროცესის ნებაზე მიშვებაც შეუძლებელია. სწავლის პროცესი ძალაუნებურად შეიცავს აკრძალვების სისტემასაც. თითოეული აკრძალვა უნდა იყოს არგუმენტირებული და მისი დადებითი შედეგებით გამყარებული. ამიტომ ამ შემთხვევაში ბავშვებს უნდა დავანახოთ, რომ მათი ზედმეტი აქტიურობის გამო სხვა მოსწავლეს არ მიეცა საშუალება, თავისი აზრი გამოეხატა ძირითად სასაუბრო თემასთან დაკავშირებით. ვუთხრათ ბავშვებს, რომ დასვენებაზე მეგობრები და თავად მასწავლებელიც სიამოვნებით მოუსმენენ მას. თუკი ბავშვს რაღაცის მოყოლის ძლიერი მოტივაცია გააჩნია, იქნებ მართლაც მოვუსმინოთ მას დასვენებაზე. უფრო ხშირად კი პატარებს დაავიწყდებათ სათქმელი, განსაკუთრებით მათ, ვინც ცდილობდა იქვე რაიმეს გამოგონებას და დასვენებაზე თავის აქტივობას თამაშისაკენ წარმართავს. ასე ნელ-ნელა მოსწავლეები ეჩვევიან გარკვეული კონკრეტული დავალების შესრულებას, წესრიგს, ერთმანეთის მოსმენას და ა.შ. თუკი ვამჩნევთ, რომ რომელიმე ბავშვი ზედმეტ აქტიურობას ამჟღავნებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კითხვების უმრავლესობაზე მან გვიპასუხოს, დავავალოთ მას შეფასების მოხდენა – აბა, ამან მიპასუხოს, შენ ყური დაუგდე და მითხარი, რამე ხომ არ გამორჩა. ამით მის აქტიურობას ჩვენთვის სასურველ მიმართულებას მივცემთ. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ მთელი კლასი ჩართოს სასწავლო პროცესში, ვინც პასიურია, ნელ-ნელა, მარტივი კითხვებით, რომელიც თავის თავშივე შეიცავს პასუხს, ჩააბას მუშაობაში.

ტექსტის წაკითხვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლექსიკურ სამუშაოს. მასწავლებელმა ისე უნდა შეარჩიოს წასაკითხი ტექსტი, რომ იგი არ იყოს გადატვირთული ბავშვისთვის უცნობი ლექსიკით. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი ფლობს მინიმალურ ლექსიკურ მარაგს, ამიტომ ზოგჯერ ჩვენთვის, ერთი შეხედვით, სრულიად გასაგები სიტყვა შეიძლება ახსნას საჭიროებდეს. სიტყვის ახსნის პროცესში მისი მნიშვნელობის დაზუსტებისა და დამახსოვრებისათვის შეიძლება ასახსნელი სიტყვა სხვა ფრაზებშიც გავაცოცხლოთ, მოვიყვანოთ მაგალითები. იქ, სადაც ეს შესაძლებელია, გამოვიყენოთ სინონიმური თუ ანტონიმური ფორმები ან კლასიფიკაციის სისტემა. მაგ., ტექსტში შეგვხვდა „მელიის ცინდალი“. გარდა ახსნისა, აქ შესაძლებელია გავიხსენოთ და ზოგ შემთხვევაში დავასწავლოთ ბავშვებს, რის ნაშიერს რა ჰქვია. ან შეგვხვდა სიტყვა „უკეთური“, ე. ი. ვინც სიკეთეს არ აკეთებს, ავი, ბოროტი, ცუდი. აქვე შეიძლება ანტონიმური წყვილები გამოვიყენოთ – კეთილი, კარგი.

წინასაანბანო პერიოდი, დროის თვალსაზრისით, იმის საშუალებას იძლევა, რომ დამუშავების პროცესში „დაშლილი“ ტექსტი ისევ გავამთლიანოთ. „აბა, ვნახოთ, ხომ არაფერი გამოგვრჩა“? – ითქვას და კიდევ ერთხელ წავიკითხოთ, ე. ი. მთლიანიდან შინაარსის თანამიმდევრობის დაცვით, კითხვების საშუალებით გამოვყოფთ ნაწილებს. შემდეგ ამ ნაწილებს ისევ ვამთლიანებთ ხელმეორედ წაკითხვის გზით.

ამგვარად დამუშავებული ტექსტი ძირითადი კითხვებით უნდა გავახსენოთ ბავშვებს მეორე დღესაც.

ამდენად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ წინასაანბანო პერიოდში მასწავლებლის მიერ წაკითხულ ტექსტზე მუშაობის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა;
- ლექსიკური ანალიზი;
- ტექსტის გახსენება ნაწილობრივ მასწავლებლის თხრობისა და ნაწილობრივ კითხვების საშუალებით; მოგვიანებით კი – მხოლოდ კითხვების საშუალებით;
- კითხვებით ტექსტის დამუშავების შემდეგ მასალის კიდევ ერთხელ წაკითხვა;
- მთელი კლასის ჩართვა მუშაობაში.

- მოსწავლეების აქტივობის სწორი წარმართვა და დარეგულირება;
- ინტერესის, ემოციის აღძვრა, სწავლების მოტივაციის შექმნა;
- მომდევნო გაკვეთილზე წინა დღით წაკითხული მასალის აღდგენა.

ზემოთ განსაზღვრული პრინციპებიდან გამომდინარე, პროზაული ტექსტის დამუშავება შეიძლება მოხდეს შემდეგი ტიპისა და შინაარსის კითხვებით:

- შინაარსის თანმიმდევრობაზე მიმართული კითხვები (ამის მერე რა მოხდა? მერე რა ქნა? და ა.შ.);
- მთლიანი შინაარსის გაგებაზე მიმართული, პირადი დამოკიდებულებისა და ემოციების აღმძვრელი კითხვები (რა მოგეწონათ? ვინ როგორია? როგორ ფიქრობთ, რად მოხდა ასე?);
- კითხვები, რომლებიც საჭიროებს ერთმნიშვნელოვან პასუხებს;
- კლასიფიკაციასთან დაკავშირებული კითხვები.

ლექსის კლასში დასწავლა

არანაკლები მნიშვნელობა აქვს პატარა (1-2 სტრ.) ლექსის დასწავლას. აქ, მართალია, არ ხდება კითხვა-პასუხებით ჯგუფის ისეთი გააქტიურება, როგორც პროზაზე მუშაობის დროს, მაგრამ თვით დასწავლის პროცესში მთელი კლასი აქტიურადაა ჩართული. ამავე დროს, ლექსის შინაგანი რიტმი, რითმა დადებით ემოციებს აღძრავს ბავშვებში. ლექსის დასწავლა ააქტიურებს და ავითარებს მეხსიერებას, ამდიდრებს ლექსიკურ მარაგს.

მასწავლებელი თავდაპირველად ბუნებრივი, არაპათეტიკური, მაგრამ ემოციურად დატვირთული ინტონაციით კითხულობს ლექსს. შემდეგ სტროფ-სტროფ ამუშავებს მას არა მარტო ლექსიკური თვალსაზრისით, არამედ ახსნა-განმარტებასაც აძლევს ბავშვებს, რათა მათთვის მეტ-ნაკლებად გასაგები გახდეს მხატვრული სახეებიც (რა თქმა უნდა, სადაც ეს საჭირო და შესაძლებელია).

დასწავლისას ლექსი იშლება სტრიქონებად, ზოგჯერ უფრო დიდ ერთეულებად. მთავარია, აზრი იყოს დასრულებული, რათა დამახსოვრება გაადვილდეს. ჯერ მთელი კლასი იმეორებს პირველ ნაწილს მასწავლებელთან ერთად. შემდეგ დაისწავლიან მეორე ნაწილს. მოხდება მათი გამთლიანება. რამდენჯერმე გამეორების შემდეგ მასწავლებელი მისცემს კლასს საშუალებას მის გარეშე თქვან ლექსი. ამის შემდეგ ხდება ინდივიდუალური გამოკითხვა, ჯერ მათი, ვინც, იგრძნობა, რომ ლექსი უკეთ დაისწავლა, შემდეგ კი მათი, ვისაც შედარებით უჭირს დასწავლა. მათ, ვისაც შედარებით ეძნელება ლექსის დასწავლა, მასწავლებელი აძლევს დავალებას, მოუსმინოს იმ მოსწავლეს, ვინც უკვე იცის და შეახსენოს თანაკლასელს, თუკი რაიმე დაავიწყდება. ამით იგი მას საშუალებას აძლევს, კიდევ ერთხელ მოახდინოს ყურადღების კონცენტრაცია და მოუსმინოს მეგობარს, რომელსაც, საფიქრალია, ლექსი აღარ უნდა შეეშალოს. თუკი ასეთი რამ მოხდა, მასწავლებელმა არ უნდა დააყოვნოს და თავად შეახსენოს მოსწავლეს ლექსი.

მეორე დღეს აუცილებლად უნდა მოხდეს წინა დღით ნასწავლის აღდგენა, გამეორება. ჯერ კოლექტიურად, შემდეგ კი – ინდივიდუალურად.

თუ კლასი მრავალრიცხოვანია, დასწავლის დროს ინდივიდუალურად გამოკითხავთ მოსწავლეთა ერთ ნაწილს, მეორე ნაწილს კი – მეორე დღეს, როცა ვიხსენებთ ლექსს (რა თქმა უნდა, მონაცვლეობით).

ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, შეიძლება განვსაზღვროთ ლექსის დამუშავებისა და დასწავლის შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- შესაბამისი ინტონაციით წაკითხვა;
- ლექსიკური და შინაარსობრივი ანალიზი;
- წაკითხულისადმი დამოკიდებულების შექმნა სათანადო კითხვებით;
- ლექსის კიდევ ერთხელ წაკითხვა;
- კოლექტიური დასწავლა;
- განმტკიცება ინდივიდუალური გამოკითხვით;
- დასწავლილის მეორე დღეს აღდგენა-გამეორება.

ჩამოვთვლით იმ საერთო პრინციპებს, რაც საფუძვლად დაედება როგორც პროზაზე, ასევე ლექსზე მუშაობას:

- მთელი კლასის ჩართვა მუშაობის პროცესში;
- მოსწავლეთა აქტივობის სწორი წარმართვა და დარეგულირება;
- სასკოლო ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარება;
- ინტერესის, ემოციის აღძვრა. სწავლის მოტივაციის შექმნა.

კლასში დასამუშავებელი დამატებითი ლიტერატურული მასალა მოცემული იქნება მეოთხე თავის მესამე ქვეთავში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დამატებით ლიტერატურულ მასალაში მოცემული ყველა ლექსის ზეპირად დასწავლა საჭირო არ არის. მასწავლებელს თვითონ შეუძლია შეარჩიოს საზეპირო ლექსები, გამომდინარე საგაკვეთილო მიზნებიდან და დროიდან.

3.3. ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სავარჯიშოები

მეტყველება 6 წლის ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამ ასაკისთვის იგი კარგად ფლობს მშობლიურ ენას. მაგრამ იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს გაბმული მეტყველებიდან სიტყვებისა და ბგერების გამოცალკევება, მას სპეციალური ფონეტიკური ვარჯიში სჭირდება.

ყველას კარგად მოეხსენება, თუ როგორ უჭირს ხოლმე მოსწავლეს წაკითხული სიტყვის გამთლიანებით წარმოთქმა. თითქოს ამოკითხული სიტყვის მნიშვნელობა მისთვის გასაგებია, მაგრამ ბავშვს წაკითხული სიტყვის წარმოთქმა მაინც უძნელდება (ამაზე მეტყველებს ტიპური შეცდომა, როცა ამოიკითხავს „თხას“

და ამბობს „ბატკანს“). გარდა გრაფიკული ხატის გამთლიანების სირთულისა, ამას საფუძვლად სიტყვის ბგერითი (აკუსტიკური) ხატის გამთლიანების სირთულეც უდევს. სიტყვის ბგერითი ხატის გამთლიანების უნარის გასავითარებლად გათვალისწინებულია ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სპეციალური სავარჯიშოები:

- სიტყვის ბგერითი ანალიზის განვითარებას, სიტყვაში ბგერის გამოცალკევებას ემსახურება **რომელიმე ბგერაზე დაწყებული სიტყვის დასახელება**. მასწავლებელი ჯერ განწყობასა და მოტივაციას უქმნის მოსწავლეებს, დაასახელებს სიტყვას, პირველი ბგერის მკვეთრი წარმოთქმით, აუხსნის მოსწავლეებს, რომ ეს სიტყვა იწყება ამ ბგერაზე, შემდეგ შეახსენებს მათ დავალების არსს – „მე თქვენ სიტყვებს დაგისახელებთ და თქვენ მითხარით, რა ბგერაზე იწყება.“ (შესაძლოა, ამ სამუშაოს შეჯიბრის სახეც მიეცეს, რიგების მიხედვით დაიყოს მოსწავლეები, განაწილდეს მათი ფუნქციები), შემდეგ კი მასწავლებელი ამ ვარჯიშის მეორე ეტაპზე გადადის – „ახლა თქვენ დამისახელეთ რ-ზე დაწყებული სიტყვები. შემდეგ ჩ-ზე დაწყებული სიტყვები“.
- **ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანება**. მასწავლებელი სიტყვას ბგერებად დაშლილს წარმოთქვამს, მკაფიოდ, თითოეულ ბგერაზე საკმაოდ ყოვნდება. მოსწავლემ უნდა გააერთიანოს, გაამთლიანოს ბგერებად დაშლილი სიტყვა – მოახდინოს სიტყვის აკუსტიკური ხატის სინთეზი. ამ ფონეტიკურ ვარჯიშს ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. იგი გაუადვილებს მოსწავლეს შემდგომში სიტყვის გრაფიკული ხატის ამოკითხვას. მაგ.: ი-რ-ე-მ-ი, ჩ-ი-რ-ი და ა.შ. აკუსტიკურად, უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს ის სიტყვები, რომლებიც მომდევნო გაკვეთილზე საკითხავ სავარჯიშოებსა და ძირითად ტექსტებში იქნება მოცემული.
- **ერთი ბგერით განსხვავებული სიტყვების ერთმანეთისაგან გარჩევა**. ეს სავარჯიშო ხელს უწყობს მოსწავლეს, გაამახვილოს ყურადღება ბგერის არსებობაზე მრავალგვარ პოზიციაში; შეიძინოს, დააგროვოს პრაქტიკული გამოცდილება ბგერათა სიმრავლეზე; ისევ და ისევ პრაქტიკული გამოცდილების დონეზე მიხვდეს, რომ ბგერას მნიშვნელობის განმასხვავებელი ფუნქცია აქვს. ამ ვარჯიშის დროს ვითარდება სიტყვის ანალიზის უნარი.

მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს – „მე თქვენ ორ-ორ სიტყვას გეტყვით, ოღონდ ამ სიტყვებში ერთი სხვანაირი, განსხვავებული სიტყვა იქნება. ყურადღებით იყავით, როცა განსხვავებულ სიტყვას შენიშნავთ, ტაში შემოკარით“.

მაგალითად:

ტანი-ტანი	ფური-ყური
ტანი-კანი	ფური-ფური
კანი-კანი	ყური-ყური
ტანი-ტანი	ფური-ფური
კანი-ტანი	ყური-ფური

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, გთავაზობთ შემდეგი ტიპის ფონეტიკურ ვარჯიშებს:

ა) რაზე იწყება დასახელებული სიტყვა;
ბ) მოცემულ ასოზე დაწყებული სიტყვების დასახელება;
გ) დაშლილი სიტყვის გამთლიანება;
დ) მთლიანი სიტყვის დაშლა;
ე) ერთი ბგერით განსხვავებული წყვილების შედარება.
ვ) სიტყვების დასახელება კლასიფიკაციის მიხედვით.

დამხმარე მასალა ფონეტიკური სამუშაოსათვის მოცემული იქნება მეოთხე თავის მესამე პუნქტში.

მასალაში მოცემულია ერთ თავასოზე დაწყებული სიტყვების გარკვეული სიმრავლე. მასწავლებელს შეუძლია შერჩევა, თუ რომელ სიტყვებს გამოიყენებს ამ ჩამონათვალიდან. რაც შეეხება ფონეტიკურ წყვილებს, ეს სავარჯიშო უნდა შესრულდეს სრულად, ყველა სიტყვის გამოყენებით და ყოველთვის.

3.4. ასო-ბგერითი მიმართებების განვითარებაზე მუშაობა

ანბან-პლაკატი

სიტყვის ბგერით მხარეზე მუშაობა ბავშვს სიტყვის ბგერითი ანალიზ-სინთეზის უნარს უვითარებს, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლემ კონკრეტული ბგერები კონკრეტულ ასოებს დაუკავშიროს; რაც უფრო ადრე დააგროვებს ბავშვი ამგვარ გამოცდილებას, მით უფრო ძლიერი იქნება დასწავლის ეფექტი. სწორედ ამიტომ სკოლაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს ქართული ანბანის პლაკატს (პლაკატი უნდა ეკიდოს თვალსაჩინო ადგილზე, სასურველია – დაფასთან,

ბავშვისთვის მისაწვდომ სიმაღლეზე). მასწავლებელი ეუბნება, რომ ეს არის ქართული ანბანი და უკითხავს მკაფიოდ, თითოეულ ასოზე საჩვენებელი ჯოხის დადებით მთელ ანბანს (დასახელდება ასოს შესატყვისი ბგერა, – ა, ბ, გ... და არა ასოს სახელწოდება).

შემდეგ დღეებში მასწავლებელი აიყოლიებს ბავშვებსაც ანბანის კითხვაში.

ანბან-პლაკატზე მუშაობას აქვს თავისი ეტაპები:

1. დასაწყისში, წინასაანბანო პერიოდის განმავლობაში, მასწავლებელი კლასთან ერთად ხმამაღლა კითხულობს ანბანს. ამ ეტაპზე ანბანის კითხვას უფრო რიტუალის სახე აქვს და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ბავშვების ცოდნის შემოწმებას.

2. საანბანო პერიოდში მასწავლებელი კითხულობს ანბანს მოსწალეებთან ერთად, მაგრამ ყურადღებას გაამახვილებს უკვე ნასწავლ ასოებზე. დაადებს საჩვენებელ ჯოხს უკვე ნასწავლ ასოებს და ეკითხება კლასს, რომელი ასოა. შემდეგ გამოიყვანს დაფასთან მოსწავლეს და სთხოვს მას საჩვენებლით უპოვოს უკვე ნასწავლი ესა თუ ის ასო.

ანბანზე მუშაობის ასეთი ხერხი ეხმარება მოსწავლეს ასოთა გრაფიკული ხატის დამახსოვრებაში, ბგერა იძენს საგნობრივ გამოსახულებას და უადვილებს ბავშვს ბგერის შემჩნევას სიტყვაში, უყალიბებს გამოცდილებას და ცოდნას, თუ რომელ ბგერას რომელი ასო შეესატყვისება.

3. შესასწავლი ასოების დაფიქსირება.

გავლილი მასალის გამეორების შემდეგ მასწავლებელი ერთგვარად ამზადებს მოსწავლეს ახალი ასოების გასაცნობად – „დღეს ვისწავლით რ-ს და ჩ-ს“. კედელზე გაკრულ ანბანზე საჩვენებელ ჯოხს ადებს ჯერ ერთ ასოს, შემდეგ – მეორეს და მკაფიოდ წარმოთქვამს მათ. შემდეგ კი დიდი ზომით, სწორი მართლწერით (არა პლაკატურად) ახალ ასოებს დაწერს დაფაზე, თან მოსწავლეებს გაამახვილებინებს ყურადღებას მოხაზულობაზე.

4. მასწავლებელი მოძრავი ანბანიდან იღებს მოცემულ ასოებს, დებს დაფის დირეზე და კიდევ ერთხელ ასახელებს მათ, ავალებს ბავშვებს თვითონ მოძებნონ ახალი ასოები თავიანთ მოძრავ ანბანში.

5. შემდეგ მასწავლებელი გამოიძახებს მოსწავლეებს სათითაოდ დაფასთან და დაავალებს მათ, მოხაზონ საჩვენებელი ჯოხით დაფაზე დაწერილი ასოები, დაიცვან ასოს წერის მიმართულება (სასურველია, ამ აქტივობაში რაც შეიძლება მეტი მოსწავლე ჩავრთოთ.).

6. ამის შემდეგ მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს მათ მიერ უკვე გამოცალკევებულ მოძრავი ანბანის შესატყვის ასოზე საჩვენებელი თითით გაიმეორონ ასოს მოხაზულობა (გავითვალისწინოთ, რომ ამ მოძრაობას ცაციები შეასრულებენ მარცხენა ხელით. არ ავუკრძალოთ მათ მარცხენა ხელის გამოყენება!).

3.5. სალექსიკონო ნაწილზე მუშაობა

ნახატიანი ლექსიკონის თითოეულ ჩარჩოში ჩახატულია კონკრეტული საგნები, რომელთა სახელები ერთ რომელიმე კონკრეტულ ბგერაზე იწყება. ნახატს მიწერილი აქვს თავისი სახელი. ასეთი გვერდის მეშვეობით მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ახალ ასოებს, მაგრამ ამის გარდა, ამ მეთოდიკის მეშვეობით იგი რამდენიმე მიზანს აღწევს:

- მოსწავლე სიტყვის მთლიანი გრაფიკული ხატის აღქმას ეჩვევა;
- გამოუმუშავდება სიტყვის გრაფიკული ხატის ცნობის უნარი;
- აფიქსირებს სიტყვაში ცალკეულ ასოებს.

ყოველივე ამის მეშვეობით მოსწავლე პრაქტიკულად მუშაობს სიტყვის ანალიზ-სინთეზზე. ნახატი უადვილებს ბავშვს სამუშაოს. იგი ამ სიტყვებს ჯერ ვერ კითხულობს, მაგრამ ნახატი მიანიშნებს, თუ რა სიტყვა წერია.

ლექსიკონზე მუშაობას თავისი თანმიმდევრობა აქვს:

1. პირველი და მნიშვნელოვანი ეტაპია გასაცნობი ასოს პოვნა სალექსიკონო ჩარჩოში. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ჩაატარებს მოსამზადებელ სამუშაოს, გადააშლევინებს მოსწავლეებს წიგნს სათანადო გვერდზე, საჩვენებელს დაადებს სალექსიკონო ჩარჩოს ზედა მარცხენა კუთხეში მოთავსებულ ასოს – „ეს არის რ“. მოაძებნინებს მოსწავლეებსაც ამ ასოს სათანადო გვერდზე და დააფიქსირებინებს.

2. ამის შემდეგ მასწავლებელი მიუთითებს ნახატზე. ცალ-ცალკე ეკითხება ბავშვებს – „აქ რა ხატია?“ ასახელებინებს საგანს. იმისათვის, რომ მოსწავლემ ნახატისა და მისი სახელის იდენტიფიკაცია მოახდინოს, მან უნდა გაიაზროს, რომ აქ ხატია, მაგალითად, „რაკეტა“ და არა სხვა რამ (იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ბავშვისათვის უცხო აღმოჩნდა, მასწავლებელი ატარებს განმარტებით-სალექსიკონო სამუშაოს). მას შემდეგ, რაც დასახელდება საგანი, მასწავლებელი მიუთითებს ნაწერზე და ეუბნება – „აქ წერია რაკეტა?“ საგნის დასახელებას უკითხავს მკაფიოდ, დამარცვლის გარეშე, მთლიან სიტყვას. ასე დაამუშავებს იგი ამ სალექსიკონო გვერდის ყველა ნახატს და წარწერას.

3. ნახატისა და სიტყვის სათანადო ჩანაწერის ამგვარი დამუშავების შემდეგ მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს – „აბა, იპოვეთ, სად წერია ...?“ თავდაპირველად ასახელებს მოკლე სიტყვას და დაადებინებს ბავშვს თითს ამ სიტყვაზე. მოსწავლე ამ ამოცანას, რა თქმა უნდა, ნახატის დახმარებით წყვეტს. ვთქვათ, მასწავლებელი „რ“ ასოს სალექსიკონო ჩარჩოს დამუშავებისას შეეკითხება – „აბა, მითხარით, სად წერია რგოლი?“ ბუნებრივია, მოსწავლე ნახატის საშუალებით მიაგნებს სათანადო სიტყვას. ჩვენთვის აქ ის არის მნიშვნელოვანი, რომ მოსწავლეები თანდათან გადაგვყავს ნახატიდან ნაწერი სიტყვის ცნობაზე.

4. ამის შემდეგ მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას სალექსიკონო გვერდიდან (ჯერ მოკლე სიტყვას, შემდეგ უფრო გრძელ სიტყვებს. მაგალითად: ია, იხვი, ირემი. აძლევს მოსწავლეებს დავალებას, მოძებნონ ასეთი სიტყვა წიგნში; აქაც მასწავლებელი სალექსიკონო ჩარჩოს ყველა სიტყვას დაამუშავებს. ამ ეტაპზე მასწავლებელი ნახატის გარეშე, პირდაპირ სიტყვის გრაფიკული ხატის ცნობაზე მუშაობს.

5. მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომელ ახალ ასოს ეცნობიან ისინი იმ დღეს. შემდეგ მკაფიოდ ჩამოთვლის ნახატებიანი ლექსიკონის სიტყვებს, პირველ ასოზე განსაკუთრებული მახვილით და შეეკითხება, რაზე იწყება ეს სიტყვები. სათანადო პასუხის შემდეგ მასწავლებელი საჩვენებლით აღნიშნავს, ეს სიტყვები იწყება „რ“-ზე. ეს არის ასო „რ“. შემდეგ მოსწავლეები სამუშაო გვერდის ყველა სიტყვაში მოძებნიან თავასოს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შესასწავლი ასო ნახატიანი ლექსიკონის სიტყვაში რამდენჯერმე გვხვდება. მაგალითად, შესასწავლი ასო **ი** ორჯერ გვხდება სიტყვებში – ირემი, იხვი. ასეთ შემთხვევებს მასწავლებელი სპეციალურად დაამუშავებს. იგი მიმართავს მოსწავლეებს: – აბა, მიპოვეთ, კიდევ სად შეამნიეთ ასო **ი**!

დაბოლოს, მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს სალექსიკონო გვერდის სიტყვებს. მასწავლებელი მიმართავს კლასს: „აბა, ვინ მეტყვის, რა წერია აქ?“ და მიუთითებს მის მიერ დაფაზე დაწერილ, უკვე კარგად დამუშავებულ სიტყვებზე რიგრიგობით.

3.6. ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება

როგორც მოგეხსენებათ, სადღეისოდ საქართველოში შექმნილია საგანმანათლებლო თამაშები სხვადასხვა სასწავლო საგნებში დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის. ეს პროგრამები შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს. ჩვენს სახელმძღვანელოში გამოვიყენეთ “მოლაპარაკე ანბანი” და “ქამაბუკი” (ბმული buki.ge/programs-list.html), რადგან ისინი ზედმიწევნით შეესაბამება ჩვენს სასწავლო მეთოდს და საუკეთესო თვალსაჩინო მასალას წარმოადგენს პირველკლასელთათვის.

პირველი სემესტრისათვის, როდესაც ჩვენი მეთოდის მიხედვით მოსწავლეები სწავლობენ კითხვას, შევარჩიეთ „მოლაპარაკე ანბანი“, რადგან ასობგერითი მიმართებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე არა მხოლოდ ხედავს ასოს, არამედ ისმენს ბგერის ჟღერადობასაც. ყოველი ახალი ასოთა წყვილის გაცნობის შემდეგ, ვიდრე მოსწავლეები გადავლენ საკითხავ სავარჯიშოებზე, ისინი მოიძიებენ „მოლაპარაკე ანბანში“ შესასწავლ ასობგერებს და კიდევ ერთხელ დააკვირდებიან ასოებს, ნახატებსა და სიტყვებს.

მეორე სემესტრისათვის, როდესაც მოსწავლეები იწყებენ ასოების წერას, ჩვენ შევარჩიეთ „ქამაბუკი“, რადგან ამ პროგრამაში უკეთ არის ნაჩვენები, თუ როგორ იწერება ასო ბადეში, რაც მართლწერისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

თავისთავად ცხადია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე შემოწმებული უნდა იყოს მოსწავლეების პორტატული კომპიუტერების ტექნიკური გამართულობა და ჩატვირთული უნდა იყოს ჩვენ მიერ ხსენებული ელექტრონული რესურსები.

მოსწავლის წიგნში “მოლაპარაკე ანბანისა” და “ქამაბუკის” აქტივობების სიმბოლო იქნება:

მიმართე კომპიუტერს!

3.7. მოძრავი ანბანით მუშაობა

როგორც შეამჩნევდით, ჩვენ გავავარჯიშეთ მოსწავლე სიტყვის აკუსტიკური ხატის სინთეზზე:

- ფონეტიკური სამუშაოებით, როდესაც ბგერებად დაშლილ სიტყვებს მთლიანად წარმოთქვამენ;
- ანბანზე მუშაობის დროს დავაკავშირებინეთ კონკრეტული ბგერა კონკრეტულ ასოსთან;
- ლექსიკონზე ვარჯიშისას დავამყარებინეთ მიმართება სიტყვის აკუსტიკურ და გრაფიკულ ხატებს შორის.

ახლა გვჭირდება ასოების მეშვეობით სიტყვის გრაფიკული ხატის გამთლიანებაზე ვარჯიში – ე. ი. სიტყვის აწყობა მოძრავი ანბანის მეშვეობით.

ამ მეთოდურ ხერხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ბავშვი თავისი ხელით ქმნის სიტყვას კლასის

თვალწინ. ამისათვის მან უნდა მოახდინოს ასაწყობი სიტყვის ანალიზი – რა ბგერებისგან შედგება? რა ასოები დასჭირდება? შემდეგ გადაიტანოს სიტყვის ბგერითი თანამიმდევრობა ასოების თანამიმდევრობაში – ე. ი. მოახდინოს სიტყვის სინთეზი. ბოლოს, მან უნდა ამოიკითხოს თავისი „შექმნილი“ სიტყვა.

სიტყვის მოძრავი ანბანით აწყობის სავარჯიშო საუკეთესოდ მიესადაგება ბავშვის შესაძლებლობებს და მის ინტელექტუალურ განვითარებას. ჩვენ ხომ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ასაკში ბავშვის აზროვნება „მოქმედებითია“ – ის საუკეთესოდ გაიაზრებს იმას, რასაც თვითონ, თავისი ხელით ასრულებს. გარდა ამისა, მოძრავი ანბანით სიტყვების აწყობა წერის პროცესის იმიტაციას წარმოადგენს.

გასათვალისწინებელია, რომ მოძრავი ანბანის ასოები იყოს საკმაო სიდიდის, რათა ბავშვს არ გაუჭირდეს ამ ასოებით სიტყვის აწყობა, ხოლო კლასი ხედავდეს შედეგს.

სიტყვების აწყობა მოძრავი ანბანით ტექსტის ამოკითხვამდე შესრულდება. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ამ თანმიმდევრობის დაცვა.

ამ თანმიმდევრობის გარდა, საჭიროა დავიცვათ კიდევ ერთი პრინციპი: აეწყოს ის სიტყვები და წინადადებები, რომლებიც მომდევნო გაკვეთილზე უნდა წაიკითხოს მოსწავლემ. ამ სიტყვებიდან ასაწყობად უნდა შეირჩეს ისეთები, რომლებიც ახალია, ჯერ არ შეხვედრია და შედარებით რთულია ამოსაკითხად. თავისთავად ცხადია, რომ მოსწავლეებს ავაწყობინებთ მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებში შემავალი ასოებიც მათთვის უკვე ნაცნობია; ზოგიერთი უკვე ისწავლეს, ხოლო ორი ახლად შესწავლილი ასო უკვე დამუშავებული აქვთ წინა გაკვეთილზე. მოსწავლის წიგნში ჩვენ გთავაზობთ თითოეულ ასოთა წყვილზე რამდენიმე ასაწყობ სიტყვას. ისინი გამოყოფილია სიმბოლოთი:

ააწყე!

ე. ი. სავარჯიშოებისა და ძირითადი ტექსტის წაკითხვამდე მთელ რიგ სიტყვებს ვამუშავებთ შემდეგი თანიმდევრობით:

- მუშაობა სიტყვის აკუსტიკურ ხატზე (ფონეტ. სავ);
- მუშაობა სიტყვის გრაფიკულ ხატზე (მოძრავი ანბანით სიტყვის აწყობა);
- სიტყვებისა თუ წინადადებების ამოკითხვა.

3.8. საკითხავი სავარჯიშოები

საკითხავი სავარჯიშოები წარმოდგენილია როგორც საანბანო პერიოდში, ასევე ანბანის შედგომ პერიოდშიც.

საანბანო პერიოდის საკითხავი სავარჯიშოები ემსახურება კითხვაში გავარჯიშებას. საანბანო პერიოდში საკითხავი სავარჯიშოები ცალკე გვერდზეა მოთავსებული და ძირითადად სამი ტიპის არის: მარცვლები, სიტყვები, წინადადებები. როგორც კი შესწავლილი ასოების რაოდენობა საშუალებას მოგვცემს, შევადგინოთ მოკლე, დასრულებული აზრის მქონე ამბავი, წინადადებები შევკრათ ერთ მთლიან სიუჟეტად.

საკითხავ სავარჯიშოებში შეტანილი მარცვლები არ ემსახურება არც სიტყვების შედგენის და არც სიტყვის დასრულების ფუნქციას. ისინი მხოლოდ უნდა ამოიკითხოს მოსწავლემ. ანბანის სწავლების დასაწყის ეტაპზე შეუძლებელია მრავალფეროვანი ტექსტების შედგენა, ამასთან ერთად, მოსწავლეები ადვილად იზეპირებენ წასაკითხ ტექსტებს. აქედან გამომდინარე, ისინი კი არ კითხულობენ, არამედ ზეპირად ამბობენ ამ სიტყვებსა და ფრაზებს. მარცვლების უაზრო თანმიმდევრობის შემთხვევაში დაზეპირება გამორიცხულია, მოსწავლე იძულებულია ამოიკითხოს ასოთა გარკვეული სიმრავლე სხვადასხვა კონფიგურაციაში.

საკითხავ სავარჯიშოებს თავისი სიმბოლო აქვს:

– წაიკითხე!

საანბანო პერიოდის საკითხავ სავარჯშოებს ვამუშავებთ სავარჯიშოთა ტიპების შესაბამისად:

1. მოცემული მასალის თავიდან ბოლომდე წაკითხვა;
2. მოცემული მასალის გაგრძელებებით, მონაცვლეობით წაკითხვა;
3. მოცემული მასალის მითითებებით წაკითხვა (მაგ.: „წაიკითხე პირველი და ბოლო სიტყვა“; „წაიკითხე მარცვლები ერთის გამოტოვებით“) და ა.შ.

მეორე სემესტრიდან იცვლება საკითხავი სავარჯიშოს ტიპი. ამჯერად ამოცანა შედარებით რთულდება. კერძოდ, მოსწავლე დამოუკიდებლად კითხულობს მოკლე წინადადებებს და ამთლიანებს აზრს. თითოეულ სავარჯიშოში გადმოცემულია მარტივი ამბავი. სავარჯიშო აგებულია მოკლე და გრძელი წინადადებების მონაცვლეობით, რაც თავისთავად ქმნის გადმოცემული ამბის მოკლე და ვრცელ ვერსიას. მოკლე ვერსია გამოყოფილია ხაზგასმით.

თავდაპირველად, მასწავლებელი მოსწავლეებს ვიზუალურად ამუშავებინებს ტექსტს. ამისთვის მასწავ-

ლებელი მიმართავს მოსწავლეებს: დააკვირდით ამ საკითხავ სავარჯიშოს: ზოგიერთ წინადადებას ქვეშ ხაზი აქვს გასმული. წავიკითხოთ ეს წინადადებები და გავიგოთ ამ ამბის მოკლე შინაარსი. მოკლე შინაარსს, ანუ ხაზგასმულ წინადადებებს მასწავლებელი აკითხებს მოსწავლეებს (წინასწარ თვითონ არ უკითხავს). თავდაპირველად, თითო წინადადებას თითო მოსწავლეს წააკითხებს და გაამეორებინებს — აბა, თქვი, რა წაიკითხე? შემდეგ კი, შინაარსის გამთლიანების მიზნით, ყველა მოკლე წინადადებას ანუ მოკლე ვერსიას წააკითხებს ერთ მოსწავლეს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები წაიკითხავენ და გაიაზრებენ მოკლე ამბავს, მასწავლებელი მათ ვრცელ ვერსიას წაუკითხავს.

როგორც ვნახეთ, ამ სამუშაოს რამდენიმე მიზანი აქვს:

- ავითარებს გაბმულ ტექსტში ორიენტირების უნარს;
- ცხადად სვამს ზღვარს წინადადებასა და წინადადებას შორის;
- ავითარებს ტექსტის დამუშავების ელემენტარულ უნარს;
- მოსწავლე პირველად ეცნობა ამბის მოკლე შინაარსს და ვრცელ ვერსიას. იგი არა მარტო ვიზუალურად ხედავს (მთელი ამბავი დიდია, ხოლო ხაზგასმული წინადადებები — მოკლე), არამედ შინაარსის დონეზეც აფიქსირებს ამას.

3.9. ძირითად ტექსტზე მუშაობა

მიდგომა საანბანო ტექსტისადმი გამომდინარეობს კითხვის პროცესის იმ გაგებიდან, რომ კითხვა არის ნაწერი სისტემიდან აზრის გამოტანის პროცესი. ბავშვისთვის რომ კითხვის პროცესი გააზრების პროცესიც იყოს, წასაკითხი ტექსტი შესატყვისად უნდა შეიცავდეს დასრულებულ აზრს. ტექსტი არ უნდა იყოს წინადადებებად დაგლეჯილი ისე, რომ წინადადებებს შორის არ იყოს აზრობრივი კავშირი, გარდა ამისა:

- წასაკითხი ტექსტი უნდა შეიცავდეს ისეთ შინაარსს, რომელიც ბავშვისათვის ადვილად გასაგები და ახლობელი იქნება;
- წასაკითხი ტექსტი დასაწყისისთვის უნდა იყოს მოკლე;
- წასაკითხ ტექსტში დასაწყისისთვის უნდა ჭარბობდეს მოკლე, ბავშვისათვის გასაგები სიტყვები, რაც გაუადვილებს მას ტექსტის წაკითხვას.

აქედან გამომდინარე, შეირჩა ბავშვის ცხოვრებისეული გამოცდილებისათვის ახლობელი, ნაცნობი გარემო — მშობლების, და-ძმების, ოჯახის ბუნებრივი ატმოსფერო. თითოეულ საანბანო ტექსტში ერთი პატარა ამბავი ხდება. ია და დაჩი კი ის პერსონაჟები არიან, რომელთა მეშვეობით ერთი სიუჟეტური ქარგა იკვრება. ასეთი ტექსტები ხელს უწყობს კითხვის სწორი მოტივის ჩამოყალიბებას.

კითხვის ათვისებისათვის ვიყენებთ შემდეგ ხერხებს:

- **მასწავლებლის მიერ ტექსტის ხმამაღლა წაკითხვა;**
- **გუნდური კითხვა** — (უნისონში კითხვა) მასწავლებელი და მოსწავლეები რამდენჯერმე ერთად კითხულობენ ტექსტს;
- მასწავლებელი — მოსწავლე — ე. წ. **ექო-მკითხველის მეთოდი** — პირველად კითხულობს მასწავლებელი, შემდეგ კი იგივეს — მოსწავლე ან მთელი კლასი;
- **ლიდერი — ჯგუფი** — მასწავლებელი კითხულობს ტექსტის ერთ ნაწილს, ხოლო ჯგუფი — ტექსტის დარჩენილ ნაწილს (განსაკუთრებით გამოდგება რეფრენების მქონე ლექსის კითხვის დროს: ძირითად ნაწილს წაიკითხავს მასწავლებელი, რეფრენს წააკითხებს მთელ კლასს ერთად);
- **კითხვა მცირე ჯგუფებით** — კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი კითხულობს თავის ნაწილს;
- **წყვილებში კითხვა** — აქვს ორი ვარიანტი:
  ა) ორი მკითხველი კითხულობს ხმამაღლა ერთად (მასწავლებელი — მოსწავლე; კარგად მკითხველი მოსწავლე — მოსწავლე; ორი თანაბარი უნარის მოსწავლე);
  ბ) ორი მოსწავლე კითხულობს მონაცვლეობით (მაგ.: დიალოგს).
  შენიშვნა: ამ ხერხის ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ვარიანტია, როდესაც მასწავლებელი მოულოდნელად სთხოვს მოსწავლეს, გააგრძელოს სხვის მიერ დაწყებული კითხვა. ეს ხშირად მოსწავლის წარუმატებლობას იწვევს, რადგან მოულოდნელობის ეფექტი ამცირებს კითხვის მოტივაციას. უმჯობესია, მასწავლებელმა წინასწარ შესთავაზოს ორ მოსწავლეს წყვილში გაერთიანება და ისე გააგრძელებინოს მეორეს კითხვა).
- **მოსწავლის მიერ მთლიანი ტექსტის თავიდან ბოლომდე წაკითხვა**.
- **განმეორებითი კითხვა** — მოსწავლე კითხულობს ერთი და იგივე ტექსტს რამდენჯერმე;
- **მითითებული ადგილის წაკითხვა ტექსტში;**
- **მკითხველთა თეატრი** — მოსწავლეები ინაწილებენ როლებს, შემდეგ კითხულობენ ტექსტს როლებში;
- **ჩუმი კითხვა** — მოსწავლეები კითხულობენ დამოუკიდებლად, ჩუმად.

როგორც კი შემოვა სათაურიანი ტექსტი, სათაურზე უნდა გამახვილდეს ყურადღება — იგი მიგვანიშ-

ნებს, რაზე იქნება მოთხრობაში საუბარი. სათაური ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ტექსტისა. შეიძლება ტექსტის გაცნობის შემდეგ დაისვას ხოლმე კითხვა – რატომ დაასათაურეს ასე? სახელმძღვანელოში ძალიან მალე შემოდის სათაურიანი ტექსტები. როგორც წესი, სათაურები ძირითადად თემატურია. ამიტომ ზემოთ მოცემულ კითხვას კავშირი ექნება ტექსტის თემასთან.

3.10. ძირითადი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სამუშაოები

სახელმძღვანელოში მოცემულია ძირითადი ტექსტის გაგებაზე ორიენტირებული სამუშაოების გარკვეული სისტემა:

- კითხვა-პასუხი;
- შეკითხვისათვის სწორი პასუხის შერჩევა;
- კითხვები;
- სასაუბრო;
- მოძებნე და წაიკითხე;
- ლექსიკური სავარჯიშოები;
- მოვლენის, ფაქტისა და პერსონაჟის შეფასებაზე მიმართული სამუშაოები.

კითხვა-პასუხი

კითხვებზე პასუხის გაცემა მნიშვნელოვანი ამოცანაა. ტექსტის შინაარსის გაგებისათვის, ვიდრე პირველკლასელი თავად შეძლებდეს კითხვაზე ადეკვატური და სრული პასუხის გაცემას, საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისი ნიმუშის მიწოდება. ეს ხელს უწყობს, როგორც ტექსტის გაგებას, ასევე კითხვა-პასუხის მოდელის ჩამოყალიბებას და კითხვაში გავარჯიშებას. მოსწავლის სახელმძღვანელოში ამ ტიპის სავარჯიშოებს შეესაბამება პირობითი სიმბოლო:

კითხვა-პასუხი

ამ რუბრიკაზე მუშაობისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს კითხვის შემდეგი სტრატეგიები: მონაცვლეობით წაკითხვა, მითითებებით კითხვა და კითხვა დიალოგში.

შეკითხვებზე სწორი პასუხის შერჩევა

კითხვა-პასუხის რუბრიკა სახელმძღვანელოს გარკვეულ ეტაპამდე გასდევს. მოგვიანებით მას ენაცვლება სავარჯიშოები, რომელიც ითვალისწინებს შეკითხვისათვის სწორი პასუხის შერჩევას. ამ ტიპის სავარჯიშოებში მოცემულია ტექსტის შინაარსის გაგებაზე ორიენტირებული შეკითხვები, რომელთა გასწვრივაც არეულადაა ჩამოწერილი პასუხები. მოსწავლეს ევალება წაიკითხოს შეკითხვა, ჩაწვდეს მის არსს, დაამყაროს მიმართება შეკითხვასა და ტექსტის შინაარსს შორის და ჩამონათვალში მოიძიოს შესაბამისი პასუხი, რომელსაც ხაზით დააკავშირებს შეკითხვასთან. ამ ტიპის სავარჯიშოები წარმოდგენილია მოსწავლის სამუშაო რვეულში.

კითხვები

კითხვებზე პასუხების გაცემის სამუშაოების შემდეგი ეტაპია ღია კითხვები. ამ დროისათვის მოსწავლეს უკვე აქვს გაცნობიერებული კითხვა-პასუხის არსი და მისთვის სრული პასუხის მოდელი ნაცნობია.

ღია კითხვები მიმართულია როგორც ტექსტის შინაარსის გაგებაზე, ასევე პერსონაჟის საქციელის შეფასებასა და სათაურის გააზრებაზე. ღია კითხვების სიმბოლოა:

– უპასუხე შეკითხვებს!

სასაუბრო

სახელმძღვანელოში შეხვდებით რუბრიკა „სასაუბროს“. მას თავისი სომბოლო აქვს:

– ისაუბრეთ!

რუბრიკა მიზნად ისახავს მოსწავლეებში ექსპრესიული (დამოუკიდებელი) მეტყველების გავითარებას. რუბრიკის შემოტანის პედაგოგიური მიზანია მოსწავლეების მიერ ტექსტში მოცემული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი ანალიზისა და შეფასების უნარის განვითარება. ამასთანავე „სასაუბრო“ ემსახურება მოსწავლეთა პირადი გამოცდილებისა და ცოდნის გააქტიურების, სასაწავლო მასალასთან მიმართების დამყარების ამოცანას. იგი ხელს უწყობს დისკუსიის საწყისი უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც.

მოძებნე და წაიკითხე

რუბრიკაში „მოძებნე და წაიკითხე“ გაერთიანებულია სამუშაოები, რომლებიც მიზნად ისახავს კითხვაში გავარჯიშებას, ტექსტზე მუშაობის საწყისი უნარების გამომუშავებას, კერძოდ: მითითებული ადგილის პოვნას ტექსტში, ეპიზოდებსა და ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვებას, დეტალების შემჩნევასა და მათზე ყურადღების გამახვილებას. მოსწავლის წიგნში ასეთი ტიპის სავარჯიშოები აღნიშნულია სიმბოლოთი:

– მოძებნე და წაიკითხე!

ლექსიკური სავარჯიშოები

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ლექსიკური სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტის ლექსიკური დამუშავების საშუალებაა. ამ სავარჯიშოებზე მუშაობის შედეგად მოსწავლე გაიმდიდრებს ლექსიკურ მარაგს, მიეჩვევა ტექსტში მოცემული გარკვეული ლექსიკური ელემენტის მოძებნას, მსგავსი შინაარსობრივი ერთეულების დაჯგუფებას, განსხვავებული ლექსიკური ერთეულის გამორიცხვას. ასეთი ტიპის სავარჯიშოები მოსწავლეებისაგან ტექსტის კრიტიკულ შეფასებას, დაფიქრებას მოითხოვს. შესაბამისად არის შერჩეული სიმბოლოც – მოფიქრალი ბიჭი:

– დაფიქრდი;

მოვლენის, ფაქტისა და პერსონაჟის შეფასებაზე მიმართული სამუშაოები

სახელმძღვანელოში მოცემულია მოვლენების, ფაქტებისა და პერსონაჟების შეფასებაზე მიმართული სავარჯიშოები. ზოგ შემთხვევაში ეს ამოცანა კითხვის სახით არის ფორმულირებული, ზოგჯერ სასაუბროს ფორმატით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი – კოგნიტური დიაგრამის ფორმით. მოსწავლის მიერ ამ ტიპის სავარჯიშოების შესრულება მიზნად ისახავს ტექსტის დედააზრის წვდომას, ანალიზისა და შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

3.11. გრამატიკული კატეგორიების შესახებ

წერა-კითხვის სწავლების ტრადიციული მეთოდის აღწერისას, როდესაც მოსწავლეს ახალ ასოს აცნობენ, ყველგან შეხვდებით ასეთ ფრაზას: „ესაა ასო-ბგერა...“ ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით ახალი ასოს გაცნობის ასეთ ხერხს. ჯერ ერთი, ნაწერი ასო ყველა შემთხვევაში ასოა და შეუძლებელია ის ერთდროულად ასოც იყოს და ბგერაც. ამით ჩვენ შეცდომაში შეგვყავს ბავშვები. შთავაგონებთ მათ, რომ ერთი გრაფიკული ნიშანი ერთდროულად ასოც არის და ბგერაც! მეორეც, თუ ასო ნაწილობრივ მაინც თვალსაჩინოა და ბავშვს მისი დანახვა შეუძლია წიგნში თუ რვეულში, ბგერა განყენებულია, იგი მხოლოდ წარმოითქმება.

მაშ, რას გთავაზობთ ჩვენ? ჩვენ გთავაზობთ ბგერასა და ასოზე ისეთი კონკრეტული სავარჯიშოების ჩატარებას, როგორიცაა ჩვენ მიერ უკვე აღწერილი ვარჯიშები: ფონეტიკური სავარჯიშოები, ანბანზე

ვარჯიში, სალექსიკონო გვერდების ვარჯიშები, სიტყვების აწყობის ვარჯიშები. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი ვარჯიშების მეშვეობით დაგროვილი კონკრეტული გამოცდილება დაეხმარება ბავშვს სამომავლოდ სწორი დასკვნების გამოტანაში. სწორედ ასეთი გამოცდილება შემოინახება მეხსიერებაში და შემდგომში, განზოგადების გზით, აზროვნებაში დამკვიდრდება. ხოლო 6 წლის ასაკში საჭიროა და ყველაზე მნიშვნელოვანია სწორი გამოცდილების დაგროვება, რასაც საგნობრივი ფონეტიკურ-ლექსიკური გავარჯიშება შეუწყობს ხელს და არა სრულიად ფუჭი შეგონება ასო-ბგერის თაობაზე.

იმავე პოზიციას ვადგავართ სიტყვასთან და წინადადებასთან დაკავშირებით. ჩვენ გამუდმებით ვხმარობთ ბავშვებთან ურთიერთობაში „სიტყვას", მაგალითად: „ეს სიტყვები ა-ზე იწყება". ანდა „აბა, ააწყვე ესა და ეს სიტყვა!" „ვინ მეტყვის, რა სიტყვას ვამბობ?" (ბგერებად დაშლილი სიტყვის გამთლიანების შემთხვევაში) და ა.შ. პირველკლასელთათვის ეს არის სრულიად საკმაო დონე სიტყვის შესახებ ინფორმაციის დაგროვებისა.

ასეთივე პრაქტიკული ცოდნა უგროვდება მას პირველი წლის მანძილზე წინადადებების შესახებ. ჩვენ გეგმაზომიერად ვხმარობთ მთელი წლის მანძილზე „წინადადებას", მაგრამ არასოდეს ვცდილობთ მივცეთ ბავშვს წინადადების დეფინიცია. უბრალოდ, მთელი წლის მანძილზე მის გამოცდილებაში შემოგვაქვს სიტყვა „წინადადება" და მასთან დაკავშირებული ცნებითი შინაარსი. მაგალითად: „აბა, ახლა ავაწყოთ მოძრავი ანბანით ეს წინადადება", „აბა, წამიკითხე ეს წინადადება".

პირველ კლასშივე ვაჩვევთ ბავშვებს წინადადების ბოლოს წერტილის დასმას. იმისათვის, რომ ბავშვმა აღიქვას ნაწერი ტექსტის ინტონაციური მრავალფეროვნება, ვეუბნებით მას, რომ თუ გვეკითხებიან რაიმეს, ასეთ შემთხვევაში წინადადების ბოლოს წერტილს კი აღარ დავსვამთ, არამედ კითხვის ნიშანს დავწერთ. მაგრამ თუ ამ კითხვას ვუპასუხებთ, მაშინ წინადადების ბოლოს წერტილს დავწერთ.

პუნქტუაციაზე მუშაობა ძირითადად დაწყებითი სკოლის ზედა კლასებში წარიმართება. პირველ კლასში კი ბავშვებს მხოლოდ გაცნობის დონეზე მივაწვდით ამ ორ სასვენ ნიშანს (?.)

მოცემული არგუმენტაციის გათვალისწინებით, პირველი კლასის მოსწავლის სახელმძღვანელოში, მარტივი განმარტების სახით, შეტანილია ინფორმაცია ანბანის, ხმოვან-თანხმოვნის, წერტილისა და კითხვის ნიშნის შესახებ.

3.12. ენობრივი სავარჯიშოები

მოსწავლის წიგნში მოცემულია მთელი რიგი ენობრივი სავარჯიშოები, რომელთა მიზანიცაა მშობლიური ენის ინტუიციური ცოდნის გააქტიურება და ენობრივ მოვლენებზე დაკვირვება.

სავარჯიშოების ტიპოლოგია ასეთია:

- რამდენი ხმოვანი და რამდენი თანხმოვანია მოცემულ სიტყვაში;
- ხმოვანზე და თანხმოვანზე დაწყებული სიტყვების დასახელება;
- რებუსი, „სიტყვის კიბე";
- მარცვლებით სიტყვების შედგენა;
- რომელ წინადადებაში რამდენი სიტყვაა;
- წინადადების დასრულება;
- ორსიტყვიან წინადადებაში კონტექსტის მიხედვით შესაბამისი ზმნის შერჩევა;
- ორსიტყვიანი წინადადების სამსიტყვიანად გადაქცევა;
- წინადადების ბოლოს სასვენი ნიშნების დასმა (. ?);
- ზრდილობიანი ფორმების გამოყენება.

ეს სავარჯიშოები განაწილებულია მოსწავლის წიგნსა და მოსწავლის რვეულში.

3.13. სავარჯიშოები შემეცნებითი (კოგნიტური) პროცესების გააქტიურებისათვის

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტია კოგნიტური ანუ შემეცნებითი სავარჯიშოები. წიგნში სხვადასხვაგვარი სავარჯიშოა შეტანილი. ამ ტიპის სავარჯიშოები მოსწავლეთათვის საინტერესო და სახალისოა და უპირატესად მიზნად ისახავს სააზროვნო პროცესების გააქტიურებას. ამ სავარჯიშოების სიმბოლოა:

– დააკვირდი!

კოგნიტურ სავარჯიშოებს განეკუთვნება:

• სავარჯიშოები კლასიფიკაციაზე.

მოსწავლემ უნდა დაასახელოს საგნები და მათი კლასის გამაერთიანებელი სახელი; მაგ.: ყვავილები – თაიგული.

• სავარჯიშოები ყურადღების კონცენტრაციაზე.

წიგნში მოცემულია ორი თითქმის იდენტური ნახატი ოთხი მცირედი განსხვავებით. მოსწავლემ უნდა შეძლოს განსხვავებების დაფიქსირება. მაგ.: იპოვე ოთხი განსხვავება (ნაძვი).

• ნახატზე ნაჩვენები მოქმედების ვერბალიზაცია.

მოსწავლემ უნდა დაასახელოს ნახატზე ნაჩვენები მოქმედებები, გამოიყენოს ადეკვატური ლექსიკური ერთეულები და შესატყვისი გრამატიკული ფორმები. მაგ.: გოგონა ჩადის კიბეზე, ადის კიბეზე და ა.შ.

• სავარჯიშოები სივრცით მიმართებებზე.

მოსწავლემ უნდა დააფიქსიროს და დაასახელოს საგანთა შორის სივრცითი მიმართებები. მაგ.: სად დგას გოგონა? (წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ზევით, ქვევით).

• ამბის ლოგიკური ჯაჭვის დადგენა ნახატების მიხედვით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ნახატების მიხედვით ამბის აღწერა და სიუჟეტის ლოგიკურად შეკვრა. მაგალითად, ბიჭისა და ძაღლის ამბავი.

• კლასიფიკაცია ზედმეტის გამორიცხვით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს მოცემული საგნების დანიშნულებისა და კლასიფიკაციური კუთვნილების განსაზღვრა, ამის საფუძველზე კი – ზედმეტი საგნის გამიჯვნა. მაგ.: ავეჯი (მაგიდა, სკამი, კარადა) და ფანჯარა.

• მოსწავლის მიერ წაკითხული ამბის აღდგენა ნახატების მიხედვით.

მოსწავლემ უნდა შეძლოს ნასწავლი ტექსტის ზედმიწევნით აღდგენა, მოცემულ ნახატებთან მიმართების დამყარება, ამბის სიუჟეტის ლოგიკურად შეკვრა და თხრობა. მაგ., მატას და ვაგუს გაცნობის ამბავი.

• დასახული ამოცანის მიხედვით დამოუკიდებელი ნახატის შექმნა. ამ სავარჯიშოს სიმბოლოა:

– დახატე;

3.14. მოსწავლის რვეული

მოსწავლის რვეული გათვლილია ორ სემესტრზე და შესაბამისადაა დასტრუქტურებული. იგი ითვალისწინებს როგორც წერით სავარჯიშოებს, ასევე ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებას, კითხვის განმტკიცებასა და საზროვნო სავარჯიშოებს. რვეულში შეტანილი სამუშაოები უშუალო კავშირშია წიგნის შესაბამის სასწავლო ამოცანებთან. მოსწავლის სახელმძღვანელოსა და რვეულის სავარჯიშოებს მითითებული აქვს სასწავლო თემის ნომერი. რვეული დაყოფილია სამ ნაწილად.

I სემესტრი

თითოეულ თემასთან დაკავშირებული სასწავლო მასალა მოცემულია ერთ გვერდზე. მასალა სამი ტიპისაა და შესაბამისად არის დასტრუქტურებული:

1. ფონოლოგიური ცნობიერების განმავითარებელი სავარჯიშოები;
2. კითხვის განმამტკიცებელი და საზროვნო სავარჯიშოები;
3. წერისათვის მოსამზადებელი სავარჯიშოები.

ჩვენი მეთოდის მიხედვით ბავშვები ასოების წერას მეორე სემესტრიდან იწყებენ. ეს მეთოდური ცვლილება ნაკარნახევია, პირველ რიგში, 6 წლის ბავშვის ფსიქოფიზიკური განვითარების თავისებურებით.

ასოების წერის დაწყებას II სემესტრში ბევრი უპირატესობა აქვს. ამ დროისათვის ბავშვებს უკვე აქვთ მარტივი სასკოლო ჩვევები. მათ შეუძლიათ მერხზე მშვიდად ჯდომა, იციან კალმის ხელში დაჭერა, ფიზიკურად და პიროვნულად შეგუებულნი არიან სასკოლო რეჟიმს. ჩვენი მეთოდით სწავლების შემთხვევაში ბავშვებს ამ დროისათვის გავლილი აქვთ ანბანი, უკვე კითხულობენ და კარგად ახსოვთ ასოს გამოსახულება. მთელი პირველი სემესტრის მანძილზე ისინი, მოძრავი ანბანის მეშვეობით, ვარჯიშობენ სიტყვების აწყობაში, რაც წერის იმიტაციაა. ბავშვებმა უკვე იციან, ასოების თანამიმდევრობით დალაგებით როგორ „ჩაწერონ“ სიტყვა. პირველ სემესტრში მათ გავლილი აქვთ წერისათვის შესამზადებელი სავარჯიშოები. ამ გარემოებათა გამო, მათ კარგი მზაობა აქვთ წერის ასათვისებლად. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ კითხვისა და წერის სწავლების დაშორება საშუალებას გვაძლევს, ასოების თანამიმდევრობა წერის სიადვილისა და დეტალების მსგავსების მიხედვით დავალაგოთ.

კითხვისა და წერის სწავლების ასეთი მეთოდი მოსინჯულია სასკოლო პრაქტიკაში მრავალი წლის მანძილზე და კარგ შედეგს იძლევა. ასეთი მეთოდი განსაკუთრებით მორგებულია 6 წლის ასაკის ბავშვების ფსიქო-ფიზიოლოგიურ შესაძლებლობებს და პედაგოგიურად გამართლებულია.

I ტიპის სავარჯიშოები:
- ნასწავლი ასოს პოვნა ასოთა სიმრავლეში;
- თავასოს პოვნა სიტყვებში;
- მითითებული მარცვლის პოვნა სიტყვებში;
- მითითებული ორი ასოს პოვნა სიტყვებში.

II ტიპის სავარჯიშოები:
- მითითებული სიტყვების შემოხაზვა;
- სიტყვის ან წინადადების დაკავშირება შესაბამის ნახატთან;
- კლასიფიკაციის გათვალისწინებით სიტყვების მოძიება სიტყვათა სიმრავლეში;
- კონტექსტის გათვალისინებით ლექსიკური ერთეულების შერჩევა;
- წინადადებების დასრულება სათანადო სიტყვების შერჩევით.

III ტიპის სავარჯიშოები:

I სემესტრში, საანბანო პერიოდის განმავლობაში, დღეში 5-7 წუთს ვუთმობთ სპეციალურ წერით ვარჯიშებს. რვეულში შეკრებილია ბავშვისათვის სახალისო სავარჯიშოები. იგი თამაშით ასრულებს ამ სავარჯიშოებს, მაგრამ მათი შესრულება მეტად სერიოზულ მიზნებს ემსახურება. კერძოდ, ამ ვარჯიშებით მიიღწევა:
- საწერ სივრცეში ორიენტაციის უნარის განვითარება;
- საწერი სივრცის თანდათან დაუფლება დიდი ფართობიდან მცირეზე გადასვლის მეშვეობით;
- წერის მიმართულების დაფიქსირება;
- თვალისა და ხელის მოქმედებათა კოორდინაცია წერის დროს;
- მთელსა და მის ნაწილებს შორის მიმართებათა შემჩნევის უნარის განვითარება;
- ნიმუშის მიხედვით მარტივი გრაფიკული გამოსახულების გადაწერის უნარის განვითარება.

სავარჯიშოები რამდენიმე სახისაა და შეესატყვისება დასახულ მიზნებს. ესენია:
მითითებული გზის გავლა კალმით;
წერტილების შეერთება ნიმუშის მიხედვით;
განსხვავებულის გამორიცხვა ან მსგავსის პოვნა;
ნიმუშის მიხედვით დეტალის გამოწერა.

ამ სავარჯიშოებს ახლავს ინსტრუქცია მასწავლებლისათვის, ანუ დაწვრილებით არის განსაზღვრული, თუ რა უნდა მოსთხოვოს მასწავლებელმა მოსწავლეებს თითოეული სავარჯიშოს შესრულებისას. ინსტრუქცია არ უნდა დაირღვეს და არ უნდა შეიცვალოს.

ოთხხაზიანი ბადის დაუფლებისას ბავშვს უჭირს ბადის მცირე მასშტაბების აღქმა და მის სტრუქტურაში გარკვევა; მისთვის ძალზე ძნელია იმის გაგება და დამახსოვრება, რომ ბადის სივრცის არასწორი გამოყენება შეცდომად ჩაეთვლება. ამიტომ დეტალების შერჩევისას, ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ დეტალების ურთიერთმიმართებას სივრცეში.

II სემესტრი

II სემესტრის მასალა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ორი ტიპის სავარჯიშოები: 1. საკითხავი და სააზროვნო სავარჯიშოები; 2. წერის ასათვისებელი სამუშაოები.

I ტიპის სავარჯიშოები:
- წინადადებების დალაგება შინაარსის მიხედვით;
- კონტექსტიდან ამოვარდნილი წინადადების გადახაზვა;
- სიტყვაში ასოთა რაოდენობის გათვალისწინებით სიტყვის კიბის შევსება;
- სააზროვნო ლექსიკური სავარჯიშოები;
- მარცვლებით სიტყვების შედგენა;
- წინადადებების დასრულება;
- სიტყვაში შეცდომის პოვნა (ზედმეტი ასოს გადახაზვა);

- წინადადებებს შორის საზღვრის პოვნა;
- ორ ჩარჩოში მოცემულ ასოთა თანმიმდევრობის შედარება.
- ორი ტექსტის შედარება (ზედმეტი სიტყვის პოვნა) და ა.შ.

II ტიპის სავარჯიშოები:

პირველი კლასის მეორე სემესტრიდან მოსწავლეები იწყებენ ასოების წერას. როგორც უკვე ითქვა, ასოები დალაგებულია წერის სიადვილისა და დეტალების მსგავსების გათვალისწინებით.

ერთ დღეს მოსწავლეს გამოსაწერად ვაძლევთ თითო ასოს. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ასოს წერის მიმართულებაზე. ახალი ასო დანაწევრებულია წერტილებად და მოსწავლემ უნდა გააერთიანოს ეს წერტილები. მეორე მწკრივი მან თვითონ უნდა გამოწეროს. შემდეგ დღეს მოსწავლე გამოწერს ახალი ასოს შემცველ სიტყვას და წინადადებას. ნიმუშები მოცემულია რვეულში. წინადადებები ისეა შერჩეული, რომ თითოეული მათგანი მხოლოდ ერთ ხაზს იკავებს, ხოლო ქვევით დატოვებულ თავისუფალ ხაზზე მოსწავლე გამოწერს იმავე წინადადებას ნიმუშის მიხედვით. რვეულში გათვალისწინებულია ადგილი შეფასებისა და შეცდომების გასწორებისათვის.

მართალია, პირველ კლასში მოსწავლის ნაშრომი არ ფასდება ტრადიციული სისტემით, მაგრამ პედაგოგებისათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პირველკლასელისათვის ნაშრომის სიმბოლურ შეფასებას. მოსწავლეს ექმნება განცდა, რომ მას შეუძლია წერა, რომ მისი შრომა მასწავლებლის სათანადო ყურადღებას იმსახურებს. ამავე დროს, მასწავლებელს, სხვადასხვა სიმბოლოს მეშვეობით, შეუძლია თანდათან შეფასების გრადაცია შემოიტანოს. ამით ბავშვი ეჩვევა თავისი ნაშრომის კრიტიკულად შეფასებას.

ასოს წერის სწავლებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ასოს წერის წესს. საამისოდ გამოვიყენებთ ,,ქამაბუკს", სადაც თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ასოს ბადეში ჩაწერის წესი. მასწავლებელმა აუცილებლად თვითონაც უნდა გამოწეროს შესასწავლი ასო დაფაზე; უჩვენოს მოსწავლეებს ასოს წერის მიმართულება, შემდეგ გამოვიყვანთ რამდენიმე მოსწავლეს დაფასთან და საჩვენებლით მოვახაზინებთ დაფაზე დაწერილ ასოს, ხოლო შემდეგ მოსწავლეებს გამოვაცალკევებინებთ მათი მოძრავი ანბანიდან საწერ ასოს და დავავალებთ თითით ასოს მოხაზულობის გამეორებას. სასურველია, თუ მასწავლებელი ასოს წერის წესს ხშირად შეახსენებს ბავშვებს. ამას მოითხოვს პირველკლასელთა განვითარების თავისებურება – რაც უფრო ხშირად შევახსენებთ ჩვენ მათ ნასწავლს, მით უფრო უკეთ აითვისებენ ისინი ამ მასალას, ე. ი. 6-7 წლიანებთან, და საზოგადოდ დაწყებით კლასებში, სასწავლო მასალის მრავალჯერადი გამეორება დასწავლის კარგ დონეს უზრუნველყოფს.

ასოების წერის დაუფლებას ყოველდღე 10-15 წუთს ვუთმობთ. რეკომენდებულია არა უმეტეს 5-7 ასოს გამოწერა.

II სემესტრის II ნაწილი

ბადეში ასოების წერის ათვისების შემდეგ საშუალება გვეძლევა, წერის უნარ-ჩვევების განმტკიცებაზე ვიმუშაოთ. რვეულის ბოლო ნაწილი ამ ამოცანას ემსახურება.

ამ ნაწილში შეტანილია 2 ტიპის სამუშაო:

1. დამოუკიდებელი წერის განმავითარებელი სავარჯიშოები;
2. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა შესაბამისი სავარჯიშოების აპარატით.

წერითი სამუშაოების სახეებია:

- ტექსტის გადაწერა ნიმუშის მიხედვით;
- წინადადებაში ნახატის ნაცვლად სიტყვის ჩასმა;
- წინადადებაში გამოტოვებული სიტყვის ჩასმა;
- ტექსტის გადაწერა და გამოტოვებული სასვენი ნიშნების ჩასმა;
- კარნახი;
- კითხვაზე პასუხის გაცემა.

ვიწყებთ მარტივი სავარჯიშოებით და თანდათან ვართულებთ მათ. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა აუხსნას მოსწავლეებს, თუ რა არის შესასრულებელი.

1. როდესაც საქმე ეხება გადაწერას, მასწავლებელმა უნდა აუხსნას მოსწავლეს, რომ საჭიროა, ზუსტად გადაიწეროს ყველაფერი. საჭიროა სათაურის დაწერა (თუ სათაურიანი ტექსტია) შუაში. ლექსის დაწყებამდე სამი უჯრის გამოტოვება. წინადადების ბოლოს წერტილის დასმა. მასწავლებელმა უნდა წაუკითხოს ბავშვებს გადასაწერი ტექსტი სათანადო ინტონაციით და მკაფიოდ.

2. ასევე მოითხოვს დამუშავებას ნახატის ნაცვლად წინადადებაში სიტყვის ჩასმა. მოსწავლემ ზუსტად უნდა განსაზღვროს, თუ რა სიტყვა უნდა ჩასვას წინადადებაში, უნდა ავუხსნათ, რომ საჭიროა ამ წინადადების გადაწერა ქვეშმიწერით, ხოლო ნახატის ქვეშ შესატყვისი სიტყვა უნდა ჩაწეროს.

3. გამოტოვებული სიტყვის ჩასმა წინადადებაში სიტყვის ჩასმის გართულებული ვარიანტია. აქაც ზუსტად უნდა დამუშავდეს ჩასასმელი სიტყვა. წინადადებები ისეა შერჩეული, რომ აქ ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ ერთი სიტყვა შეიძლება ჩაისვას (სახელობით ბრუნვაში).

4. სასვენ ნიშანთაგან პირველ კლასში მიზანშეწონილად მიგვაჩნია წერტილისა და კითხვის ნიშნის გაცნობა.

სწორედ წერტილისა და კითხვის ნიშნის ხმარების უნარ-ჩვევის განსამტკიცებლად შედგენილია კონკრეტული შინაარსის მქონე მოკლე ტექსტები: კითხვა-პასუხი. ტექსტში გამოყენებულია მხოლოდ კითხვითი სიტყვის შემცველი კითხვითი წინადადებები.

მასწავლებელმა უნდა დაამუშაოს ეს ტექსტი, წაუკითხოს იგი მოსწავლეებს, ჰკითხოს მათ, რა ნიშანს დავსამთ წინადადების ბოლოს მაშინ, როცა ვინმეს რაიმეს ეკითხებიან? რა ნიშანს დავსვამთ წინადადების ბოლოს, როცა ვინმეს რაიმეს პასუხობენ? შემდეგ ტექსტები მოცემულია სასვენი ნიშნების გარეშე. მოსწავლემ უნდა გადაწეროს ტექსტი და დაუსვას სათანადო სასვენი ნიშნები.

5. კარნახის შემთხვევაშიც საჭიროა ტექსტის წინასწარი დამუშავება. მასწავლებელი წაუკითხავს მოსწავლეებს კარნახისათვის შერჩეულ ტექსტს. გამოყოფს თითო წინადადებას, შეახსენებს მოსწავლეებს, რომ სიტყვებს შორის ორი უჯრა უნდა დატოვონ, ყოველი ახალი სტრიქონის დასაწყისში – ერთი უჯრა, ყოველი წინადადების ბოლოს დასვან წერტილი.

კარნახების ტექსტების შედგენისას გასათვალისწინებელია სასწავლო ტექსტის თემატიკა. გარდა ამისა, ტექსტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ სიტყვები საწერ ბადეში თავისუფლად ჩაეტიოს; მოსწავლეს არ უნდა დასჭირდეს სიტყვის გადატანა. გთავაზობთ ნიმუშებს:

ტექსტთან – „ხატვის გაკვეთილზე“:

დაჩის ფანქარს წვერი მოტყდა. დაჩიმ მარიამის ფანქარი აიღო. მარიამი ატირდა.

ტექსტთან – „შემოდგომა“:

ნიკო რთველში წავიდა. ნიკო ყურძენსა და ხილს კრეფდა. ნიკოს ძალიან მოეწონა შემოდგომა.

ამასთან ერთად, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ნიმუშის მიხედვით სიტყვებისა და ასოების გამოწერაც. განსაკუთრებით გააქტიუროს ის ასოები, რომლის გამოწერაც ჯერ კიდევ უჭირთ მოსწავლეებს.

6. კითხვებზე პასუხის დამოუკიდებლად წერილობით გაცემა პირველკლასელისათვის ძალიან რთულია. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, პასუხები დამუშავდეს და დაფაზე დაიწეროს. მოსწავლეს მოუწევს, ერთი მხრივ, დაფიდან გადაწერა, რაც თავისებურ სირთულესთანაა დაკავშირებული, მეორე მხრივ, პასუხის მისადაგება შესაბამის კითხვასთან.

3.15. დამოუკიდებლად საკითხავი მასალა

დამოუკიდებლად საკითხავი მასალა შესულია მოსწავლის სამუშაო რვეულში და გადანაწილებულია საგნის საათობრივ-კალენდარული გეგმის შესაბამისად.

დამოუკიდებლად საკითხავის მიზანია:

- მოსწავლეებში კითხვის მოტივაციის განვითარება;
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევის განვითარება;
- ჩუმად დამოუკიდებლად კითხვის უნარის ჩამოყალიბება;
- წერითი დავალების დამოუკიდებლად შესრულების უნარის განვითარება;
- მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგის დადგენა, შეფასება, თვითშეფასება.

დამოუკიდებელი კითხვის გაკვეთილისთვის ცალკე გაკვეთილია გამოყოფილი.

დამოუკიდებლად საკითხავი მასალა სხვადასხვა ტიპისაა:

1. სამუშაო გვერდზე მოცემულია ოთხი მოკლე წინადადება, რომელთა ერთიანობაც გარკვეულ სიუჟეტს ქმნის. წინადადებების გასწვრივ არეულად განლაგებულია წინადადებების შესაბამისი ოთხი ნახატი.

მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა წაიკითხოს თითოეული წინადადება, უნდა შეძლოს აზრის გამოტანა და, აქედან გამომდინარე, მათი შესაბამის ნახატთან დაკავშირება.

სამუშაო უნდა შესრულდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მასწავლებელი სამუშაოს დაწყების წინ დეტალურად განუმარტავს მოსწავლეებს ინსტრუქციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს სამუშაოს შესრულების პროცესში. მისი მოვალეობაა მხოლოდ და მხოლოდ ინსტრუქციის ნათლად განმარტება.

სამუშაოს დასრულების შემდეგ იწყება ჯგუფური მსჯელობა სამუშაოს შესახებ. მოსწავლეები რიგრიგობით ხმამაღლა კითხულობენ თითოეულ წინადადებას და ასახელებენ, თუ რომელ ნახატთან დააკავშირეს იგი. სამუშ-

აოს სწორად შესრულების შემთხვევაში მოსწავლე სამუშაოს გასწვრივ დასვამს „+“ ნიშანს, ხოლო მცდარად შესრულების შემთხვევაში კი „–“ ნიშანს. ამგვარი სახით ჩვენ შემოგვაქვს მოსწავლის მიერ საკუთარი ნაშრომის შეფასება ანუ თვითშეფასება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია პირველკლასელთათვის. სწორედ აქ ეძლევა მასწავლებელს საშუალება მიუთითოს მოსწავლეებს დაშვებულ შეცდომებზე ან დაეხმაროს იმ მოსწავლეებს, რომელთაც სამუშაოს შესრულებისას გარკვეული სირთულეები შეექმნათ.

ამ ტიპის მუშაობას გარკვეულწილად ტესტური ფუნქციაც აქვს, იგი გვიჩვენებს კითხვის ფლობის რა ეტაპზე დგას მოსწავლე. ამიტომ მასწავლებელმა უნდა აღნუსხოს, მოინიშნოს მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები, სირთულეები და ხარვეზები.

2. სამუშაო გვერდზე მოცემულია მარტივი, მოკლე ამბის შემცველი ტექსტი. მოსწავლემ ყურადღებით უნდა წაიკითხოს ტექსტი, შეძლოს აზრის გამოტანა, შემდეგ კი ტექსტში მოცემული ინფორმაციის შესაბამისად ნახატის გაფერადება.

მუშაობის მეთოდი ისეთივეა, როგორც ეს აღვწერეთ წინა სავარჯიშოში.

3. ზოგ შემთხვევაში კი მოსწავლე კითხულობს ტექსტს და ასრულებს მის გაგებაზე დამყარებულ მარტივ ტესტებს, პრინციპით – შემოხაზე სწორი პასუხი.

დამოუკიდებლად საკითხავ მასალას თან ახლავს წერითი დავალებები. საამისოდ გამოყოფილია სათანადოდ გათვლილი საწერი ბადე. მოსწავლეები დამოუკიდებლად, ინსტრუქციის შესატყვისად წერენ სიტყვებს ან წინადადებებს; რიგ შემთხვევებში გადმოიწერენ ტექსტიდან წინადადებებს. ამ ტიპის დავალებების შემოწმებაც ხდება ჯგუფური მსჯელობისა და თვითშეფასების მეშვეობით.

დამოუკიდებლად საკითხავის სრულად შესრულებისა და შეფასების შემდეგ მასწავლებელი დასვამს კითხვებს: ვინ როგორ შეასრულა დავალებები, ვის რამდენი „+“ და „–“ დაუგროვდა, კმაყოფილები არიან თუ არა მიღწეული შედეგებით, რამ გამოიწვია მინუსების დაგროვება, როგორ მოვიქცეთ შემდგომში, რომ ასეთი შეცდომები აღარ დავუშვათ.

3.16. მიზნობრივი თამაშები

მიზნობრივი თამაში, ერთი მხრივ, სახალისოს ხდის სწავლის პროცესს, მეორე მხრივ, ავითარებს სოციალურ ჩვევებს. იგი საუკეთესო საშუალებაა ინდივიდის საზოგადოებაში ადაპტაციისთვის, უვითარებს მოსწავლეს გუნდურობის განცდას და მუშაობის ჩვევებს: ინსტრუქციის მოსმენა, გააზრება და შესრულება; შესასრულებელი სამუშაოს ეტაპების დაცვა, სხვისი მოსმენა და ა.შ. თამაშ-ვარჯიშები შესანიშნავი საშუალებაა მხედველობითი მეხსიერების გასავარჯიშებლად, სივრცითი მიმართებების დასამყარებლად, მეტყველებით-სმენითი აქტივობისათვის. შემოგთავაზებთ რამდენიმე ტიპის მიზნობრივ თამაშს. მასწავლებელი შეძლებს გააცნობიეროს, თუ დასახული მიზნის შესაბამისად როგორ შეიძლება დაიგეგმოს ამა თუ იმ ტიპის თამაში. ცხადია, მასწავლებელს შეუძლია გაამრავალფეროვნოს უკვე მოცემული მეთოდები. თითოეული მიზნობრივი თამაშის აღწერა და ჩატარების წესი მოცემულია გაკვეთილების გეგმებში, დამხმარე მასალის რუბრიკაში.

შენიშვნა: არ უნდა დავიწყოთ თამაში მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ინსტრუქცია ყველასთვის გასაგებია. რამდენჯერმე და ეტაპობრივად უნდა გავუმეოროთ თამაშის წესები და დასჯა-წახალისების ფორმები (ქულები, ვარსკვლავები, მზე). დასჯა-წახალისება განსაკუთრებით ორიენტირებული უნდა იყოს თამაშის დროს წესრიგისა და წესების დაცვაზე.

გთავაზობთ შემდეგი სახის მიზნობრივ თამაშებს:

- **თამაშები სასკოლო-სოციალური უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად:** „გავიცნოთ ერთმანეთი“; „მეგობრობის წრე“; „ჩვენ კლასელები ვართ“;
- **თამაშები სივრცითი მიმართებების ფორმირებისათვის:** „ჩვენი საკლასო ოთახი“; „შორს და ახლოს“; „მარჯვენა და მარცხენა“; „მატარებლობანა“; „მაძებარი“; „სად რა დავხატე“;
- **თამაშები მეტყველებით-სმენითი აქტივობისათვის:** „ვიპოვოთ განსხვავებული სიტყვა“; „ვის რა უყვარს“;
- **თამაში მხედველობითი მეხსიერების გასააქტიურებლად:** „რა ხატია სურათზე“.

მიზნობრივი თამაშების აღწერა და ჩატარების წესი

თამაში – გავიცნოთ ერთმანეთი:

თითოეული მოსწავლე გამოდის და ამბობს თავის სახელსა და გვარს. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ესალმებიან და ულოცავენ სკოლაში წასვლას.

მაგ.: – მე ვარ გიორგი მიქაძე.

– გამარჯობა გიორგი. გილოცავთ, შენ უკვე პირველკლასელი ხარ.

ეს მარტივი თამაში, ერთი მხრივ, ეხმარება ბავშვებს ერთმანეთის სახელის დამახსოვრებაში, აფიქსირებინებს მოსწავლეს თავის ახალ სოციალურ მდგომარეობას. იგი აძლევს ბავშვს წარდგენის (პრეზენტაციის) უმარტივეს უნარს და ჯგუფთან ურთიერთობის ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს.

თამაში – „მეგობრობის წრე“

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დგება წრეში. თავად იწყებს: „მე ვარ ნინო მიქელაძე“, შემდეგ კი ავალებს ბავშვებს თანმიმდევრობით დაასახელონ თავიანთი სახელი. თან აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას: „შეეცადეთ დაიმახსოვროთ თქვენი მეგობრების სახელები. ყურადღება მიაქციეთ, ვინ დგას თქვენ გვერდით.“ შემდეგ მოსწავლეები გაუშვებენ ერთმანეთს ხელს. მასწავლებელი აწევს მარჯვენა ხელს და ამბობს: „მე ავწიე მარჯვენა ხელი“. იგივეს სთხოვს მოსწავლეებსაც. შეამოწმებს ყველამ მარჯვენა ხელი ასწია თუ არა. შემდეგ კი რიგრიგობით ასახელებინებს, ვინ დგას მათ მარჯვნივ. ისევ იწყებს მასწავლებელი: „ჩემგან მარჯვნივ დგას თამუნა, თამუნა, ვინ დგას შენგან მარჯვნივ, დაასახელე“ და ა.შ. იგივე გამეორდება მარცხენა მხარის დაფიქსირებითაც.

ეს თამაშიც, ერთი მხრივ, ემსახურება მოსწავლეების ურთიერთგაცნობას, მეორე მხრივ, ჯგუფში ადაპტაციას. ამასთან ერთად, დგას სივრცითი მიმართულებების გავარჯიშების ამოცანაც.

თამაში – „ვიპოვოთ განსხვავებული სიტყვა“

მასწავლებელი თავდაპირველად მთელ კლასს აძლევს მარტივი კლასიფიკაციის ჩამონათვალს და წინასწარ მიუთითებს, რომ ჩამონათვალში შეურევს ერთ განსხვავებულ სიტყვას, რომელზედაც ბავშვებმა უნდა შემოჰკრან ტაში.

მაგალითად: „მე ჩამოგითვლით ბოსტნეულს, თუ რომელიმე სიტყვა არ იქნება ბოსტნეული, ტაში შემოჰკარით. კომბოსტო, სტაფილო, ვარდი, ხახვი, ჭარხალი, ბადრიჯანი.“

შემდეგ კლასს დაყოფს გუნდებად და ასეთ ინსტრუქციას აძლევს:

– მე ჩამოვთვლი ხილს. თქვენ დაიმახსოვრეთ და შემდეგ დაასახელეთ ის სიტყვები, რომელიც შემეშლება და არ იქნება ხილი. სანამ პასუხს მეტყოდეთ, შეთანხმდით, რომელი არ არის ხილი. პასუხებს ნუ წამოიძახებთ. თამაშის ბოლოს ყველა ჯგუფი გამცემს პასუხს.

გუნდებს ეძლევათ 4 სიტყვა, ერთი განსხვავებული. ყველა გუნდს ეძლევა თავისი ვარიანტი.

მაგალითად: 1) მსხალი, თუთა, ნიორი, კომში; 2) ალუბალი, პომიდორი, ქლიავი, ტყემალი; 3) ლეღვი, გარგარი, ბადრიჯანი, ბალი. 4)ვაშლი, ატამი, ბალი, კიტრი.

სასურველი იქნება, თუ ამ თამაშისათვის ნახატებიან ბარათებს მოვამზადებთ. ასეთ შემთხვევაში სიტყვების დასახელებასთან ერთად მასწავლებელი მოსწავლეებს ბარათებსაც დაურიგებს.

თამაში – „ჩვენ კლასელები ვართ“

ეს თამაში გათვლილია გუნდურობის განვითარებაზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აწიონ ხელი, ვისაც ხატვა უფრო უყვარს, ვიდრე სიმღერა და ცეკვა. მათ დააყენებს ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს დააყენებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სიმღერა უყვარს, შუაში დადგებიან ისინი, ვისაც ცეკვა უფრო უყვარს. შედგა სამი გუნდი. შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს წრე შეკრან და ჩაკიდონ ერთმანეთს ხელები.

I გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ხატვა, ჩვენ ვართ გუნდი.

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს – ამ გუნდს ის აკავშირებს, რომ ყველას უყვარს ხატვა.

II გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს სიმღერა, ჩვენ ვართ გუნდი.

ანალოგიური კომენტარი კეთდება.

III გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ცეკვა, ჩვენ ვართ გუნდი.

ისევ კომენტარი.

შემდეგ კი სამივე გუნდი გაერთიანდება. ყველანი ხელს ჩაკიდებენ ერთმანეთს და იტყვიან: – ჩვენ ვართ გუნდი, ჩვენ ვართ კლასელები, ჩვენ ვართ მეგობრები, ჩვენ გვიყვარს სწავლა.

თამაში – „მატარებლობანა“

ერთმანეთს ჩაებმებიან მასწავლებელი და ბავშვები (5-6 მოსწავლე) და „მატარებელი“ დაიძვრება. ვაჩერებთ ბავშვებს მოწოდებით „სდექ“!. ვეკითხებით ბავშვს: „გიორგი, ვინ არის შენ წინ, შენ უკან? ვინ არის თამუნას წინ, უკან?“

მატარებლიდან ჩამოვიდა, ვთქვათ, ორი მგზავრი – ახლა ვინ ვის უკან და წინ იქნება? მატარებელი აგრძელებს მოძრაობას. მასწავლებელი აჩერებს და ეკითხება, საით არის კარი? საით არის დაფა? საით არის ფანჯარა? მარჯვნივ თუ მარცხნივ? შეგვიძლია სამ-სამი მოსწავლე დავაყენოთ ერთმანეთის უკან და დავსვათ ანალოგიური კითხვები. ამ შემთხვევაში განვსაზღვროთ მარჯვენა-მარცხენა მიმართულებები.

თამაში — „რა ხატია სურათზე?“

მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს პატარა გუნდებად (3-4 მოსწავლე), დაფასთან გამოიძახებს რიგრიგობით თითოეულ გუნდს. დაფის დირეზე დევს გადაბრუნებული ნახატი. შემდეგ შემოაბრუნებს ნახატს და ეუბნება მოსწავლეებს: „კარგად შეხედეთ და დაიმახსოვრეთ, რა ხატია.“ მერე ისევ შეაბრუნებს ნახატს და გუნდის წევრებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ საგნები.

სურათი არ უნდა წარმოადგენდეს კომპოზიციას. მასზე უნდა ეხატოს 4-5 საგანი (შეიძლება ამოჭრილი სურათებიც დაწებდეს ფურცელზე), მაგალითად: წიგნი, ბურთი, სკამი, ვარსკვლავი, მანქანა. როდესაც მასწავლებელი ისევ ამოაბრუნებს სურათს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის საგანი, რაც გამორჩათ.

ყოველ მომდევნო გუნდს ეძლევა ახალი სურათი.

თამაში — „მარჯვენა და მარცხენა“

სივრცითი მიმართებების დაფიქსირების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარჯვენა-მარცხენის გარჩევას. ეს პროცესი, პირველ რიგში, საკუთარ სხეულთან მიმართებაში უნდა დაფიქსირდეს.

არაერთხელ ითქვა, რომ იდეა იმ ხელის დასახელების, რომლითაც წერენ, სრულყოფილი არ არის, რადგან ბავშვი შეიძლება ცაცია იყოს. ამ ბოლო ხანებში გაჩნდა სტიკერების გამოყენების იდეა.

შეგვიძლია ჩავატაროთ უმარტივესი ვარჯიშები: ავწიოთ მარჯვენა ხელი, მოვხაროთ მარჯენა ფეხი, გავშალოთ მარჯვენა ხელი და ა.შ.

შეიძლება შევკრათ წრე და მოსწავლეებს ვთხოვოთ, დაასახელონ ვინ დგას მათ მარჯვნივ და ვინ დგას მათ მარცხნივ.

მარჯვენა და მარცხენა უნდა დავაფიქსირებინოთ საგნებს შორის მიმართებაშიც. დავაწყოთ მერხზე ერთმანეთის გვერდით საგნები — მაგალითად: კალამი, რვეული, წიგნი. შემდეგ დავუსახელოთ საგნები და ვკითხოთ — რა დევს წიგნის მარჯვნივ? რა დევს რვეულის მარცხნივ და ა.შ.

შეგვიძლია, დაფაზე დავხატოთ საგნები — ყვავილი, ბურთი, მზე, ვარსკვლავი და მოსწავლეებს დავაფიქსირებინოთ მიმართებები, რა არის მზის ზევით, მზის ქვევით, მზის მარჯვნივ და მარცხნივ. თუ კლასში მაგნიტური დაფა გვაქვს, ამგვარი სავარჯიშოს შესრულება უფრო ადვილი იქნება.

თამაში — „ჩვენი საკლასო ოთახი“

სივრცითი მიმართებების დაფიქსირება უნდა დავიწყოთ საკუთარი სხეულის მიმართ. ამ მიზნით გამოვიყენოთ საკლასო ოთახის ინტერიერი.

— რა დგას შენ წინ, შენ უკან, შენ გვერდით?

— ვინ ზის შენ წინ, შენ უკან?

შემდეგ მოსწავლეს ვთხოვოთ საგნის მდებარეობის დაფიქსირება.

— რა დგას დაფის წინ?

— რა დგას დაფის უკან?

— რა დევს ფანჯრის რაფაზე?

— რა დევს მაგიდაზე?

— რა დგას კარის გვერდით?

ცხადია, შეკითხვებს განსაზღვრავს კონკრეტული ინტერიერი.

თამაში — „შორს და ახლოს“

ამ თამაშის მიზანია, მოსწავლეს დავაფიქსირებინოთ საგანთა შორის დაშორება.

— ვის მერხთან უფრო ახლოსაა დაფა, დიმიტრის მერხთან თუ ქეთინოს მერხთან?

— ვინ ზის ფანჯარასთან ახლოს?

— ვინ ზის ფანჯრიდან უფრო შორს?

ჩვენ შეგვიძლია ბავშვებს პრაქტიკული სავარჯიშოებიც შევთავაზოთ. მაგალითად, გამოვიყვანოთ მოსწავლეები და ვთხოვოთ:

— ნიკა დადგეს მაგიდასთან ახლოს, მარიამი — შორს.

ანდა განვალაგოთ ბავშვები და დავსვათ კითხვა:

— ვინ დგას სანდროსთან ახლოს და სანდროსგან შორს, ვინ დგას ნინოსთან ახლოს და ნინოსგან შორს?

თამაში — „ვის რა უყვარს?“

კლასი იყოფა ოთხ პატარა გუნდად. ერთმანეთს ეთამაშება ორ-ორი გუნდი.

ერთი გუნდის ბავშვები (ოთხივე) ჩამოთვლიან, ვის რა უყვარს.

მაგალითად: I მოსწავლე — ბანანი

II მოსწავლე — თოჯინა

III მოსწავლე — ბურთი

IV მოსწავლე — კანფეტი

მოპირდაპირე გუნდს ევალება დაიმახსოვროს, ვის რა უყვარს და გაიმეოროს უკვე სახელთან ერთად.

ზურიკოს – ბანანი
მაიას – თოჯინა
გიას – ბურთი
ელენეს – კანფეტი
შემდეგ შეიცვლება როლები.
მერე გამოვა შემდეგი ორი გუნდი.

თამაში – „სად რა დავხატე“

მოსწავლეებს ვურიგებთ სახატავ ფურცლებს. ვთხოვთ, რომ შუაში დახატონ საკუთარი თავი, შემდეგ კი დახატონ ხე, მზე და ყვავილი.

როდესაც დაასრულებენ ხატვას, თითოეულმა აგვიხსნას, სად რა დახატა – მაგალითად, მზე – ზევით, ხე – მარჯვნივ, ყვავილი – მარცხნივ.

შენიშვნა: როგორც უკვე ითქვა, სივრცით მიმართებებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სურათის აღწერის დროს.

თამაში – „მაძებარი“

შევადგენთ გუნდებს.

ერთი გუნდის ერთი მოსწავლე ხუჭავს თვალს. მოწინააღმდეგე გუნდის ბავშვები გარკვეულ ადგილას დებენ საგანს.

მოსწავლე ახელს თვალს და იწყებს მისთვის უცნობი საგნის ძებნას. მთავარია მან მიაგნოს ადგილს. თანაგუნდელებმა იციან საგანიც და ადგილიც. მათ კარნახით – წინ, უკან, მარჯვნივ, – მარცხნივ, უნდა მიიყვანონ მოსწალე საგანთან.

თამაში – „რკინის ჯარისკაცი – ნაჭრის თოჯინა“

მასწავლებელი მიმართავს კლასს:

– ბავშვებო, მე კმაყოფილი ვარ თქვენი მუშაობით. მოდით, შემდეგი სავარჯიშოს შესრულებამდე ცოტა დავისვენოთ. ბავშვებო, გინახავთ, როგორ დგანან ჯარისკაცები საპატიო ყარაულში? – აი, ასე გაჭიმულები და გასწორებულები (და თვითონ უჩვენებს ამ პოზას – გასწორდება, გაჭიმულ ხელებს ჩაასწორებს, თავს მაღლა ასწევს). ახლა გაიხსენეთ, როგორებია ნაჭრის რბილი სათამაშოები, მოდუნებული და მოშვებული (და თვითონაც მოეშვება, მოდუნდება). ახლა ვითამაშოთ. მე თუ გავცემ ბრძანებას: ჯარისკაცებო, გასწორდით! თქვენ ადგებით, დადგებით მერხების გვერდით და გაიჭიმებით, აბა მაჩვენეთ, როგორ, ასეე. მე თუ გავცემ ბრძანებას: თოჯინებო, მოდუნდით! თქვენ მოდუნდებით, მოეშვებით. აბა, მაჩვენეთ, როგორ; კარგია. აბა, დავიწყოთ!

გვახსოვდეს, რომ თამაში უნდა დავასრულოთ გასწორების, გაჭიმვის ფაზით, რათა მივიღოთ მობილიზების ეტაპი.

რუბრიკა „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“

ეს რუბრიკა მოსწავლის წიგნში მეორე სემესტრიდან შემოდის და მოსწავლისაგან სხვადასხვა აქტივობების შესრულებას მოითხოვს. თამაშის ინსტრუქციას მოსწავლეები თვითონ კითხულობენ. შემდეგ ასრულებენ დავალებებს: წერენ, ხატავენ, გამოჭრიან, ინაწილებენ და ასრულებენ როლებს, ასრულებენ თამაშის პირობაში მოცემულ სხვადასხვა აქტივობებს.

3.17. დიდაქტიკური მასალა

ცხადია, ნებისმიერ სასწავლო ტექსტს თავისი დიდაქტიკური ფუნქცია აქვს. მაგრამ ზოგიერთი მასალა საშუალებას იძლევა თვალნათლივ გამოიყოს ეს დიდაქტიკა. განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას ისეთ საკითხებზე, რომელთა მიზანია ბავშვის სასკოლო-სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და უშუალოდ უკავშირდება მის ყოველდღიურ ყოფას და საჭიროებებს. მაგალითად: ქუჩაში მოძრაობის წესები, საკუთარი მისამართის ცოდნის აუცილებლობა, როგორ უნდა მოექცე მეგობარს, განცობის ეტიკეტი, ქცევის ეტიკეტი. ეს თემატიკა დიდაქტიკური რჩევების სახითაა წარმოჩენილი. მაგალითად, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობასთან „ყველაზე ლამაზი დედიკო“ მოცემულია დარიგება:

„თუ გზა აგერია და დაიკარგე, ნუ შეშინდები, ნურც ატირდები.

მთავარია იცოდე შენი მისამართი: ქალაქი ან სოფელი, უბანი, ქუჩა, სახლის ნომერი.

კარგია, თუ მშობლების ტელეფონის ნომერიც გეცოდინება.“

ამგვარი რჩევა-დარიგება უშუალობითა და სისადავით გამოირჩევა, იგი უკავშირდება სასწავლო მასალას და არ არის ამოვარდნილი საერთო კონტექსტიდან.

4. მასწავლებლის წიგნის პრაქტიკული ნაწილი

4. 1. გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკითხები

დაგეგმვა სასურველია გაკვეთილის გეგმის სქემის შედგენით დავიწყოთ.

ქვემოთ მოგვყავს გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა. ამ სქემაში მოცემულია ყველა ის საკითხი, რაზედაც უნდა აიგოს გაკვეთილი.

გაკვეთილის გეგმის სტანდარტული სქემა

მასწავლებელი	
გაკვეთილის ჩატარების თარიღი	
გაკვეთლის თემა	
სწავლების საფეხური და კლასი	
საგაკვეთილო დრო	
მოსწავლეთა რაოდენობა	
ინდ.სასწ. გეგმის არსებობა	
სასწავლო მიზნები	
ესგ-თი განსაზღვრული მისაღწევი შედეგები/ ინდიკატორები	
გამოყენებული მეთოდები, სტრატეგიები	
გაკვეთილის თანამიმდევრობა/ აქტივობები	
დავალება, დავალების შეფასება	
სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსები	
შეჯამება	
შეფასება	
თვითშეფასება	

გაკვეთილის კონსტრუირების მეორე საყრდენი ბურჯია გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები და მასალის წარდგენის ფაზები. ეს ფაზებია:

გამოწვევის ფაზა

I – მოტივაცია

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საჭიროა კონკრეტულ თემასთან მიმართებით მასწავლებელმა შეარჩიოს შესაბამისი აქტივობა და მოიფიქროს, რა დამატებითი რესურსი შეიძლება გამოიყენოს. ამასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, მის მიერ შერჩეული აქტივობები და დამატებითი რესურსები რამდენად შეუწყობს ხელს გარკვეული გამოცდილების საფუძველზე ახალი ინტერესების გაჩენასა და მოტივაციის ამაღლებას; რამდენად ემსახურება იგი მასალის უკეთ გააზრებას.

II – საკითხის დასმა, ამოცანის განსაზღვრა

მასწავლებლის მიერ განსაზღვრული მიზნისა და მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, წინასწარ დაგეგმილი სამუშაოების მიზნისა და ამოცანის ნათლად განსაზღვრა და მოსწავლეებისათვის განმარტება.

სიღრმისეული წვდომის ფაზა

I – ძირითადი სასწავლო მასალის დამუშავება წინასწარ შერჩეული მეთოდებითა და აქტივობებით.

II – მოსწავლეების ორგანიზება სამუშაოს დამოუკიდებლად შესასრულებლად, ზუსტად განსაზღვრული აქტივობებითა და ნათელი, ცხადი ინსტრუქციით.

რეფლექსიის ფაზა

I – შესრულებული სამუშაოს შემოწმება და გასწორება წინასწარ დაგეგმილი მეთოდებით და სამუშაოს ზუსტი ორგანიზებით.

II – საშინაო დავალების შემოწმება. შესრულებული სამუშაოს შეჯამება, შეფასება და თვითშეფასება.

შეჯამების ფაზა

შესრულებული სამუშაოების განმტკიცება – შეჯამება. საშინაო დავალების მიცემა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი მაინც გაკვეთილის მიზანზეა დამოკიდებული. ზოგიერთი გაკვეთილი შეიძლება იყოს ერთი დიდი ექსპერიმენტი, ან პროექტი. მაგალითად, ზღაპრის გათამაშება, თოჯინების თეატრის წარმოდგენა, ან კულინარიის დღე. მთავარი ის არის, რომ გაკვეთილის თემა აჩენს იდეას, მაგრამ იდეის განხორციელება უნდა დავიწყოთ სტანდარტთან მიმართებით; სტანდარტიდან გამომდინარე, დავსახოთ მიზნები, მიზნებიდან გამომდინარე განვსაზღვროთ შედეგები, შედეგების მისაღწევად დავსახოთ სტრატეგიები, შევარჩიოთ მეთოდები და მეთოდების შესაბამისად განვახორციელოთ აქტივობები, აქტივობების შესაბამისად განვსაზღვროთ შეფასების კრიტერიუმები. მაგრამ ვიდრე ყოველივე ამას შევაფასებდეთ, უნდა განვსაზღვროთ ყველაზე მთავარი – რა ტიპის სწავლება უფრო წაადგება მოსწავლეს. თუ ჩვენ გვინდა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარება, ამისათვის ყველაზე მისაღებია კონსტრუქტივისტური მეთოდი, როდესაც მასწავლებელი ეხმარება მოსწავლეს თავად ააგოს ცოდნის ლოგიკური ჯაჭვი, აღმოაჩინოს, დაადგინოს, განაზოგადოს და დასკვნა გამოიტანოს. ამგვარი გაკვეთილების ჩატარება ალბათ ძნელია, მით უმეტეს დაწყებით კლასებში, სადაც სასწავლო რუტინას დიდი დრო მიაქვს. მაგრამ თუ გვინდა სწავლა სახალისო და შედეგიანი იყოს, სწორედ კონსტრუქტივისტური მეთოდი უნდა იყოს წარმმართველი.

4.2. საგნობრივი სასწავლო გეგმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. დაწყებითი საფეხური

I კლასი

საფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები

მიმართულება: ზეპირმეტყველება	
სტანდარტის შედეგები	**I კლასის შეფასების ინდიკატორები**
1	**2**
ქართ.დაწყ.(I).1. მოსწავლემ უნდა შეძლოს სათანადო სამეტყველო ქცევის გამოვლენა ნაცნობ საკომუნიკაციო სიტუაციაში.	**მოსწავლე:** ➢ სწორად რეაგირებს ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში; ➢ გასაგებად გამოხატავს სათქმელს; ➢ გადმოსცემს ფაქტებს; ➢ საჭიროების მიხედვით, ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს (უსმენს სხვებს, სვამს/ პასუხობს შეკითხვებს); ➢ ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციებს; ➢ ამოიცნობს და მიზნის შესაბამისად იყენებს მეტყველების ვერბალურ და არავერბალურ საშუალებებს (ჟესტებს, მიმიკასა და სხვ.).

1	2
ქართ.დაწყ.(I).2. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება-გააზრება და გადმოცემა.	**მოსწავლე:** ➢ ისმენს და ადეკვატურად აღიქვამს მარტივ ინფორმაციას ნაცნობ თემაზე; ➢ ამოიცნობს ზღაპარს დასაწყისისა და დასასრულის ფორმულების მიხედვით („იყო და არა იყო რა“; „ჭირი იქა, ლხინი აქა“...); ➢ ამოიცნობს ფაქტების/მოქმედებების თანამიმდევრობას ტექსტში; ➢ ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას; ➢ აკავშირებს ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად); ➢ ამოიცნობს მოსმენილი მხატვრული ტექსტის პერსონაჟის ემოციურ მდგომარეობას (მხიარული, მოწყენილი, გაკვირვებული და ა. შ.); ➢ ილუსტრაციებს უკავშირებს მოსმენილ ტექსტს და განალაგებს მათ მოქმედებათა თანამიმდევრობის მიხედვით; ➢ გადმოსცემს ნაცნობი ტექსტის/ტექსტის ეპიზოდის შინაარსს (მარტივი საყრდენების გამოყენებით ან მათ გარეშე).
ქართ.დაწყ.(I).3. მოსწავლემ უნდა შეძლოს პირადი დამოკიდებულების გამოხატვა ტექსტის თემის, მასში განხილული საკითხების მიმართ; მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟ(ებ)ის, მისი/მათი ქცევის შეფასება და საკუთარი თვალსაზრისის ახსნა.	**მოსწავლე** ➢ იხსენებს მოსმენილის მსგავს ამბავს, ცდილობს ახსნას, რით ჰგავს იგი მოსმენილს; ➢ აფასებს პერსონაჟსა და მის საქციელს (კეთილია / ბოროტია; კარგად მოიქცა / ცუდად მოიქცა და ა.შ.); ➢ აფასებს მოსმენილს (მომეწონა / არ მომეწონა), ცდილობს ნათქვამის ახსნას.
ქართ.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკისა და ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციების სათანადოდ გამოყენება; მართლმეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** ➢ მკაფიოდ გამოთქვამს ბგერებს/ მარცვლებს სიტყვაში; ➢ განარჩევს მსგავსი ჟღერადობის მარცვლებს/სიტყვებს; ➢ ადეკვატურად იყენებს აქტიურ ლექსიკას; ➢ პაუზით გამოყოფს სიტყვებს ერთმანეთისგან; ➢ მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს (თხრობას, შეკითხვას, თხოვნას, ბრძანებას) და შესაბამის ინტონაციას; ➢ იყენებს საკავშირებელ სიტყვებს (და, რომ, მაგრამ...); ➢ ამოიცნობს და სათანადოდ იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ფორმულებს (მისალმება, დამშვიდობება, ბოდიშის მოხდა, მადლობის გადახდა და ა. შ.); ➢ წინადადების დასრულებას გამოხატავს პაუზით და შესაბამისი ინტონაციით; ➢ თავს არიდებს პარაზიტი ჩანართების („ესე იგი“, „დიახ“, „მნა-მნა“...) გამოყენებას სამეტყველო პაუზების დროს; ➢ მეტყველებს გაბმულად (შეფერხებების გარეშე), მკაფიოდ და გასაგებად.

ქართ.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ზეპირმეტყველების ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე** ➢ სვამს შეკითხვებს უცნობი სიტყვის მნიშვნელობის, კონკრეტული ფაქტის/ინფორმაციის დასაზუსტებლად; ➢ მიზნის შესაბამისად იყენებს საყრდენებს (მაგ., მინიშნებებს, ილუსტრაციებს, შეთავაზებულ მარტივ სქემას, ინსტრუქციასა და სხვ.).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ➢ სიტუაციური/როლური თამაშები, ჯგუფური აქტივობები (მოსწავლეთათვის სხვადასხვა სამეტყველო როლის შეთავაზებით);
- ➢ ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) ნაცნობი ტექსტის/თემის შესახებ;
- ➢ თხრობა, საუბარი კონკრეტულ ფაქტებზე წინასწარ მიცემული მარტივი გეგმის/ინსტრუქციის საფუძველზე (მაგ., საუბარი ყოველდღიური საქმიანობის შესახებ რუბრიკებით: „დილა“, „შუადღე“, „საღამო“);
- ➢ პერსონაჟის განსახიერება (შესაბამისი ხმის ტემბრით, ჟესტებით, მიმიკით, ინტონაციით, რიტმული მოძრაობებით) და/ან განსახიერებული პერსონაჟის ამოცნობა;
- ➢ ილუსტრაციის აღწერა მოქმედების დასახელებით, საგნებისა და მათი განლაგების (წინ, უკან, ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ) აღნიშვნით;
- ➢ მოსმენილი ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/მონაკვეთების მიხედვით ილუსტრაციების შექმნა და დასათაურება
- ➢ და სხვა.

მიმართულება: კითხვა	
სტანდარტის შედეგები	**I კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ. დაწყ.(I).6. მოსწავლემ უნდა შეძლოს გაწაფულად კითხვა.	**მოსწავლე:** ➢ სიტყვებში გამოყოფს და წარმოთქვამს მარცვლებს, მარცვლებში – ბგერებს; ➢ სიტყვებს შლის ბგერებად, ბგერებს აერთიანებს სიტყვებად; ➢ თავისუფლად ცნობს ხშირად გამოყენებული სიტყვის ორთოგრაფიულ ხატს; ➢ ნაცნობ ასოებს ამთლიანებს მარცვლებად, მარცვლებს - სიტყვებად; ➢ თავისუფლად კითხულობს ნაცნობ სიტყვებს; ➢ თავისუფლად კითხულობს ანბანის ყველა ასოს; ➢ ხმამაღლა (მთლიანი სიტყვებით ან დამარცვლით) კითხულობს და იგებს მარტივი წინადადებებით შედგენილ მცირე ზომის სხვადასხვა ტიპის ტექსტებს; ➢ ხმამაღლა კითხვისას სწორად მონიშნავს წინადადების საზღვრებს ტექსტში, იცავს პაუზას; ➢ ცდილობს სათანადო ინტონაციით გამოხატოს წინადადების მოდალობა (თხრობითი და კითხვითი წინადადებების); ➢ აგრძელებს სხვის მიერ დაწყებულ კითხვას სათანადო ადგილიდან.

ქართ.დაწყ.(I).7. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება; ტექსტში ვერბალური და არავერბალური ფორმით მოწოდებული ინფორმაციის (მაგ., ილუსტრაციისა და ტექსტის) ურთიერთადაკავშირება.	**მოსწავლე:** ➢ ამოიცნობს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, როდის, რამდენი, როგორ...); ➢ აკავშირებს ერთმანეთთან ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციას (მასწავლებლის დახმარებით ან დამოუკიდებლად); ➢ ამოიცნობს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების (მაგ., მისალოცი/მოსაწვევი ბარათის, რეკლამის, გამაფრთხილებელი აბრის, სხვ.) დანიშნულებას, ადრესატს; ➢ გამოაქვს დასკვნა ნაწარმოებში წამოწეულ ზნეობრივ და მორალურ საკითხებზე/თემებზე (მაგ., სიზარმაცე ცუდია, უნდა იყო მეგობრული...); ➢ იგებს და ასრულებს მარტივი ენით დაწერილ სამ- ან ოთხსაფეხურიან ინსტრუქციებს (მაგ., იცავს უსაფრთხოების წესებს, ქმნის მარტივ ნაკეთობას და სხვ.); ➢ დამოუკიდებლად იგებს სავარჯიშოს/დავალების პირობას; ➢ ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტში მოცემულ კონკრეტულ ინფორმაციასა და ილუსტრაციას.
ქართ.დაწყ.(I).8. მოსწავლემ უნდა შეძლოს მცირე ზომის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირება ვერბალური და არავერბალური გზით; ვერბალური ინფორმაციის ვიზუალურად გარდაქმნა და/ან პირიქით.	**მოსწავლე:** ➢ ხატავს/აფერადებს წაკითხული ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდს/პერსონაჟს; ➢ წარმოადგენს მხატვრული ტექსტის პერსონაჟს სათანადო ხმის ტემბრით, ინტონაციით, ჟესტ-მიმიკით (ნაწარმოების ინსცენირების, როლური თამაშის დროს); ➢ ილუსტრაციაზე დაყრდნობით ჰყვება ამბავს.
ქართ.დაწყ.(I).9. მოსწავლემ უნდა შეძლოს წაკითხული ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა; ტექსტის თემის და/ან მასში განხილული კონკრეტული საკითხების შეფასება.	**მოსწავლე:** ➢ წაკითხული ტექსტის მიმართ გამოხატავს პირად დამოკიდებულებას (მომეწონა/არ მომეწონა); ➢ ვერბალური თუ არავერბალური ტექსტებით გადმოცემულ ამბავს უკავშირებს საკუთარ გამოცდილებას (მაგ., მე როგორ მოვიქცეოდი/მოვიქეცი ანალოგიურ სიტუაციაში); ➢ აფასებს პერსონაჟის საქციელს (კარგად/ცუდად მოიქცა; კეთილია, ზარმაცია და ა.შ.).
ქართ.დაწყ. (I).10. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მაორგანიზებელი ელემენტების, სტრუქტურული და კომპოზიციური მახასიათებლების ამოცნობა.	**მოსწავლე:** ➢ განარჩევს ერთმანეთისაგან წიგნის გარეკანს, თავფურცელს, სათაურს, ძირითად ტექსტს, ავტორის გვარსა და სახელს, ტექსტის ბოლოს მოცემულ კითხვებს და სხვ.; ➢ ამოიცნობს ტექსტის მაორგანიზებელ ელემენტებს (სათაურს, ილუსტრაციას, აბზაცს, წარწერას, ლოგოს, ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს, მაგ., მსხვილ შრიფტს და სხვ.); ➢ ამოიცნობს ტექსტის, აბზაცის, სტროფის, წინადადების დასაწყისსა და დასასრულს; ➢ განარჩევს მარტივი სახის პრაგმატული ტექსტების (წერილის, მისალოცი ბარათის, სხვ.) სტრუქტურულ ელემენტებს (მიმართვას, ძირითად ტექსტს, ხელმოწერას), ამოიცნობს მათს ფუნქციას.
ქართ.დაწყ.(I).11. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების ლექსიკურ და სემანტიკურ მხარეზე, ენობრივ ფორმებზე დაკვირვება.	**მოსწავლე:** ➢ განარჩევს წინადადებათა მოდალობებს (თხრობით, კითხვით, ბრძანებით წინადადებებს); ➢ ცდილობს უცნობი ლექსიკური ერთეულების,ენობრივი ფორმების მნიშვნელობის გააზრებას (სხვათა დახმარებით); ➢ ამოიცნობს სასვენ ნიშნებს (წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს).

ქართ.დაწყ.(I).12. მოსწავლემ უნდა შეძლოს კითხვის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** ➢ სიტყვის/წინადადების/მონაკვეთის უკეთ გასაგებად უბრუნდება წაკითხულს; ➢ კონტექსტზე დაყრდნობით ცდილობს ამოიცნოს უცნობი სიტყვის მნიშვნელობა ან მიმართავს მასწავლებელს/მშობელს; ➢ ილუსტრაციაზე დაყრდნობით გამოთქვამს ვარაუდს, რაზე/ვისზე შეიძლება იყოს ნაწარმოები; ➢ საჭიროებისამებრ იყენებს საყრდენებს/მინიშნებებს (ილუსტრაციას, მარტივ გეგმას და სხვ.); ➢ საჭიროებისამებრ იყენებს მულტიმედიურ რესურსებს (ნეტ-ბუქის მასალას).

დავალებათა / აქტივობათა ნიმუშები:

- ➢ სიტყვებში ნაცნობი ასოების პოვნა და მათი შესაბამისი ბგერების წარმოთქმა;
- ➢ სხვადასხვა სიტყვის ორთოგრაფიული ხატების შედარება, საერთო მარცვლების, ასოების პოვნა;
- ➢ ასოებისაგან სიტყვის, მოკლე წინადადების შედგენა მოძრავი ანბანის გამოყენებით;
- ➢ სიტყვაში გამოტოვებული ასოს აღდგენა, წინადადებაში - გამოტოვებული სიტყვისა;
- ➢ სიტყვათა ჩამონათვალში მითითებული სიტყვის პოვნა;
- ➢ სიტყვის გრაფიკული ხატისა და სურათის დაკავშირება;
- ➢ საბავშვო წიგნების, ჟურნალების დათვალიერება-განხილვა ილუსტრაციებზე, მსხვილ შრიფტსა და სხვა ფორმალურ მახასიათებლებზე დაკვირვების მიზნით;
- ➢ რებუსების ამოხსნა;
- ➢ მიჯრით მიწყობილი სიტყვების ხაზით გამოყოფა;
- ➢ გრძელ სიტყვაში მოკლე სიტყვის ამოცნობა;
- ➢ აბზაცში წინადადებების, წინადადებაში სიტყვების რაოდენობის დათვლა;
- ➢ ინტერაქცია (კითხვა-პასუხი) წაკითხული ტექსტების თემის, მხატვრული ტექსტების პერსონაჟების შესახებ (მათი ქცევის შეფასების მიზნით);
- ➢ ნაცნობი ტექსტის ალტერნატიული სათაურის მოფიქრება;
- ➢ ამბის (ზღაპრის, მცირე ზომის მოთხრობის) დასასრულის შეცვლა;
- ➢ ილუსტრაციების დასათაურება;
- ➢ წაკითხული ტექსტის მიხედვით აპლიკაციების, კოლაჟების შექმნა;
- ➢ ლექსიკური სავარჯიშოები (მაგ.,საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების დაკავშირება: ცუდი - კარგი, ბოროტი - კეთილი);
- ➢ წაკითხული ტექსტის სახელდახელო ინსცენირება

  და სხვა.

მიმართულება: წერა	
სტანდარტის შედეგები	**I კლასის შეფასების ინდიკატორები**
ქართ.დაწყ.(I).13. მოსწავლემ უნდა შეძლოს სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის მცირე ზომის მარტივი ტექსტების შექმნა ნაცნობ თემატიკაზე.	**მოსწავლე:** ➢ წერს მარტივ წინადადებებს, ფრაზებს, მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე, გასაგებად გადმოსცემს აზრს; ➢ ავსებს ტექსტში ნაკლულ ინფორმაციას; ➢ წარწერას უკეთებს ილუსტრაციას; ➢ წერილობით პასუხობს მარტივ კითხვებს; ➢ წერს და აფორმებს მარტივი სახის პრაგმატულ ტექსტებს (მოდელის, საყრდენების, მინიშნებების გამოყენებით).

ქართ.დაწყ.(I).14. მოსწავლემ უნდა შეძლოს ნაცნობი ლექსიკის, ნასწავლი ენობრივ-სინტაქსური კონსტრუქციებისა და სტრუქტურული ელემენტების ადეკვატურად გამოყენება; კალიგრაფიისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.	**მოსწავლე:** ➢ აღწერს კონკრეტული ასოს ზედა/ქვედა/შუა ნაწილებს (მაგ., სად არის სწორი ხაზი, რგოლი, რკალი, საით მრგვალდება რკალი, რამდენი რკალია და ა.შ.); ➢ იცავს ხაზოვან სისტემაში ასოების განლაგების პრინციპს; ➢ ხელის სწორი მოძრაობით წერს ანბანის ყველა ასოს შესაბამისი მიმართულებით; ➢ დამოუკიდებლად წერს სიტყვებს, რომელთა ორთოგრაფიული ხატი მისთვის ნაცნობია; ➢ წერს აკურატულად, იცავს კალიგრაფიის საბაზისო პრინციპებს (მანძილს ასოებს, სიტყვებს, სტრიქონებს შორის და სხვ.); ➢ სათანადოდ იყენებს საგნების, მათი თვისებებისა და მოქმედების გამომხატველ სიტყვებს; ➢ სიტყვების დასაკავშირებლად მართებულად იყენებს კავშირებს (და, მაგრამ...); ➢ სათანადოდ იყენებს სასვენ ნიშნებს წინადადების ბოლოს (წერტილს, კითხვის ნიშანს).
ქართ.დაწყ.(I).15. მოსწავლემ უნდა შეძლოს წერის ნაცნობი სტრატეგიების გამოყენება მიზნის შესაბამისად.	**მოსწავლე:** ➢ იყენებს მოდელს, მითითებებს/საყრდენებს (ტექსტების შედგენისა და სათანადოდ გაფორმების მიზნით); ➢ სიტყვის დაწერამდე ჩუმი ხმით წარმოთქვამს მას (დასაწერ სიტყვას); ➢ სიტყვის წერისას ჩუმი ხმით ასახელებს გამოსაყვანი ასოს შესაბამის ბგერას; ➢ ხმადაბლა, დამარცვლით გადაიკითხავს ნაწერს შეცდომების აღმოჩენისა და გასწორების მიზნით.

დავალებათა/აქტივობათა ნიმუშები:

- ➢ ნაცნობი ასოს მოხაზულობის ჰაერში გამოსახვა (ხელის სწორი მოძრაობით);
- ➢ ასოების გამოძერწვა, გაფერადება, გამოწერა წერტილების შეერთებით;
- ➢ სიტყვების/წინადადებების გადაწერა (წიგნიდან, დაფიდან);
- ➢ ნაცნობ თემაზე/საკითხზე მოცემული სიტყვებისგან წინადადებების შედგენა და დაწერა;
- ➢ მასწავლებლის მიერ მოცემული სიტყვების მიხედვით მარტივი წინადადებების შედგენა;
- ➢ წინადადების/მცირე ზომის ტექსტის შედგენა ნაცნობ თემაზე საყრდენების (ჩარჩო-კონსტრუქციების) გამოყენებით ან მათ გარეშე („ჩემი ოჯახი“, „ჩემი მეგობარი“ და სხვ.);
- ➢ კარნახით წერა (ასოების, მარცვლების, სიტყვების, წინადადებების);
- ➢ ნაცნობი თემატიკის მარტივ ტექსტში ნაკლული ინფორმაციის შევსება;
- ➢ მარტივი სახის მცირე ზომის პრაგმატული ტექსტების (მისალოცი/მოსაწვევი ბარათის, წერილის, საყიდლების სიის, დღის რეჟიმის, გამაფრთხილებელი აბრის, საყვარელი კერძების მენიუს) შედგენა მოდელის, მინიშნებების/საყრდენების გამოყენებით;
- ➢ მარტივი კითხვარის შევსება ბიოგრაფიული და/ან სხვა მონაცემებით (მაგ., „მე მქვია...“, „მე მიყვარს...“ და სხვ.);
- ➢ არეული რიგით მოწოდებული სიტყვებისგან წინადადების/მცირე ზომის პრაგმატული ტექსტის შედგენა (მაგ., გამაფრთხილებელი აბრის შექმნა სიტყვებისგან: „წესები, მოძრაობის, დაიცავი“)
- ➢ და სხვა.

4.3. რეკომენდაციები პირველკლასელთა შეფასებისათვის

I-IV კლასებში მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით. თუ მასწავლებელმა კარგად არ გაიაზრა განმავითრებელი შეფასების მიზნები და, აქედან გამომდინარე, პრინციპები, მოსწავლისა და მშობლისათვის ბუნდოვანი დარჩება მოსწავლის შედეგები. ამიტომაა, რომ მშობელთა ნაწილი ფიქრობს, რომ უფრო მოსახერხებელი იყო განმსაზღვრელი შეფასება. განმსაზღვრელი შეფასება ხშირად სტრესში აგდებს ბავშვს. მოსწავლე პირველივე მარცხის შემთხვევაში დაბალი მოსწრების ჯგუფში ინაცვლებს.

შეგახსენებთ, რომ ესგ ნათლად აყალიბებს განმავითარებელი შეფასების მიზნებს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, ემსახურებოდეს და ხელს უწყობდეს: სწავლება-სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, წინსვლისა და განვითარების შფასებას, წინარე ცოდნის დადგენას, ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის შეფასებას. უნდა შეფასდეს მეტაკოგნიციის უნარი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი.

განმავითარებელი შეფასების საგანი. განმავითარებელი შეფასების საგანია **სწავლის პროცესი**. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა და არა შედეგის, მაგალითად: ტექსტის შესწავლის პროცესის, რაიმე თემის დამუშავების, პროექტზე მუშაობის რომელიმე ეტაპის შეფასება, რჩევების მიცემა და არა თავად ნამუშევრის შეფასება.

განმავითარებელი შეფასების მეთოდებია: მასწავლებლის მიერ მოსწავლის შეფასება, მოსწავლის თვითშეფასება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება.

განმავითარებელი შეფასების უკუკავშირი გულსხმობს წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევას, სწავლის სტრატეგიის შეცვლას, რჩევა-დარიგების გათვალისწინებით შედეგზე გასვლას (რა დონე ჰქონდა და რა დონეს მიაღწია).

როგორც იცით, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, I-IV კლასებში მოსწავლეთა შეფასება ნიშნებით რეკომენდებული არ არის. კლასის დამრიგებელს ევალება ყოველი სემესტრისა და წლის ბოლოს მოსწავლისათვის მოკლე შემაჯამებელი კომენტარის დაწერა.

ბუნებრივია, ჩნდება ბევრი კითხვა: რის საფუძველზე დაწეროს კომენტარი კლასის დამრიგებელმა? რა ინფორმაცია მიაწოდოს კლასის დამრიგებელს საგნის მასწავლებელმა? საკმარისია თუ არა დაინტერესებული მშობლისათვის მხოლოდ სემესტრის ბოლოს მიღებული ინფორმაცია და სხვა.

პასუხები ამ კითხვებზე მასწავლებლებს განათლების რეფორმის პროცესში თანდათან უგროვდებათ. ჩვენც შემოგთავაზებთ რამდენიმე რეკომენდაციას:

1. შეფასების მთავარი ორიენტირი არის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მისაღწევი შედეგები ამა თუ იმ საგანში. შეფასების მეშვეობით, ჩვენ უნდა დავადგინოთ მოსწავლის მიღწევების შესაბამისობა საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. მოსწავლის შეფასებამ უნდა გვიჩვენოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, რათა მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მას უკეთესი შედეგების მიღწევაში.

3. ვიზრუნოთ მოსწავლეების შინაგანი და გარეგანი მოტივაციის ჩამოყალიბებაზე.

შინაგანი მოტივაცია მოსწავლეს უჩნდება ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებისა თუ რაღაცის აღმოჩენის სურვილით. მაგალითად, თუ მასწავლებელს ასახსნელი აქვს მოთხრობა „ყველაზე ლამაზი დედიკო“, ის დასვამს კითხვას: „ბავშვებო, როგორ ფიქრობთ, რატომ ჰქვია ამ მოთხრობას „ყველაზე ლამაზი დედიკო“? მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდებს, რის შემდეგ მასწავლებელი კიდევ უფრო აძლიერებს ინტერესს მოთხრობის მიმართ: „აბა, ვნახოთ, თუ გამართლდება თქვენი ვარაუდები: წავიკითხოთ მოთხრობა!“ მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან ერთად განხორციელებული ამგვარი აქტივობის შედეგად მოსწავლეების უმრავლესობა მოტივირებულია მოთხრობის წასაკითხად და ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

თუ მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს: „ვინც ამ მოთხრობას უშეცდომოდ წამიკითხავს, ჩემგან ხუთ მზეს მიიღებს“, ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნება გარეგანი მოტივაციის შექმნასთან.

ამგვარად, გარეგანი მოტივაცია მოსწავლეს უყალიბდება გარეშე ფაქტორის ზეგავლენით – ჯილდოს მოპოვების სურვილით.

შინაგანი მოტივაციის ამაღლების მიზნით:

- მივცეთ მოსწავლეებს აზრის თავისუფლად გამოთქმის საშუალება;
- ხშირად ჩავრთოთ ისინი თამაშის ტიპის სახალისო აქტივობებში;
- დავალების შერჩევისას მაქსიმალურად გავითვალისწინოთ მათი ასაკობრივი შესაძლებლობები.

გარეგანი მოტივაციის ასამაღლებლად:

- დავაწესოთ გარკვეული ჯილდო ან საჩუქარი კარგი შედეგებისათვის;
- წინასწარ ზუსტად და გარკვევით ავუხსნათ მოსწავლეებს, თუ რა მიღწევისთვის ვაწესებთ ჯილდოს;
- შექება უნდა იყოს კონკრეტული. მოსწავლემ ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რისთვის შეაქეს.

გვახსოვდეს, რომ ბალანსი შინაგან და გარეგან მოტივაციებს შორის არ უნდა დავარღვიოთ!

4. შეფასება უნდა ვაწარმოოთ როგორც ყველა გაკვეთილზე (მიმდინარე შეფასება), ასევე სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს (შემაჯამებელი შეფასება).

5. გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასების მეშვეობით, მასწავლებელი მიზანმიმართულად ეხმარება მოსწავლეს სასწავლო პროცესში გაჩენილი პრობლემების დაძლევასა და ახალი უნარების შეძენაში.

- განმავითარებელი შეფასების მიზნით, მასწავლებელი აწვდის მოსწავლეს ზეპირ ან წერილობით კომენტარებს მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

კომენტარი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის ნამუშევრის როგორც ძლიერ, ასევე სუსტ მხარეებს. კომენტარში დაწვრილებით უნდა იყოს მითითებული სუსტი მხარეების დაძლევის გზები.

ზეპირი თუ წერილობითი კომენტარი ზომიერი უნდა იყოს. გვახსოვდეს, რომ ვაფასებთ მოსწავლის ნაშრომს და არა მოსწავლის პიროვნებას! გადაჭარბებული შექება ან დატუქსვა დაუშვებელია. მაგ.: „ამ კლასში მხოლოდ გიორგის იმედი მაქვს“, ანდა „ნინო ამ კლასში საუკეთესოა, ყველამ უნდა მიბაძოს მას!“ ანდა „რა სისულელეებს ლაპარაკობ! დაჯექი, შენგან სხვას არც არაფერს ველი!“ და ა.შ.

- განმავითარებელი შეფასებისათვის გამოვიყენოთ დაკვირვება. განმავითარებელი შეფასების სწორად წარმართვისათვის საჭიროა, რომ მასწავლებელი აკვირდებოდეს მოსწავლეს და აკეთებდეს მოკლე, კონკრეტულ ჩანაწერებს. მაგ.: „ნატომ დღეს ტექსტი უშეცდომოდ, მთლიანი სიტყვებით წაიკითხა, მაგრამ წერითი დავალება უყურადღებოდ შეასრულა“.

შესაძლებელია დაკვირვების ცხრილის შედგენაც. მაგალითად:

სახელი	დაკვირვების თარიღი	შესრულებული აქტივობები			ორგანიზებულობა
		კითხვა	წერა	ზეპირმეტყველება	
ნატო		ამოიკითხა ახალი სიტყვები დამარცვლის გარეშე, მთლიანად.	არასწორად გადახაზა სარკისებრი ფიგურა; მითითების შემდეგ გაასწორა შეცდომა.	იჩენს ზედმეტ აქტივობას. არ აცდის კლასელებს პასუხს, არ უსმენს მათ.	უჭირს გაკვეთილის ბოლომდე ყურადღებით ყოფნა.

ასეთი ცხრილი დაეხმარება მასწავლებელს, ამ მოსწავლის კონკრეტულ პრობლემებს დროულად მოარგოს საჭირო ღონისძიებები. კერძოდ ამ შემთხვევაში:

- აუცილებლად შეუქებს კითხვის კარგ ტექნიკას;
- წერის დაწყებამდე მიუახლოვდება და შეახსენებს, რომ დავალების შესრულებას ყურადღებით მოეკიდოს. მიუთითებს კონკრეტულად, რას მიაქციოს ყურადღება, გაანეიტრალებს მის ზედმეტ აქტიურობას (რაც სავარაუდოდ არის კიდევაც ამ მოსწავლის დაღლისა და გაკვეთილის ბოლოს უყურადღებობის მიზეზი): მისცემს მას ერთ-ორ კონკრეტულ დავალებას. მაგ.: წინასწარ გააფთხილებს მას, ყურადღებით იყოს და მოუსმინოს თანაკლასელს, რათა გააგრძელოს კითხვა. წერის დაწყების წინ სთხოვს მას მოსწავლეებისათვის სამუშაო რვეულების დარიგებაში დახმარებას და სხვ.

განმავითარებელი შეფასება მოსწავლის უკეთ განვითარებაზეა ორიენტირებული. აქ მოსწავლის ქულებით შეფასება არსებითი არ არის. შეფასების ამ ფორმას მასწავლებელი იყენებს მთელი სასწავლო წლის მანძილზე. ასეთი შეფასება განსაკუთრებით გამოსადეგია და კარგ შედეგებს იძლევა დაწყებით კლასებში.

6. გამოვიყენოთ განმსაზღვრელი შეფასება.

განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში მასწავლებელი მიზნად ისახავს, განსაზღვროს მოსწავლის მიღწევები სასწავლო გეგმასთან და სასწავლო მიზნებთან მიმართებაში.

შეფასების ცხრილები

განმავითარებელი შეფასების ჩასატარებლად საჭიროა ზუსტი კრიტერიუმების დადგენა. ეს კრიტერიუმები მთელი კლასისათვის ერთნაირი იქნება. მასწავლებელი დაადგენს, თუ რომელმა მოსწავლემ როგორ დააკმაყოფილა ისინი. საამისოდ წინასწარ გამზადდება შეფასების ცხრილები.

შემოგთავაზებთ შეფასების ცხრილებს, რომელთა მეშვეობით თქვენ შეფასების განხორციელებას შეძლებთ. (შეგიძლიათ გაამრავალფეროვნოთ და დახვეწოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცხრილები.).

რუბრიკა „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“

№	**რუბრიკა „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“**
1	იცავს თამაშის წესებს;
2	ხელს არ უშლის მეორე გუნდს ან მოთამაშეს;
3	ღირსეულად ხვდება დამარცხებას

№	**რუბრიკა „სასაუბრო”**
1	ხელის აწევით გამოხატავს აზრის გამოთქმის სურვილს;
2	ელოდება მასწავლებლისაგან საუბრის დაწყების ნებართვას;
3	ყურადღებით უსმინს თანაკლასელებს;
4	არ ერევა სხვის საუბარში და არ აწყვეტინებს კლასელს ლაპარაკს.

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების შეფასება

I სემესტრი

მიმართულება — ზეპირმეტყველება

მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი, შევსების თარიღი	წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს	ასრულებს დახმარებით
1. ასახელებს მითითებულ ბგერაზე სიტყვას; 2. ამთლიანებს ბგერებად დაშლილ სიტყვას; 3. განარჩევს ერთმანეთისაგან ერთი ბგერით განსხვავებულ სიტყვებს.				
1. საუბრობს მისთვის ნაცნობ თემაზე; 2. სურათის აღწერისას იყენებს დასრულებულ წინადადებებს. მეტყველებს გამართულად, სწორი ინტონაციით; 3. პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს; 4. მონაწილეობს წაკითხული მოთხრობის/ზღაპრის განხილვაში.				

მიმართულება — კითხვა

1. ცნობს და ასახელებს ნასწავლს ასოებს ანბან-პლაკატზე; 2. პოულობს თავასოს სალექსიკონო გვერდზე; „მოლაპარაკე ანბანში; 3. კითხულობს მარცვლებს; 4. კითხულობს სიტყვებს დამარცვლით და მთლიანად; 5. კითხულობს მოკლე წინადადებებს დამარცვლით, მთლიანად; 6. შეუძლია დასახელებული სიტყვის აწყობა მოძრავი ანბანით; 7. სწორად ასრულებს შემეცნებით-სააზროვნო სავარჯიშოებს.				
მიმართულება — წერა				
1. იგებს და ასრულებს ინსტრუქციას; 2. პოულობს და შემოხაზავს ნასწავლ ასოებს ასოთა სიმრავლეში; 3. სწორად შემოხაზავს მითითებულ სიტყვებს; 4. სწორად უკავშირებს სიტყვას შესაბამის ნახატს; 5. სწორად შემოხაზავს სიტყვებს კლასიფიკაციის გათვალისწინებით.				
1. სწორად იყენებს საწერ სივრცეს; აფიქსირებს წერის მიმართულებას; 2. სწორად გამოწერს ბადეში დეტალებს ნიმუშის მიხედვით. 3. სწორად ასრულებს სივრცითი მიმართებების, მთელისა და ნაწილის მიმართებების სავარჯიშოებს.				

II სემესტრი

1. ასოების წერისა და კითხვის განმტკიცების ეტაპი

მიმართულება – ზეპირმეტყველება				
მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი, შევსების თარიღი	წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვ-ზებით	უშვებს შეც-დომებს	ასრულებს დახმარებით
1. მეტყველებს გამართულად, სწორი ინტონა-ციით; სიტყვებს წარმოთქვამს გარკვევით; 2.სწორად პასუხობს დასმულ შეკითხვებს; 3. მონაწილეობს ტექსტის გარშემო გამარ-თულ მსჯელობაში, გამოთქვამს თავის აზრს მოვლენის, ფაქტის პერსონაჟის შესახებ; 4. ასრულებს სახელმძღვანელოში მოცემულ ლექსიკურ სავარჯიშოებს. 5. წარმოთქვამს ზეპირად პატარა ლექსებს.				

მიმართულება – კითხვა				
1. კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს, დამარცვლით, მთლიანი სიტყვებით, სწორი ინტონაციით; 2. კითხულობს გაგრძელებებით; 3. კითხულობს მითითებულ ადგილებს; 4. შეუძლია როლებში კითხვა; 5. სწორად ასრულებს სააზროვნო-შემეცნებით სავარჯიშოებს, ენობრივ სავარჯიშოებს.				
მიმართულება – წერა				
1. შეუძლია ნიმუშის მიხედვით ასოს, სიტყვის, წინადადების გამოწერა; 2. იცავს ბადეში ასოს ჩაწერის წესებს; 3. ასრულებს წერით სააზროვნო სავარჯი-შოებს.				

2. წერა-კითხვის განმტკიცების ეტაპი

მიმართულება — ზეპირმეტყველება

მოსწავლის სახელი, გვარი, კლასი, შევსების თარიღი	წარმატებით ასრულებს	ასრულებს მცირე ხარვეზებით	უშვებს შეცდომებს	ასრულებს დახმარებით
1. მეტყველებს გამართულად, სწორი ინტონაციით, სიტყვებს წარმოთქვამს გარკვევით; 2. სწორად პასუხობს დასმულ შეკითხვებს; 3. მონაწილეობს ტექსტის გარშემო გამართულ მსჯელობაში, გამოთქვამს თავის აზრს მოვლენის, ფაქტის, პერსონაჟის შესახებ; 4. ასრულებს ლექსიკურ სავარჯიშოებს; 5. ზეპირად წარმოთქვამს პატარა ლექსებს.				
მიმართულება — კითხვა				
1. კითხულობს მცირე ზომის ტექსტებს, მთლიანი სიტყვებით, სწორი ინტონაციით; 2. კითხულობს გაგრძელებებით; 3. კითხულობს მითითებულ ადგილებს; 4. შეუძლია როლებში კითხვა; 5. სწორად ასრულებს სააზროვნო-შემეცნებით სავარჯიშოებს, ენობრივ სავარჯიშოებს. 6. კითხულობს ჩუმად, დამოუკიდებლად მცირე ზომის ტექსტებს, ასრულებს ინსტრუქციების მიხედვით სავარჯიშოებს.				
მიმართულება — წერა				
1. შეუძლია ტექსტის გადაწერა ხელნაწერი ნიმუშიდან; 2. შეუძლია ტექსტის გადაწერა ნაბეჭდი ნიმუშიდან; 3. შეუძლია წინადადებაში ნახატის ნაცვლად სიტყვის ჩასმა; 4. წინადადების დასრულება კონტექსტიდან გამომდინარე; 5. ტექსტში გამოტოვებული სასვენი ნიშნების ჩასმა; 6. წერს კარნახით; 7. შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა წერილობით; 8. შეუძლია საკუთარი ნაწერის შეფასება — ძლიერი და სუსტი მხარეების შემჩნევა.				

4. 4. გაკვეთილების თემები, მიზნები, კავშირი ესგ-ის ინდიკატორებთან, სცენარები. დამტებითი ლიტერატურული და ენობრივი მასალა. რეკომენდაციები
I სემესტრი

თემა №1: „ვემზადებით სკოლისავის“ (3 სთ)

გაკვეთილი № 1 – გაცნობა

მიზნები

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სასკოლო-სოციალურ გარემოში ჩართვა, უმარტივესი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა;
- ყურადღების მობილიზაცია;
- მასწავლებლის ინსტრუქციის მოსმენა და გაგება;
- თვითგამოვლენა და თვითგამოხატვა.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4. 3; 4. 4; 4. 5; 4. 7; 4.8; 4.10.

ასრულებს მარტივ ინსტრუქციას;
იყენებს სამეტყველო ეტიკეტის უმარტივეს ენობრივ ფორმებს;
საუბრობს საკუთარ გამოცდილებასა და ემოციებზე;
მონაწილეობს სოტუაციურ თამაშში.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	გაცნობა			საკლასო ინდივიდუალური
2	როგორ ვემზადებოდით სკოლისთვის			საკლასო ინდივიდუალური
3	მიზნობრივი თამაში „გავიცნოთ ერთმანეთი“	დამხმარე მასალა	მასწ. წიგნი	ჯგუფური
4	ლექსების წარმოთქმა			საკლასო ინდივიდუალური

გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილი № 1 – გაცნობა

მასწავლებლებმა კარგად იციან, რომ პირველი კვირა და, განსაკუთრებით, პირველი დღე, ერთი მხრივ, საზეიმოა, მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაზე რთული. მოსწავლეებს და, განსაკუთრებით, იმ ბავშვებს, რომლებსაც საბავშვო ბაღში არ უვლიათ, უჭირთ ახალ გარემოში დარჩენა, გარკვეული დრო სჭირდებათ მასთან შესაგუებლად. ყველა სკოლას თავისი ტრადიცია აქვს პირველკლასელების მისაღებად. ამდენად, ამ დღეს სასწავლო პროცესის დასტრუქტურებულად წარმართვა ძნელია. ამიტომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.

ტრადიციულად, პირველი გაკვეთილი გაცნობით იწყება. მასწავლებელი წარადგენს თავის თავს. სასურველია, ეს არ მოხდეს მხოლოდ სახელისა და გვარის დასახელებით და მისი მოვალეობის აღნიშვნით – რომელი საგნები უნდა ასწავლოს, რადგან ამგვარი ინფორმაცია მოსწავლისათვის ვერ შექმნის ნდობის გარემოს. გაცნობის პროცესში მასწავლებელმა უნდა მისცეს მაგალითი, გაცნობისას მიაწოდოს მეტი ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ის, რაც მოსწავლეს დააინტერესებს, შვილების, შვილიშვილების ან მშობლების შესახებ.

მიზნობრივი თამაში „გავიცნოთ ერთმანეთი“

მასწავლებელი სიის მეშვეობით ეცნობა კლასს, იგი სთხოვს მოსწავლეებს, რომ წამოდგნენ მათი სახელისა და გვარის დასახელებისას. თითოეული მოსწავლის მიმართ გარკვეული თითო კითხვის დასმით გამოამჟღავნოს ყურადღება:

– სკოლაში ვინ მოგიყვანა?

– და-ძმები თუ გყავს?
– რომელ კლასშია უფროსი და-ძმა?
– რა შეამჩნიე თავდაპირველად, როცა სკოლის ეზოში შემოხვედი?
– რა მოგეწონა ყველაზე მეტად?
– ვინ გაჩუქა სასკოლო ნივთები?
– როგორ ემზადებოდი დღევანდელი დღისთვის?
და ა.შ.

ახლა სასურველია, მოსწავლეები გავაცნოთ ერთმანეთს. შეგვიძლია გამოვიყენოთ თამაში – „გავიცნოთ ერთმანეთი“.

თითოეული მოსწავლე გამოდის, ესალმება თანაკლასელებს და ამბობს თავის სახელსა და გვარს. მასწავლებლის მითითებით მოსწავლეები ესალმებიან და ულოცავენ ერთმანეთს სკოლაში წასვლას. მაგ.:
– გამარჯობა, მე ვარ გიორგი მიქაძე.
– გამარჯობა გიორგი. გილოცავთ, შენ უკვე პირველკლასელი ხარ!
მოსწავლე მადლობას უხდის თანაკლასელებს: – გმადლობთ.

ეს მარტივი თამაში, ერთი მხრივ, ეხმარება ბავშვებს ერთმანეთის სახელის დამახსოვრებაში, აფიქსირებინებს მოსწავლეს თავის ახალ სოციალურ მდგომარეობას. იგი აძლევს ბავშვს წარდგენის (პრეზენტაციის) უმარტივეს უნარს და ჯგუფთან ურთიერთობის ჩვევის განვითარებას უწყობს ხელს.

პირველი დღის სასაუბრო თემამ ბავშვს თბილი გარემო უნდა შეუქმნას, მოუხსნას გაუცხოება და შიში, მისცეს სტიმული მისთვის ახლობელ თემაზე საუბრისათვის.

მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ისეთ მოსწავლეებზე, რომლებიც არ იჩენენ აქტიურობას. თუ მოსწავლე კატეგორიულად არ უპასუხებს მასწავლებლის კითხვებს, ნუ ჩავაცივდებით, ყურადღება გადავიტანოთ სხვა რამეზე.

ხშირად, ოჯახებში, სკოლაში წასვლის წინ, ბავშვებს სპეციალურად ასწავლიან ლექსებს. ბავშვი განიცდის, ღელავს, ელოდება, როდის ათქმევინებენ ამ ლექსს. მართალია, ეს არ არის აუცილებელი, მაგრამ არც ის შეიძლება, იმედი გავუცრუოთ მას, ამიტომ ვთხოვთ მოსწავლეებს – ვინც საჩუქარი გაუმზადა ახალ მეგობრებსა და მასწავლებელს, სპეციალურად მათთვის მოამზადა რაიმე, გვითხრას ლექსი.

გაკვეთილები № 2; 3

მიზნები:

- სასკოლო-სოციალურ გარემოში ჩართვა, უმარტივესი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა;
- მასწავლებლის ინსტრუქციის და ნაცნობ თემატიკაზე შექმნილი მცირე ზომის ტექსტების მოსმენა;
- სურათის აღწერა;
- ყურადღების მობილიზება;
- კლასიფიკაციის მოხდენა და მისი ვერბალიზაცია.

შედეგები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 3.3; 4.3;4.4; 4.5; 4.8; 5.1; 5.2.

ასრულებს მარტივ ინსტრუქციას;
იყენებს სამეტყველო ეტიკეტის უმარტივეს ენობრივ ფორმებს;
აღწერს ილუსტრაციას, ასახელებს საგნებს;
საუბრობს საკუთარ გამოცდილებასა და ემოციებზე;
მონაწილეობს სოტუაციურ თამაშში;
მოისმენს და ამოიცნობს ზღაპრის დასაწყისსა და დასასრულს ფორმულირების მიხედვით.

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტვობის ორგანიზების ფორმა
		გაკვეთილი № 2		
1	საუბარი – როგორ ვემზადებოდი სკოლისათვის			ინდივიდ.
2	სურათის აღწერა	ნახატი „ვემზადებით სკოლისათვის“	მოსწ. წიგნი, გვ. 3	ინდივიდ. საკლასო
3	მუშაობა კლასიფიკაციაზე	ნახატი „ვემზადებით სკოლისათვის“ , გვ.3	მოსწ. წიგნი, გვ. 3	საკლასო

4	მიზნობრივი თამაში „მეგობრების წრე“	დამხმარე მასალა	მასწ.წიგნი	ჯგუფური
		გაკვეთილი № 3		
1	კლასგარეშე ტექსტის წაკითხვა	დამხმარე მასალა „აპრილიდან აპრილამდე“	მასწ.წიგნი	საკლასო
2	ტექსტის დამუშავება	დამხმარე მასალა „აპრილიდან აპრილამდე“	მასწ.წიგნი	საკლასო
3	მიზნობრივი თამაში „როგორ იქმნება გუნდი“	დამხმარე მასალა	მასწ.წიგნი	ჯგუფური

დამხმარე მასალა:

ავტორთა ჯგუფი წასაკითხად გთავაზობთ გ. ბედოშვილის მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდს „აპრილიდან აპრილამდე“. ტექსტის დამუშავების მეთოდოლოგია მოცემულია პარაგრაფში **3. 2. მასწავლებლის მიერ კლასში წასაკითხი ტექსტის დამუშავება კლასში და პატარა ლექსის დასწავლა კლასში**.

აპრილიდან აპრილამდე

იყო და არა იყო რა, ერთი თვალუწვდენელი და მშვენიერი ტყის უკეთესი რა იქნებოდა. ამ თვალუწვდენელ და მშვენიერ ტყეს დიდი და პატარა ნაკაფიანის ტყეს ეძახდა. ნაკაფიანის ერთ პატარა ახოში ტყის ბინადართა შვილებისათვის ძია თომას ჩინებული სკოლა ჰქონდა მოწყობილი. ძია თომა ტანმორჩილსა და ღონიერ-გონიერ დათუნიას ერქვა.

ნაკაფიანში სწავლა პირველ აპრილს იწყებოდა და ტყის ბინადრებმა შვილებიანად ახლად ამწვანებულ და აბიბინებულ სკოლასთან მოიყარეს თავი.

გაზაფხულის შხაპუნა წვიმებს საკლასო მერხები ისე საგულდაგულოდ ჩამოერეცხა და გაესუფ-თავებინა, რომ პირველკლასელებს ერთი სული ჰქონდათ, სანამ ამ ლამაზ ჯირკებს შემოუსხდებოდნენ. მეორე-მესამე კლასელებს თავი უკვე დიდებად მოჰქონდათ და ჯირკებს ზედაც აღარ უყურებდნენ, განზე გამდგარიყვნენ და ერთიმეორეს ზამთარში გატარებულ დღეებზე უყვებოდნენ.

პირველკლასელები სამნი იყვნენ: მელაკუდას მოუსვენარი ცინდალი და ქალბატონ ბუს ტყუპები – ბიბო და ბუბა.

ძია თომამ მშობლები რის ვაი-ვაგლახით დააწყნარა, მუხის ჯირკზე შესკუპდა და ხმამაღლა დაიბუბუნა:

– გილოცავთ პირველი აპრილის მობრძანებას! ვუსურვებ თქვენს შვილებს კარგად სწავლასა და ყველა ხიფათის აცილებას.

– გმადლობთ, თომავ, გმადლობთ! – დაიძახეს აქეთ-იქიდან.

ძია თომამ მოწაფეები ყვავილების სურნელით სავსე კლასში შეიყვანა.

სიტყვების განმარტებები ტექსტის ლექსიკური დამუშავებისათვის:

ახო – გაჩეხილი ადგილი ტყეში;

ბინადარი – მცხოვრები;

ტანმორჩილი – პატარა ტანის;

ჯირკი – გადაჭრილი ხე;

ცინდალი – ასე ჰქვია მელიის შვილს.

კითხვები ტექსტის დასამუშავებლად:

1. როგორ იწყება ეს ამბავი?
2. ვინ იცის, რა ამბავი იწყება ხოლმე ყოველთვის ასე – იყო და არა იყო რა?
3. რა იყო მოწყობილი ნაკაფიანის ტყეში ერთ პატარა ახოში?
4. ვინ იყო ძია თომა?
5. როდის იწყებოდა სწავლა ნაკაფიანის ტყეში?
6. ჩვენ შემოდგომაზე დავიწყეთ სწავლა, ცხოველებმა – გაზაფხულზე.
7. ვინ იცის წელიწადიდს რომელი დროა შემოდგომის შემდეგ?
8. ჩამოვთვალოთ წელიწადის დროები.
9. რატომ იწყებენ ცხოველები სწავლას გაზაფხულზე?
10. როგორ მერხებზე სხედან ცხოველები?
11. რას ფიქრობდნენ პირველკლასელები?
12. როგორ იქცეოდნენ მეორე-მესამე კლასელები?
13. ვინ იყვნენ პირველკლასელები?
14. რა უსურვა მშობლებს ძია თომამ?

რა თქმა უნდა, ყველა ამ კითხვას შეიძლება პასუხი ვერ გაეცეს, აქ მასწავლებლის დახმარება იქნება საჭირო. რთული კითხვები დეტალურად უნდა დამუშავდეს. მათზე პასუხი რამდენჯერმე უნდა გამეორდეს კლასში.

მიზნობრივი თამაში – „მეგობრების წრე“

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად დგება წრეში. თავად იწყებს: „მე ვარ ნინო მასწავლებელი“, შემდეგ კი ავალებს ბავშვებს თანმიმდევრობით დაასახელონ თავიანთი სახელი, თან აძლევს მოსწავლეებს ინსტრუქციას: „შეეცადეთ დაიმახსოვროთ თქვენი მეგობრების სახელები. ყურადღება მიაქციეთ, ვინ დგას თქვენ გვერდით.“ შემდეგ მოსწავლეები გაუშვებენ ერთმანეთს ხელს. მასწავლებელი აწევს მარჯვენა ხელს და იგივეს სთხოვს მოსწავლეებსაც. შეამოწმებს ყველამ მარჯვენა ხელი ასწია თუ არა. შემდეგ კი რიგრიგობით ასახელებინებს, ვინ დგას მათ მარჯვნივ. ისევ იწყებს მასწავლებელი: „ჩემ მარჯვნივ დგას თამუნა, თამუნა, ვინ დგას შენ მარჯვნივ, დაასახელე“ და ა.შ. იგივე გამეორდება მარცხენა მხარის დაფიქსირებითაც.

ეს თამაშიც, ერთი მხრივ, ემსახურება მოსწავლეების ურთიერთგაცნობას, მეორე მხრივ, ჯგუფში ადაპტაციას. ამასთან ერთად დგას სივრცითი მიმართების გავარჯიშების ამოცანაც.

მიზნობრივი თამაში – როგორ იქმნება გუნდი

ახლა შეიძლება ახალი სასაუბრო თემის პროვოცირება – როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რომელი ნივთის წაღება ენდომებოდა დაჩის? ჯერ ერთი გვეტყვის, შემდეგ დავსვამთ კითხვას – ვინ ეთანხმება მას? ვთხოვთ ადგეს ფეხზე. აი, შეიქმნა ერთი პატარა ჯგუფი, რომლებიც ერთმანეთს ეთანხმებიან. ახლა გავარკვიოთ, სხვა რას ფიქრობს და მას ვინ ეთანხმება? – ეს მეორე ჯგუფია, რომლებსაც ასევე ერთი აზრი აქვთ. ამგვარად, ჩნდება ჯგუფური მუშაობის საწყისი ელემენტები. შემდეგ მკვეთრად განისაზღვროს კლასიფიკაცია. ჩამოვთვალოთ: სასკოლო ნივთები, სათამაშოები, საოჯახო ნივთები, ჯერ, რაც ნახატზეა მოცემული, შემდეგ კიდევ რომელი ნივთიც გაახსენდებათ ბავშვებს.

რეკომენდაციები:
სურათის აღწერა

სურათის აღწერისას პრინციპად უნდა ავიღოთ – მთელიდან დეტალებისკენ. ჯერ უნდა განისაზღვროს ნახატის თემა. №2 ნახატში ცენტრალურ ადგილას მოცემულია მთავარი თემის შესატყვისი სურათი – ბიჭი ემზადება სკოლაში წასასვლელად. ეს შეიძლება დაჩიც იყოს, რომელსაც ბავშვები ჯერ კარგად არ იცნობენ, შემდეგ კი მის შესახებ ბევრ რამეს წაიკითხავენ. ისიც პირველად მიდის სკოლაში და დაბნეულია – არ იცის, რა ჩააწყოს ჩანთაში. ეს თემა ქმნის თამაშის პროვოცირებას – დავეხმაროთ დაჩის ჩანთის ჩალაგებაში. რა ნივთები დაგვჭირდება სკოლაში? აქვე შეიძლება რომელიმე მოსწავლემ გვიამბოს, თავად როგორ ჩაალაგა ჩანთა, რა წამოიღო სკოლაში.

ჩამოვთვალოთ ძირითადი ნახატის ირგვლივ განლაგებული ნივთები. განვსაზღვროთ, რომელია სასკოლო ნივთი, რომელი – საოჯახო, რომელი – სათამაშო.

თემა №2: ჩვენი საკლასო ოთახი (4სთ.)

გაკვეთილი № 4

მიზნები:

- სასკოლო-სოციალურ გარემოში ჩართვა, უმარტივესი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა;
- მარტივი ინფორმაციის გადმოცემა მოსწავლისათვის ნაცნობ თემაზე;
- კლასიფიკაციის შესაბამისად ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება;
- სიტუაციურ თამაშებში ჩართვა;
- სივრცითი მარტივი მიმართებების დაფიქსირება;
- ყურადღების მობილიზება, მეხსიერების გააქტიურება.

შედეგები, ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4.3;4.4; 4.5; 5.2.

- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ინსტრუქციებს;
- მონაწილეობს ჯგუფურ აქტივობაში, ადეკვატურად ასრულებს ინსტრუქციას;
- შეძლო სასკოლო ნივთების, სათამაშოების, საოჯახო ნივთების კლასიფიცირება;
- ასახელებს საგნებს და მათ განლაგებას ნახატზე, – რა რის გვერდითაა, რა რის ზევით და ქვევითაა;
- შეძლო ყურადღების მობილიზება, მარტივი კლასიფიკაციიდან ზედმეტი ერთეულის გამოყოფა და დამახსოვრება.

გაკვეთილის სტრუქტურა

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	კლასგარეშე მასალის გამეორება	„აპრილიდან აპრილამდე“	მასწ.წიგნი	საკლასო
2	რა საგნები ხატია სურათზე	ნახატი „ჩვენი საკლასო ოთახი“ გვ. 4	მოსწავლის წიგნი, გვ. 4	ინდ. ჯგუფური
3	საგნების კლასიფიკაცია	ნახატი „ჩვენი საკლასო ოთახი“	მოსწავლის წიგნი, გვ. 4	ინდ. საკლასო
4	მიზნობრივი თამაში „ჩვენი საკლასო ოთახი“	დამხმარი მასალა	მასწავლებლის წიგნი	ჯგუფური

დამხმარე მასალა:

თამაში – „ჩვენი საკლასო ოთახი“

ამ თამაშისათვის გამოვიყენოთ საკლასო ოთახის ინტერიერი.

სივრცითი მიმართებების დაფიქსირება უნდა დავიწყოთ მოსწავლის სხეულის მიმართ:

– რა დგას შენ წინ, შენ უკან, შენ გვერდით?

– ვინ ზის შენ წინ, შენ უკან?

შემდეგ მოსწავლეს ვთხოვოთ საგნის მდებარეობის დაფიქსირება:

– რა დგას დაფის წინ?

– რა დგას დაფის უკან?

– რა დევს ფანჯრის რაფაზე?

– რა დევს მაგიდაზე?

– რა დგას კარის გვერდით?

ცხადია, შეკითხვებს განსაზღვრავს კონკრეტული ინტერიერი.

გაკვეთილები № 5; 6

მიზნები:

- სასკოლო-სოციალურ გარემოში ჩართვა, უმარტივესი სამეტყველო ეტიკეტის დაცვა;
- მარტივი ინფორმაციის გადმოცემა მარტივ თემაზე;
- კლასიფიკაციის შესაბამისად ლექსიკური ერთეულების დაჯგუფება;
- სიტუაციურ თამაშში ჩართვა;
- სივრცითი მარტივი მიმართებების დაფიქსირება;
- ყურადღების მობილიზება, მეტყველების გააქტიურება;

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4.3;4.4; 4.5; 4.7; 4.8; 4.10.

- ასრულებს მასწავლებლის მარტივ ზეპირ ინსტრუქციას;
- მონაწილეობს სიტუაციურ თამაშებში, ჯგუფურ აქტივობებში და, საჭიროების შემთხვევაში, ადეკვატურად ცვლის სამეტყველო როლებს;
- იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ენობრივ ნორმებს;
- აღწერს ინტერიერს და სურათს (მოქმედება, საგნები, საგანთა განლაგება);
- მეტყველებისას იყენებს წინადადების მოდალობებს;
- ახდენს ასო-ბგერის მიმართების დაფიქსირებას;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- შეძლო მოკლე ლექსის დასწავლა კლასში.

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტვობის ორგანიზების ფორმა
		გაკვეთილი № 5		
1	სურათის აღწერა. საგანთა კლსიფიკაცია	ნახატი , გვ. 5	მოსწ. წიგნი	ინდივ. საკლასო
2	როგორია ჩვენი კლასი? – რა სად დგას? რა სად კიდია?	გვ. 5	საკლასო ოთახი	ინდივ. საკლასო
3	მიზნობრივი თამაში	„ვიპოვოთ განსხვავებული საგანი “	მასწავლებლის წიგნი, დამხმარე მასალა	ჯგუფური
		გაკვეთილი № 6		
1	ლექსის დასწავლა	„ყაყაჩოსა სიწითლითა“	დამხმარე მასალა მასწ.წიგნი	საკლასო
2	მიზნობრივი თამაში	„მატარებლობანა“		ჯგუფური

დამხმარე მასალა:

თამაში: „ვიპოვოთ განსხვავებული საგანი“

მასწავლებელი თავდაპირველად მთელ კლასს აძლევს მარტივი კლასიფიკაციის ჩამონათვალს და წინასწარ მიუთითებს, რომ ჩამონათვალში შეურევს ერთ განსხვავებულ სიტყვას, რომელზედაც ბავშვებმა უნდა შემოჰკრან ტაში.

მე ჩამოგითვლით სასკოლო ნივთებს და საგნებს. თუ რომელიმე სიტყვა არ იქნება სკოლისა და კლასის საგანი, ტაში შემოჰკარით. მერხი, ცარცი, დაფა, ფეხსაცმელი, კალამი.“

შემდეგ კლასს დაყოფს გუნდებად და ასეთ ინსტრუქციას აძლევს:

– მე გადავცემ თითოეულ გუნდს 4 ბარათს ნახატებით, ამ ნახატებიდან ერთი იქნება არა სასკოლო საგანი, განსხვავებული, თქვენ უნდა იპოვოთ ეს ბარათი და გადმომცეთ მე. თამაშის წესი ასთია: არ უნდა გადმოაბრუნოთ ბარათები, სანამ მე არ გეტყვით – დაიწყეთ! გამარჯვებული იქნება ის გუნდი, რომელიც პირველი მომიტანს ბარათს. ეს გუნდი მიიღებს ვარსკვლავს. ვინც თამაშის წესს დაარღვევს, ის დამარცხებული იქნება.

გუნდებს ეძლევათ 4 ბარათი სასკოლო საგნების ნახატებით, მათგან ერთი განსხვავებული საგანია. ყველა გუნდს ეძლევა თავისი ვარიანტი.

მიზნობრივი თამაში – „მატარებლობანა“

ერთმანეთს ჩაებმებიან მასწავლებელი და ბავშვები (6-7 მოსწავლე) და მატარებელი დაიძვრება. მოწოდებით – „სდექ!“ ვაჩერებთ მოსწავლეებს და ვეკითხებით: „ვინ არის შენ წინ და შენ უკან? ვინ არის თამუნას წინ და უკან?“

მატარებელი მოძრაობას აგრძელებს მასწავლებელი მოსწავლეებს აჩერებს და ეკითხება: საით არის კარი? საით არის დაფა? საით არის ფანჯარა? მარჯვნივ თუ მარცხნივ?

რეკომენდაციები:

არ უნდა დავიწყოთ თამაში მანამ, სანამ არ დავრწმუნდებით, რომ ინსტრუქცია უმრავლესობისათვის გასაგებია. რამდენჯერმე და ეტაპობრივად უნდა გავიმეოროთ თამაშის წესები და წახალისების ფორმები (ქულები, ვარსკვლავები, მზეები). წახალისება განსაკუთრებით ორიენტირებული უნდა იყოს თამაშის დროს წესრიგისა და წესების დაცვაზე.

შედეგები, გუნდების მიერ მიღებული ვარსკვლავებისა თუ მზეების სახით, დაიხატოს დაფაზე.

კლასში დასასწავლი ლექსი

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.

თემა №3: ჩვენი გაკვეთილები – ქართული ენის გაკვეთილი (2 სთ)

გაკვეთილები: №7, №8

მიზნები:

- სასკოლო-სოციალური ქცევების გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- მიზნობრივ თამაშში ჩართვა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურება;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება;
- სივრცითი მიმართებების გავარჯიშება;
- ყურადღების მობილიზება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 3.3; 4.3;4.4; 4.5; 4.8; 5.1; 5.2; 6.1; 6.2.

- საუბრობს გაკვეთილზე ქცევის წესებზე და ცდილობს მის დაცვას;
- აღწერს სურათს, ასახელებს თემას, მოქმედებას, საგნებს;
- შეუძლია ჯგუფურ აქტივობებში ჩართვა, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად იქცევა;
- ახდენს ასო-ბგერის მიმართების დაფიქსირებას;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- შეუძლია ნახატზე მოცემული ფიგურების დაფიქსირება და ვერბალიზაცია;
- სივრცითი მიმართებების დადგენა.

გაკვეთილების სტრუქტურა

გაკვეთილი №7

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტვობის ორგანი-ზების ფორმა
1	წინა გაკვ. ნასწ. ლექსის გამეორება		მასწ. წიგნი	საკლასო, ინდ.
2	კლასგარეშე საკითხავი	„აპრილიდან აპრილამდე“, გაგრძელება	მასწ. წიგნი	საკლასო, ინდ.
3	სურათის აღწერა	ნახატი „ჩვენი გაკვეთილები“, გვ.6	მასწ. წიგნი	საკლასო
4	რას ვისწავლით ქართული ენის გაკვეთილებზე			საკლასო

გაკვეთილი №8

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტვობის ორგანი-ზების ფორმა
1	როგორია ჩვენი წიგნი, რვეული. როგორ გამოვიყენებთ კომპიუტერს – ზოგადი მიმოხილვა	მოსწ. წიგნი, მოსწ. რვეული, კომპიუტერი	მოსწ. წიგნი, მოსწ. რვეული, პორტატუ-ლი კომპიუტერი	საკლასო, ინდ.
2	კლასგარეშე საკითხავი, დამუშავება, მთლი-ანად წაკითხვა	„აპრილიდან აპრილამდე“	მასწ.წიგნი	საკლასო, ინდ.
3	ანბან-პლაკატზე მუშაობა		საკლასო თვალსაჩინოება	საკლასო
4	ლექსიკურ-ფონეტიკური სავარჯიშო – რომელი სიტყვა რაზე იწყება	დამხმარე მასალა	მასწ.წიგნი	საკლასო

დამხმარე მასალა:

1. რა ბგერაზე იწყება ეს სიტყვა (ნებისმიერი სიტყვა);
2. დაასახელე (რაიმე კონკრეტულ) ბგერაზე დაწყებული სიტყვები.

საკითხავი მასალა: **აპრილიდან აპრილამდე**

გაკვეთილი დაიწყო

ძია თომა ფეხზე წამოდგა, კუს მოზრდილი ბაკანი ზარივით აარაკუნა და ის-ის იყო, პირველი გაკვეთილი უნდა დაეწყო, რომ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად, პირველკლასელი ტყუპები – ბიბო და ბუბა ერთიმეორეს დაეძგერნენ. ისეთი მუშტი-კრივი გააჩაღეს, რომ დამფრთხალმა ნუკრმა, ციყვმა და კატუნიამ კინაღამ შინისკენ მოკურცხლეს. წერომ და ყანჩამ ფრთა ფრთას შემოჰკრეს, ცაში აფრენა დააპირეს, მაგრამ ძია თომამ ბუები გააშველა და კლასიც დაშოშმინდა.

– რა გაჩხუბებთ, შე კაცო, ძმები არა ხართ?

– ძმები ვართ! – ერთხმად თქვეს ტყუპებმა.

– მერე რა გაქვთ გასაყოფი?

– რა გვაქვს გასაყოფი და, ბიბო ამბობს, უფროსი მე ვარო.

– მერე და, არ იცით, რომელი ხართ უფროსი?

– ეჰ, ეგ რომ ვიცოდეთ! – თითქმის ერთდროულად თქვეს ძმებმა და თავები ჩაქინდრეს, – ჩვენ ხომ ტყუპები ვართ...

ძია თომა ამ ამბავმა ღრმად ჩააფიქრა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ეს უთხრა ტყუპებს:

– თქვენს შორის ის იქნება უფროსი, ვინც ახლა ყველაზე კარგ ლექსს იტყვის!

ბიბომ ბუბას გადახედა, ბუბამ – ბიბოს, აღმოჩნდა, რომ არც ბიბომ იცოდა ლექსები და არც ბუბამ.

ძია თომა სიის ამოკითხვას შეუდგა.

– შვლის ნუკრი!

შვლის ნუკრი თვალების ფახულით წინ წამოდგა და წყნარად თქვა:

– აქ ვარ, პატივცემულო!

– მგელუკა!

ხმა არავის ამოუღია.

– მგელუკა!

ხმა არავის ამოუღია.

– მგელუკა არ არის! კარგი და პატიოსანი, – თქვა დათუნიამ და ზიტოს ჯირკზე ხავსიანი ქვა დადო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძია თომა მგელს „არას“ უწერდა.

– კურდღელი

– აქ ვარ.

– წერო!

– ავად არის, – დაიძახა ყანჩამ. კლასი აწრიალდა. ძია თომას თავი არ აუწევია, ისე თქვა:

– ცნობას მომიტანს ექიმისაგან!..

– ექიმიც ავად არის! – ჩაიქირქილა ყანჩამ.

ძია თომას არც ახლა აუწევია თავი და წყნარად თქვა:

– ყანჩა გამოვა და ტყუილის თქმისთვის ცალ ფეხზე დადგება!

– ბიბო !

კრინტი არავის დაუძრავს.

– ბუბა!

ხმა არც ახლა ამოუღია ვინმეს.

– დაყრუვდით? – იკითხა ძია თომამ.

– ჩვენ ძმები ვართ – წამოდგნენ ტყუპები, – ამიტომ სიაშიც ყოველთვის ერთად უნდა ვიყოთ!..

დათუნიამ სათვალე მოიხსნა და ალმაცერად გამოხედა ტყუპებს.

თვალებგაბრწყინებულმა ბიბომ და ბუბამ ლექსივით ჩაარაკრაკეს.

– აქ ვართ! აქ ვართ!

ძია თომამ არყის ხის თეთრი ქერქის ჟურნალი დახურა და გაკვეთილის ახსნა დაიწყო.

გ. ბედოშვილი

მასალა ლექსიკური სამუშაოებისთვის:

ბაკანი – მაგარი ძვლოვანი საფარი კუსი;
თვალების ფახულით – წამწამების ხამხამით;
ალმაცერად – გვერდულად.

კითხვები კლასში საკითხავი მასალისათვის:

1. რით ანიშნა თომამ მოსწავლეებს გაკვეთილის დაწყება?

2. ვინ შეუშალა ხელი გაკვეთილის დაწყებას?
3. როგორ მოიქცნენ ტყუპები?
4. რაზე ჩხუბობდნენ ტყუპები?
5. რა გამოსავალი იპოვა ძია თომამ, რა უთხრა ტყუპებს?
6. რატომ ჩავარდნენ ტყუპები უხერხულ მდგომარეობაში?
7. როგორ დაუწერა „არა“ ძია თომამ მგელუკას?
8. რატომ დასაჯა ძია თომამ ყანჩა?
9. რა წესები დაირღვა ნაკაფიანის სკოლაში?

თამაში №6 – „რა ხატია სურათზე“

მასწავლებელი მოსწავლეებს დაყოფს პატარა გუნდებად (3-4 მოსწავლე), დაფასთან გამოიძახებს რიგრიგობით თითოეულ გუნდს. დაფის დირეზე დევს გადაბრუნებული ნახატი. შემდეგ შემოაბრუნებს ნახატს და ეუბნება მოსწავლეებს: „კარგად შეხედეთ და დაიმახსოვრეთ, რა ხატია.“ მერე ისევ შეაბრუნებს ნახატს და გუნდის წევრებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ საგნები.

სურათი არ უნდა წარმოადგენდეს კომპოზიციას. მასზე უნდა ეხატოს 4-5 საგანი (შეიძლება ამოჭრილი სურათებიც დაწებდეს ფურცელზე), მაგალითად: წიგნი, ბურთი, სკამი, ვარსკვლავი, მანქანა. როდესაც მასწავლებელი ისევ ამოაბრუნებს სურათს, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ის საგანი, რაც გამორჩათ.

ყოველ მომდევნო გუნდს ეძლევა ახალი სურათი.

ჩვენი გაკვეთილები – გამოყენებითი ხელოვნება (1 სთ)

გაკვეთილი №9

მიზნები:

- სასკოლო-სოციალური ქცევების გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურება;
- მიზნობრივ თამაშში ჩართვა;
- სივრცითი მიმართებების გავარჯიშება;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 3.3; 4,2; 4.3;4.4; 4.5; 4.8; 6.1; 6.2.

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის (ქართული ენა) საჭიროებებზე, ასტრუქტურებს სასწავლო პროცესს;
- აღწერს სურათს, ასახელებს თემას, მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მას;
- შეუძლია მარჯვენა-მარცხენის გარკვევა საკუთარ სხეულთან მიმართებაში და სივრცეში;
- შეძლო განსხვავებული ბგერების დაფიქსირება;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- ახდენს ასო-ბგერის მიმართების დაფიქსირებას.

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტვობის ორგანიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან. პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	ნახატი, გვ. 6	მოსწ. წიგნი	საკლასო ინდივ.
3	რას ვაკეთებთ ხელოვნების გაკვეთილზე			საკლასო ინდივ.
4	მიზნ. თამაში „სად რა დავხატე“	მასწ.წიგნი	ფურცლები, ფერადი ფანქრები	ინდივიდუალური
5	ლექსიკურ-ფონეტიკური სავარჯიშოები	სიტყვათა წყვილები	მასწ.წიგნ.	ინდივიდუალური

დამხმარე მასალა:

თამაში – „სად რა დავხატე“

მოსწავლეებს ვურიგებთ სახატავ ფურცლებს. ვთხოვთ, რომ შუაში დახატონ საკუთარი თავი, შემდეგ კი დახატონ ხე, მზე და ყვავილი.

როდესაც დაასრულებენ ხატვას, თითოეულმა აგვიხსნას, სად რა დახატა – მაგალითად, მზე – ზევით, ხე – მარჯვნივ, ყვავილი – მარცხნივ.

შენიშვნა: როგორც უკვე ითქვა, სივრცით მიმართებებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სურათის აღწერის დროს.

ლექსიკურ-ფონეტიკური სავარჯიშოები:

1. რაზე იწყება ეს სიტყვა ან დაასახელეთ კონკრეტული (მაგ.: მ-ზე) დაწყებული სიტყვები.
2 ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება.
3. სიტყვათა წყვილებში განსხვავებული ბგერის დაფიქსირება

მახე-სახე	ბოლი-ბოლი	ბანკი-ბანკი
მახე-მახე	ბოლი-მოლი	ბანკი-ტანკი
სახე-სახე	მოლი-მოლი	ტანკი-ბანკი
სახე-მახე	მოლი-ბოლი	ტანკი-ტანკი

.

ჩვენი გაკვეთილები – მათემატიკა (1 სთ)
გაკვეთილი № 10

მიზნები:

- სასკოლო ქცევების გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურება;
- წაკითხულის მოსმენა, გააზრება, პასუხის გაცემა კითხვებზე;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება;
- სივრცითი მიმართებების გავარჯიშება;
- სოციალური უნარ-ჩვევების გავარჯიშება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 2,4; 4.2; 4.3;4.4; 4.5; 4.8; 6.1; 6.2.

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის (ხელოვნება) საჭიროებებზე;
- ასტრუქტურებს სასწავლო პროცესს;
- აღწერს სურათს, ასახელებს თემას, მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მას;
- იაზრებს და ადეკვატურად იყენებს გაკვეთილზე ქცევის წესებს;
- ისმენს და ადეკვატურად რეაგირებს წაკითხულზე, სცემს კითხვებზე პასუხს;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- აფიქსირებს ასო-ბგერით მიმართებებს;
- შეძლო განსხვავებული ბგერების დაფიქსირება

გაკვეთილის სტრუქტურა

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანი-ზების ფორმა
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან.პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	ნახატი, გვ. 7	მოსწ. წიგნი	ინდ. საკლასო
3	რას ვაკთებთ მათემათ. გაკვეთილზე			ინდ. საკლასო
4	თამაში „შორს-ახლოს“	დამხმარე მასალა	მასწ.წიგნ.	საკლასო
5	ფონეტიკური სავარჯიშო	დამხმარე მასალა	მასწ.წიგნ.	საკლასო

დამხმარე მასალა:

თამაში №9 – „შორს და ახლოს“

ამ თამაშის მიზანია მოსწავლეების გავარჯიშება საგანთა შორის მიმართებების აღქმაში (შორს – ახლოს).

– ვის მერხთან უფრო ახლოსაა დაფა, დიმიტრის მერხთან თუ ქეთინოს მერხთან?
– ვინ ზის ფანჯარასთან ახლოს?
– ვინ ზის ფანჯრიდან უფრო შორს?

ჩვენ შეგვიძლია ბავშვებს პრაქტიკული სავარჯიშოებიც შევთავაზოთ. მაგალითად, გამოვიყვანოთ მოსწავლეები და ვთხოვოთ:

– ნიკა დადგეს მაგიდასთან ახლოს, მარიამი – შორს.

ანდა განვალაგოთ ბავშვები და დავსვათ კითხვა:

– ვინ დგას სანდროსთან ახლოს და სანდროსგან შორს, ვინ დგას ნინოსთან ახლოს და ნინოსგან შორს?

მასალა ფონეტიკური სავარჯიშოებისთვის

1. ფონეტიკური წყვილები:

ტურა – ტარი
ტარი – ტარი
ტურა – ტურა
ტურა – ტარი

ბარი – ბარი
ბარი –კარი
კარი – ბარი
კარი –კარი

ჩვენი გაკვეთილები – სპორტი (1 სთ)
გაკვეთილი №11

მიზნები:

- სასკოლო ქცევის გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურება;
- წაკითხულის დამახსოვრება და გააზრება;
- ყურადღების კონცენტრაცია და მეხსიერების გავარჯიშება;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 1.6; 2.1;; 2,4; 4.1; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 4.8; 6.1; 6.2

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის საჭიროებებზე;
- ასტრუქტურებს საგაკვეთილო პროცესს;
- აღწერს სურათს – ასახელებს თემას, მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში. იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მას;
- იაზრებს და ადეკვატურად იყენებს გაკვეთილზე ქცევის წესებს;
- იხსენებს წაკითხულს და სცემს კითხვებზე პასუხს;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- ასო-ბგერით მიმართებებს ამყარებს;
- აფიქსირებს განსხვავებულ ბგერებს სიტყვათა წყვილებში.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანი-ზების ფორმა
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან-პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	ნახატი, გვ. 7	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
3	რას ვაკეთებთ სპორტის გაკვეთილზე – საუბარი			საკლასო
4	ფონეტიკური სავარჯიშოები	დამხმ.მას.	მასწ.წიგნ.	საკლასო
5	მიზნობრივი თამაში „მარჯვე-ნა-მარცხენა“	დამხმ.მას	მასწ.წიგნ.	ჯგუფური

დამხმარე მასალა

თამაში – „მარჯვენა და მარცხენა“

სივრცითი მიმართებების დაფიქსირების პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მარჯვენა-მარცხენის გარჩევას. ეს პროცესი, პირველ რიგში, საკუთარ სხეულთან მიმართებაში უნდა დაფიქსირდეს.

არაერთხელ ითქვა, რომ იდეა იმ ხელის დასახელების, რომლითაც წერენ, სრულყოფილი არ არის, რადგან ბავშვი შეიძლება ცაცია იყოს. ამ ბოლო ხანებში გაჩნდა სტიკერების გამოყენების იდეა.

შეგვიძლია ჩავატაროთ უმარტივესი ვარჯიშები: ავწიოთ მარჯვენა ხელი, მოვხაროთ მარჯენა ფეხი, გავშალოთ მარჯვენა ხელი და ა.შ.

შეიძლება შევკრათ წრე და მოსწავლეებს ვთხოვოთ, დაასახელონ ვინ დგას მათ მარჯვნივ და ვინ დგას მათ მარცხნივ.

მასალა ფონეტიკური წყვილებისთვის:

ზვარი – ზვარი	კანი – კანი	დაისი – დაისი
ზვარი – ზვარი	კანი – ტანი	აისი – აისი
ზვარი – ზღვარი	ტანი – ტანი	აისი – დაისი
ზღვარი – ზვარი	ტანი – კანი	დაისი – აისი

ჩვენი გაკვეთილები – ბუნება (1 სთ)

გაკვეთილი №12;

მიზნები

- სასკოლო ქცევის გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურბა;
- წაკითხულის მოსმენა, გააზრება, პასუხის გაცემა კითხვებზე;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება;
- სივრცითი მიმართებების გავარჯიშება;
- სოციალური უნარ-ჩვევების გავარჯიშება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 2,4; 3.3; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 4.8; 5.1; 5.2; 6.1; 6.2

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის საჭიროებებზე;
- ასტრუქტურებს სასწავლო პროცესს;
- აღწერს სურათს, ასახელებს თემას, მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობებში, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მათ;
- ისმენს და ადეკვატურად რეაგირებს წკითხულზე, სცემს კითხვებზე პასუხს;
- მონაწილეობს როლურ გათამაშებაში;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- აფიქსირებს ასო-ბგერით მიმართებებს;
- შეძლო განსხვავებული ბგერის დაფიქსირება სიტყვათა წყვილებში.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა დრო	რესურსი	აქტვობის ორგანიზების ფორმა
		გაკვეთილი №12		
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან-პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	გვ.. 8	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
3	საუბარი – რას ვაკეთებთ ბუნების გაკვეთილზე			საკლასო, ინდ.
4	ფონეტიკური სავარჯიშოები	დამხმარე მასალა	მასწავლებლის წიგნი	ინდივიდუალური
5	კლასგარეშე	„გვრიტი“	მასწავლებლის წიგნი	საკლასო

დამხმარე მასალა:
კლასში საკითხავი მასალა:

„გვრიტი“
(ქართული ხალხური ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი. ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე. ერთხელ, თავისი ბარტყების საჭმლისათვის შორს მოუხდა წასვლა.

ბოროტმა კაცმა ამ დროს ბარტყები ამოუსხა ბუდიდან და შინ წაასხა. დაბრუნდა შინ გვრიტი და შვილები ბუდეში აღარ დახვდა. დაღონდა მწარედ. წავიდა ბარტყების საპოვნელად. შემოეყარა მამალი.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?
— შვილების საპოვნელადაო.
— მეც შენი მშველელი ვიქნებიო.
— ძალიან კარგიო.

იარეს, იარეს და ახლა მახათი შემოეყარათ გზაზე.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?
— შვილების საპოვნელადაო.
— მეც შენი მშველელი ვიქნებიო,
— ძალიან კარგიო.

დაედევნა უკან მახათიც.

იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შეხვდათ გზაზე.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?
— შვილების საპოვნელადაო.
— მეც შენი მშველელი ვიქნებიო.
— ძალიან კარგიო.

გამოუდგა უკან ფილთაქვაც.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს შემოეყარათ ვირი.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო?
— შვილების საპოვნელადაო.
— მეც შენი მშველელი ვიქნებიო,
— ძალიან კარგიო.

დაედევნა უკან ვირიც.

მივიდნენ ღამით ერთ სოფელში.

დაუგდეს ყური.

ერთი სახლიდან პატარა გვრიტების საცოდავი ჭყივილი შემოესმათ. ყველანი ამ სახლთან მივიდნენ და საომრად მოემზადნენ.

ვირი კარებთან აიტუზა. მახათი კარებიდან შეძვრა, სხვანი ერდოდან ჩავიდნენ სახლში. მამალი ბუხრის თავზე შეფრინდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო, მახათი ბუხრის პირად დაერჭო. გვრიტი გალიასთან მიფრინდა თავისი ბარტყების გამოსაშვებად. ამასობაში კაცს გამოეღვიძა. წამოვარდა ზეზე, ბუხართან მივარდა, ცეცხლი უნდა აენთო. ამ დროს ფილთაქვა გასკდა და ბოროტ კაცს ნაღვერდალი თვალებში შეეყარა, მახათი ბარძაყში შეერჭო, მამალმა ზევიდან დაჰყივლა. კაცი შეშინდა, გარეთ გამოვარდა. აქაც ვირმა ერთი ღონიერი წიხლი ჰკრა და გონება სულ დაუბნია. ამასობაში გვრიტმა გალია გაუღო თავის ბარტყებს, შეისხა მხრებზე და ბუდისაკენ გააქანა.

ქირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

მასალა ლექსიკური სამუშაოსთვის:

მახათი — დიდი ნემსი
ფილთაქვა — დასანაყი ქვა.

კითხვები წაკითხული მასალის დასამუშავებლად:

- როგორ იწყება და როგორ მთავრდება ეს ამბავი?
- რა შეემთხვა გვრიტს?
- ჯერ ვინ შეხვდა გვრიტს და რა შესთავაზა მას?
- შემდეგ ვინ შეხვდა გვრიტს და რა შესთავაზა მას?
- ბოლოს ვინ შეხვდა გვრიტს და რა შესთავაზა მას?
- ჩამოთვალე გვრიტის მშველელები.
- როგორ მოიქცა მამალი?

- რა ქნა მახათმა?
- რა გააკეთა ფილთაქვამ?
- როგორ მოიქცა ვირი?
- რით აჯობეს გვრიტმა და მისმა მეგობრებმა ბოროტ კაცს?

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

ბალთა – ბალთა	კალათი – სალათი	ქისა – ქისა
ბალთა – ბალთა	კალათი – სალათი	ქისა – ქისა
ბალთა – კალთა	კალათი – სალათი	ქისა – ქოსა
კალთა – ბალთა	სალათი – სალათი	ქოსა – ქისა
კალთა – კალთა	სალათი – კალათი	ქოსა – ქოსა

ჩვენი გაკვეთილები – მუსიკა (1 სთ)

გაკვეთილი №13

მიზნები:

- სასკოლო ქცევის გაცნობიერება;
- სურათის აღწერა;
- საგაკვეთილო პროცესის დასტრუქტურება;
- წაკითხულის გახსენება, კითხვებზე პასუხების გაცემა;
- ფონოლოგიური ცნობიერების გავარჯიშება;
- სივრცითი მიმართებების გავარჯიშება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 2. 2; 2. 3; 2,4; 3.2; 3.3; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 4.8; 5.1; 5.2; 6.1; 6.2

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის საჭიროებებზე;
- ასტრუქტურებს სასწავლო პროცესს;
- აღწერს სურათს, ასახელებს მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მას;
- იხსენებს წაკითხულ მასალას და პასუხობს შეკითხვებზე;
- აღიქვამს სივრცით მიმართებებს და პრაქტიკაში იყენებს;
- ახდენს თავბგერის დაფიქსირებას და გამოყოფას;
- აფიქსირებს ასო-ბგერის მიმართებებს;
- შეძლო განსხვავებული ბგერის დაფიქსირება სიტყვათა წყვილებში.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან-პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	გვ. 8	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
3	საუბარი – რას ვაკეთებთ მუსიკის გაკვეთილზე	5		საკლასო, ინდ.
4	კლასგარეშე მასალის გახ-სენება	„გვრიტი“ დამხმარე მასალა	მასწავლებლის წიგნი	საკლასო
5	ფონეტიკური სავარჯიშოები		დამხმარე მასალა	ინდივიდუალური
6	მიზნობრივი თამაში	„მაძებარი“ დამხმარე მასალა	მაწავლებლის წიგნი	.ჯგუფური

დამხმარე მასალა:

მიზნობრივი თამაში — „მაძებარი“

შევადგინოთ გუნდები. ერთი გუნდის ერთი მოსწავლე ხუჭავს თვალებს. მოწინააღმდეგე გუნდის ბავშვები გარკვეულ ადგილას დებენ საგანს.

მოსწავლე ახელს თვალებს და იწყებს მისთვის უცნობი საგნის ძებნას. მთავარია მან მიაგნოს ადგილს. თანაგუნდელებმა იციან საგანიც და ადგილიც. მათ ხმის აწევა-დაწევით უნდა მიიყვანონ მოსწავლე საგანთან.

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

ტომი — ტომი	სარი — სარი	როლი — ბოლი
ტომი — ტომი	სარი — სარო	ბოლი — ბოლი
ტომი — ტონი	სარო — სარო	ბოლი — როლი
ტონი — ტონი	სარო — სარო	როლი — როლი

თემა №4. ჩვენი სახელმძღვანელო (1 სთ)

გაკვეთილი №14

მიზნები:

- სათანადო სამეტყველო უნარის გამოყენება;
- ახალი ინფორმაციის მიღება-გააზრება;
- მოსწავლის წიგნის, რვეულის და ელექტრონული განმავითარებელი მასალის გაცნობა. მათი მაორგანიზებელი ელემენტების აღქმა-გააზრება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 2. 1; 4.2; 10.1; 10.2

- საუბრობს საგაკვეთილო პროცესის საჭიროებებზე;
- ასტრუქტურებს სასწავლო პროცესს;
- აღწერს სურათს, ასახელებს მოქმედებას, საგნებს;
- ერთვება ჯგუფურ აქტივობაში, იგებს ინსტრუქციას და ადეკვატურად ასრულებს მას;
- ცნობს და ასახელებს წიგნის მაორგანიზებელ ელემენტებს.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატზე მუშაობა		ანბან-პლაკატი	საკლასო
2	სურათის აღწერა	გვ. 9	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
3	მოსწავლის წიგნზე მუშაობა: ყდა, თავფურ-ცელი, ნახატები, ტექ-სტები, სათაურები, სარჩევი		მოსწ. წიგნი	საკლასო, ინდ.
4	მოსწავლის რვეულზე მუშ-აობა. „მოლაპარაკე ანბანის“ ჩვენება	მოსწავლის რვეული, „მოლაპარაკე ანბანი“	მოსწ.რვეული, პორტატული კომ-პიუტერი, ბმული: buki.ge/programs-list.html	საკლასო
5	მიზნობრივი თამაში	ჩვენ კლასელები ვართ	დამხმარე მასალა მასწ.წიგნი	ჯგუფური

მიზნობრივი თამაში: „ჩვენ კლასელები ვართ“

ეს თამაში გათვლილია გუნდურობის განვითარებაზე. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს აწიონ ხელი, ვისაც ხატვა უფრო უყვარს, ვიდრე სიმღერა და ცეკვა. მათ დააყენებს ერთ მხარეს, შემდეგ მეორე მხარეს დააყენებს მათ, ვისაც ყველაზე მეტად სიმღერა უყვარს, შუაში დადგებიან ისინი, ვისაც ცეკვა უფრო უყვარს. შედგა სამი გუნდი. შემდეგ ვთხოვოთ ბავშვებს წრე შეკრან და ჩაკიდონ ერთმანეთს ხელები.

I გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ხატვა, ჩვენ ვართ გუნდი.

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს – ამ გუნდს ის აკავშირებს, რომ ყველას უყვარს ხატვა.

II გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს სიმღერა, ჩვენ ვართ გუნდი.

ანალოგიური კომენტარი კეთდება.

III გუნდს ევალება თქვას: ჩვენ გვიყვარს ცეკვა, ჩვენ ვართ გუნდი.

ისევ კომენტარი.

შემდეგ კი სამივე გუნდი გაერთიანდება. ყველანი ხელს ჩაკიდებენ ერთმანეთს და იტყვიან: – ჩვენ ვართ გუნდი, ჩვენ ვართ კლასელები, ჩვენ ვართ მეგობრები, ჩვენ გვიყვარს სწავლა.

თემა №5: ა, ი (3 სთ)

გაკვეთილი №15 – ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა

მიზნები:

1. შესასწავლი ბგერების დაფიქსირება და მეტყველებიდან მათი გამოყოფა, მიმართების დამყარება შესაბამის გრაფიკულ ხატთან;
2. შესასწავლი ასოების გამოყოფა მთლიანი სიტყვიდან და თავასოს დაფიქსირება;
3. სიტყვის მთლიანი ხატის აღქმა, მისი იდენტიფიკაცია: აკუსტიკურის ნახატთან, ნახატის – ნაბეჭდთან;
4. ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
5. მოსმენა და ადეკვატური რეაგირება ინფორმაციასა და ინსტრუქციაზე;
6. ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 5.2; 6.4; 6.5; 14.1.

1. შეუძლია შესწავლილი ბგერის სიტყვიდან გამოყოფა, თავასოს დაფიქსირება;
2. ამოიცნობს შესწავლილ ასოს ანბან-პლაკატზე, ნახატიან ლექსიკონში და საანბანო ლოტოში;
3. აღიქვამს სიტყვის მთლიან ხატს და ამყარებს მიმართებას მის აღმნიშვნელ საგანთან;
4. ახდენს აკუსტიკური ხატის იდენტიფიკაციას ნახატთან და ნახატის – ნაბეჭდთან;
5. დამოუკიდებლად გამოყოფს უცნობ ასოთა სიმრავლიდან შესწავლილ ასოებს;
6. დაასახელა ა-ზე და ი-ზე დაწყებული სიტყვები.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატის წაკითხვა, შესწავლილი ასოების დაფიქ-სირება	ა, ი	10	ანბან-პლაკატი	საკლასო, ინდ.
2	ლექსიკური სავარჯიშო	სიტყვათა ჩამონათვალი	5	მასწ. წიგნ.	ინდივიდუალური ჯგუფური
3	ნახატიან ლექსიკონზე მუშ-აობა	გვ. 12	10	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
4	წერითი სავარჯიშო	თემა №5 სავარჯ. 1	5	სამუშაო რვეული გვ. 3	ინდივიდუალური

დამხმარე მასალა:

სიტყვათა ჩამონათვალი ლექსიკური სავარჯიშოსათვის:

ა – აბი, აბჯარი, აგარაკი, აბგა, აგური, ადათი, ადამიანი, ავაზა, ავდარი, აზრი, აკვანი, აკიდო, ალიონი, ალყა, ამაგი, ამალა, ამანათი, ანბანი, ანდაზა, ანგელოზი, არშია, ასკილი, აუზი, აღვირი.

ი – იმედი, იადონი, იასამანი, იერიში, იარუსი, ინტერესი, ინსტიტუტი, ილეთი, ინდაური, ირემი, ისარი, ისლი, ისტორია, იუბილე, იუმორი, იფანი, იღბალი, ინჟინერი, იოდი, იაგუნდი, იალქანი, ილუს-ტრაცია, იარაღი.

რეკომენდაციები წერითი სავაჯიშოსათვის:

ამ გაკვეთილზე მოსწავლეები პირველად შეასრულებენ სავარჯიშოს რვეულში. ამიტომ პირველ სავარჯიშოს განსაკუთრბული გულისყურით მოვეკიდოთ. მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს:

- ბავშვებო, დღეს ჩვენ პირველად შევასრულებთ სავარჯიშოს რვეულში. გადავშალოთ რვეულები გვ.3-ზე.

მასწავლებელი თვითონ გადაშლის რვეულს ამ გვარდზე და უჩვენებს მოსწავლეებს გვერდს. შემდეგ ჩამოვლით შეამოწმებს რვეულებს და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელებს:

-დავაკვირდეთ პირველ სავარჯიშოს. პატარა ჩარჩოში მოთავსებულია დავალების პირობა, თუ როგორ უნდა შესრულდეს სავარჯიშო. ამას ინსტრუქცია ჰქვია. როცა კითხვას ისწავლით, ინსტრუქციას თვითინვე წაიკითხავთ ხოლმე .სანამ კითხვას კარგად ისწავლიდეთ, ინსტრუქციას მე წაგიკითხავთ ხოლმე. აბა, მოვძებნოთ ინსტრუქცია და დავადოთ თითი!

მასწავლებელი ამოწმებს, როგორ შესრულეს მოსწავლეებმა მისი მოთხოვნა. ასეთი საქმიანობით მასწავლებელი მოსწავლეებს რვეულის სქრუქტურაზე უმახვილებს ყურადღებას, უვითარებს მათ საჭირო მასალის მოძიების უნარს. შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს:

- ახლა ვნახოთ, რა წერია დიდ ჩარჩოში? (ასოები).ამ ასოებიდან რომელი ასოები ვისწავლეთ ჩვენ უკვე? (ა, ი) რომელი ასოებია შემოხაზული? (ა, ი) აბა დააკვირდით, კიდევ არის სადმე ა და ი? ახლა კი მე წაგიკითხავთ ინსტრუქციას, რა უნდა შეასრულოთ თქვენ. ყურადღებით მოუსმინეთ ინსტრუქციას! (მასწავლებელი კითხულობს ინსტრუქციას გარკვევით, მოწოდების ინტონაციით) აიღეთ კალმები და შეასრულეთ.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს:

- ყველამ იპოვა ა და ი? რამდენი ა და რამდენი ი შეგხვდათ კიდევ?

მასწავლებელი ჩამოვლით შეამოწმებს შესრულებას. მიუთითებს ასოებზე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც გამორჩათ რომელიმე ასო და შემოახაზინებს. და ბოლოს შეეკითხება მოსწავლეებს:

- დღეს თქვენ პირველად შეასრულეთ წერითი სავარჯიშო. მოგეწონათ რვეულში კალმით მუშაობა?

მასწავლებელი შეაქებს მოსწავლეებს გაწეული სამუშაოსათვის.

გაკვეთილები № 16; 17 – ძირითად ტექსტზე მუშაობა

მიზნები:

- შესასწავლი ბგერის მიმართების დამყარება მის გრაფიკულ ხატთან;
- სიტყვის აკუსტიკური ხატის აღქმა. ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
- შესწავლილი ასოების ამოკითხვა ტექსტში;
- ტექსტის დაკავშირება შესაბამის ილუსტრაციასთან – გააზრებული კითხვის საწყისი უნარების განვითარება;
- სიტყვის გრაფიკული ხატის გამთლიანებაზე ვარჯიში;
- სივრცითი მიმართებების დამყარების უნარების განვითარება;
- მიზანმიმართული სამეტყველო აქტივობის უნარის განვითარება;
- სმენითი მეხსიერების გავარჯიშება;
- ყურადღების მობილიზაციის უნარის განვითარება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 1.6; 6.1; 6 .2; 6.3; 6.4; 6.6; 6.7; 6.8; 6.9; 6.10; 6.11; 7.1; 8.3; 12.4

- შეძლო ბგერებად დაშლილი მოკლე სიტყვის გამთლიანება და განსხვავებული ბგერის აღქმა სიტყვათა წყვილებში;
- შეძლო ნასწავლი ასოს ამოცნობა ანბან-პლაკატზე;
- შეძლო ნასწავლი ასოებით სიტყვის ამოკითხვა და მისი დაკავშირება ილუსტრაციასთან;
- შეძლო სიტყვისა და მოკლე ფრაზის აწყობა მოძრავი ანბანით;
- შეძლო ინსტრუქციის მოსმენა, გაგება და ადეკვატურად რეაგირება;
- შეძლო სივრცითი მიმართებების წინ უკან ზევით ქვევით დაფიქსირება და მისი ვერბალიზაცია;
- შეძლო სიტყვათა სიმრავლეში მისთვის ნაცნობი და მითითებული სიტყვის გამოყოფა;
- შეძლო მიმართულების (მარცხნიდან მარჯვნივ) დაფიქსირება წერაში;
- მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართების დამყარება;
- შეძლო სივრცით მიმართებაში სარკისებრის აღქმა;
- შეძლო მოკლე ლექსის დასწავლა კლასში.

გაკვეთილების სტრუქტურა

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
			გაკვეთილი №16		
1	ანბან-პლაკატის წაკითხვა, შესწავლილი ასოების დაფიქ-სირება	ანბანის პლაკატი, „მოლაპარაკე ანბანი“	10	ანბან-პლაკატი, კომ-პიუტერი, ბმული - buki.ge/programs-list.html	საკლასო, ინდ.
2	ძირითადი ტექსტის წაკითხვა	აი ია	10	მოსწავლის წიგნი გვ.13	ინდივიდუალური
3	მოძრავი ანბანით მუშაობა		5	დაფა, მოძრა. ანბ.	საკლასო
4	წერითი სამუშაო	5. №2	10	სამუშაო რვეული გვ.3	ინდივიდუალური
			გაკვეთილი №17		
1	ფონეტიკური სავარჯიშო	ფონეტიკური წყვილები	5	მასწავლების წიგნი	საკლასო
2	კლასგარეშე მასალა	ლექსი „ია“	10	დამხმ. მასალა	საკლასო, ინდ.
3	წერითი სამუშაო	თემა 5. №3, გვ.3	10	სამუშაო რვეული	ინდივიდუალური
4	ძირითადი ტექსტის წაკითხვა	გვ. 13	10	მოსწ. წიგნი	ინდივიდუალური

დამხმარე მასალა:

ია

ველში ია ამოვიდა,
მიიხედა, მოიხედა,
„მწყურიაო“! – ჩუმადა თქვა,
დაძახება ვერ გაბედა.

შიო მღვიმელი

მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

სალამი – სალამი	ცხვარი – ცხვარი	შუქი – შუქი
სალამი – სალამი	ცხვარი – ცხვირი	ბუქი – ბუქი
კალამი – სალამი	ცხვირი – ცხვირი	შუქი – ბუქი
სალამი – კალამი	ცხვირი – ცხვარი	შუქი – შუქი
კალამი – კალამი	ცხვარი – ცხვარი	ბუქი – შუქი
კალამი – სალამი	ცხვარი – ცხვირი	ბუქი – ბუქი

რეკომენდაციები წერითი სავაჯიშოებისათვის:

მოსწავლის რვეულში, მეორე სავარჯიშოში მოცემულია პატარა სიტყვები, რომელთაგან მოსწავ-ლეს უკვე შეუძლია სიტყვა იას წაკითხვა. ერთ ნიმუში სავარჯიშოსი უკვე მოცემულია. ნიმუსის განხილვის შემდეგ(რომელი სიტყვაა შემოხაზული?) მასწავლებელი კლასს უკითხავს ინსტრუქციას, ამოწმებს ინსტრუქციის გაგებას (მაშ რა უნდა გააკეთოთ თქვენ?). ამის შემდეგ მოსწავლეები ასრულე-ბენ სავარჯიშოს თვითონ. დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი ამოწმებს შესრულებას ისე, როგორც იყო აღწერილი პირველი სავარჯიშოს შემთხვევაში.

III სავარჯიშოში მოცემულია დავალება სარკისებრ ფიგურებზე. აქაც მნიშვენლოვან როლს ასრულებს ინსტრუქციის გაგება. სანამ მოსწავლეებს გადავახაზინებთ სარკისებრ ფიგურას, აუცილებლად დავამუშაოთ ეს სავარჯიშო, რადგან ასეთი დავალების შესრულება მათ პირველად მოუწევთ. მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს:

- დააკვირდით ნახატს. რამდენი ძროხაა ნახატზე. ახლა დააკვირდით, ოთხივე ძროხა ერთ მხარეს იყურება? (არა, ერთი სხვა მხარეს იყურება). დაადეთ თითი ძროხას, რომელიც სხვა მხარეს იყურება. ახლა აიღეთ კალმები და გადახაზეთ ის ძროხა, რომელიც სხვა მხარეს იყურება.

ამ ტიპის დავალებები მოწმდება მაშინვე კლასში. მითითების შემდეგ მოსწავლეები იქვე ასწორებენ დავალებას.

თემა №6: დ, ე (3 სთ)

გაკვეთილი №18 – ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა

მიზნები:

- შესასწავლი ბგერების დაფიქსირება და მეტყველებიდან მათი გამოყოფა, მიმართების დამყარება შესაბამის გრაფიკულ ხატთან;
- შესასწავლი ასოების გამოყოფა მთლიანი სიტყვიდან და თავასოს დაფიქსირება;
- სიტყვის მთლიანი ხატის აღქმა, მისი იდენტიფიკაცია: აკუსტიკურის ნახატთან, ნახატის – ნაბეჭდთან;
- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;
- მოსმენა და ადეკვატური რეაგირება ინფორმაციასა და ინსტრუქციაზე;
- ლექსიკის გამდიდრებაზე ზრუნვა.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 4.2; 4.3; 4.4; 4.5; 5.2; 6.4; 6.5; 14.1.

- შეუძლია შესწავლილი ბგერის სიტყვიდან გამოყოფა, თავასოს დაფიქსირება;
- ამოიცნობს შესწავლილ ასოს ანბან-პლაკატზე, ნახატიან ლექსიკონსა და საანბანო ლოტოში;
- აღიქვამს სიტყვის მთლიან ხატს და ამყარებს მიმართებას მის აღმნიშვნელ საგანთან;
- ახდენს აკუსტიკური ხატის იდენტიფიკაციას ნახატთან და ნახატის – ნაბეჭდთან;
- დამოუკიდებლად გამოყოფს უცნობ ასოთა სიმრავლიდან შესწავლილ ასოებს;
- დაასახელა დ-ზე და ე-ზე დაწყებული სიტყვები.

გაკვეთილის სტრუქტურა

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატის წაკითხვა, შესწავლილი ასოების დაფიქ-სირება		3	ანბან-პლაკატი დაფა, მოძრა. ანბ.	საკლასო, ინდ.
2	ლექსიკური სავარჯიშო	დ-ზე და ე-ზე დაწ-ყებული სიტყვები	5	დამხმ. მასალა მასწ. წიგნი	ინდივიდუალური, ჯგუფური
3	ანბანთქების მოსმენა	ლექსები	2	დამხმ. მასალა მასწ. წიგნი	საკლასო
4	ნახატიან ლექსიკონზე მუშაობა	გვ. 14	10	მოსწავლის წიგნი	საკლასო, ინდ.
5	წერითი სავარჯიშო	6, №1 გვ.4	10	სამუშაო რვეული	ინდივიდუალური

დამხმარე მასალა:

დ – დათვი, დაირა, დალაქი, დამბაჩა, დარაჯი, დარბაზი, დარდი, დასი, დაფნა, დაღმართი, დახლი, დედალი, დევი, დეზი, დელფინი, დეპეშა, დერეფანი, დინგი, დინოზავრი, დილა, დომინო, დოქი, დოღი, დრაკონი, დღე, დურბინდი.

ე – ეზო, ექიმი, ელვა, ელდა, ელმავალი, ენა, ენძელა, ერი, ეტლი, ექსკურსია, ეშელონი, ეშვი, ეშმაკი, ეჩო, ეჭვი, ეკიპაჟი, ელჩი, ერდო, ესკიზი, ესტრადა.

დიდი დათვი დრუნჩიანი,
დუდღუნა და დანდალაო,
დილით ადრე წამომდგარა,
თაფლის ჭამით დამთვრალაო,
დამთვრალა და, და, და, და, და!
რა დიდგულა გამხდარაო!

***

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო,
ეკუნას, ელდარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს,
კედლის ჭერს სწვდება სურნელი
სველ-სველი ენძელებისო.

რეკომენდაციები წერითი სავაჯიშოსათვის:

– ბავშვებო, დღეს შევასრულებთ სავარჯიშოს რვეულში. გადავშალოთ რვეულები გვ. 4-ზე.

მასწავლებელი თვითონ გადაშლის რვეულს ამ გვარდზე და უჩვენებს მოსწავლეებს გვერდს. შემდეგ ჩამოვლით შეამოწმებს რვეულებს და მხოლოდ ამის შემდეგ გააგრძელებს:

– დავაკვირდეთ პირველ სავარჯიშოს. პატარა ჩარჩოში მოთავსებულია დავალების პირობა, თუ როგორ უნდა შესრულდეს სავარჯიშო. როგორც უკვე იცით, ამას ინსტრუქცია ჰქვია. როცა კითხვას ისწავლით, ინსტრუქციას თვითინვე წაიკითხავთ ხოლმე. სანამ კითხვას კარგად ისწავლიდეთ, ინსტრუქ-ციას მე წაგიკითხავთ ხოლმე. აბა, მოვძებნოთ ინსტრუქცია და დავადოთ თითი!

მასწავლებელი ამოწმებს, როგორ შესრულეს მოსწავლეებმა მისი მოთხოვნა. შემდეგ მასწავლებელი აგრძელებს:

– ახლა ვნახოთ, რა წერია დიდ ჩარჩოში? (ასოები). ამ ასოებიდან რომელი ასოები ვისწავლეთ ჩვენ უკვე? (ა, ი, დ, ე). რომელი ასოები ვისწავლეთ ჩვენ დღეს? (დ, ე) რომელი ასოებია შემოხაზული? (დ, ე) აბა დააკვირდით, კიდევ არის სადმე დ და ე? ახლა კი მე წაგიკითხავთ ინსტრუქციას, რა უნდა შეასრულოთ თქვენ. ყურადღებით მოუსმინეთ ინსტრუქციას! (მასწავლებელი კითხულობს ინსტრუქციას გარკვევით, მოწოდების ინტონაციით) აიღეთ კალმები და შეასრულეთ.

დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი შეეკითხება მოსწავლეებს:

– ყველამ იპოვა დ და ე? რამდენი დ და რამდენი ე შეგხვდათ კიდევ?

მასწავლებელი ჩამოვლით შეამოწმებს შესრულებას. მიუთითებს ასოებზე იმ მოსწავლეებს, რომლებსაც გამორჩათ რომელიმე ასო და შემოახაზინებს.

გაკვეთილი № 19 – საკითხავ სავარჯიშოზე მუშაობა

მიზნები:

- შესწავლილი ბგერის მიმართების დამყარება მის გრაფიკულ ხატთან;
- კითხვის საწყისი უნარის განვითარება;
- ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებაზე ვარჯიში;
- სიტყვის გრაფიკული ხატის გამთლიანებაზე ვარჯიში;
- სასკოლო-სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: : ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 1.6; 6.1; 6 .2; 6.3; 6.4; 6.6; 6.7; 6.8; 6.9; 6.10; 6.11; 7.1; 8.3; 12.4

- შეძლო ნასწავლი ასოების ამოცნობა ანბან-პლაკატზე;
- შეძლო მარცვლის ამოკითხვა მთლიანად;
- შეძლო სიტყვების ამოკითხვა (ასო-ასო ან მარცვლებით) და მისი გამთლიანება;
- შეძლო გაგრძელებებით ან მითითებით ამოკითხვა სიტყვებისა;
- შეძლო ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ბგერათა განსხვავების დაფიქსირება სიტყვათა წყვილებში;
- შეძლო სიტყვების აწყობა მოძრავი ანბანით;
- ისმენს ინსტრუქციას, იგებს და ადეკვატურად რეაგირებს;
- შეძლო სიტყვების დამოუკიდებლად წაკითხვა, დ-ზე დაწყებული სიტყვების აღნიშვნა (შემოხაზვა).

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგა-ნიზების ფორმა
1	ანბან-პლაკატის წაკითხვა, შესწავლილი ასოების დაფიქ-სირება	ანბან-პლაკატი, „მოლაპარაკე ანბანი“	10	ანბან-პლაკატი, დაფა, მოძრ. ანბ. კომ-პიუტერი, ბმული: buki.ge/programs-list.html	საკლასო, ინდ.
2	საკითხავ სავარჯიშოზე მუშაობა; ნახატების აღწერა-დამუშავება	გვ. 15	10	მოსწავლის წიგნი	ინდივიდუალური ჯგუფური

3	ფონეტიკური სავარჯიშო	დაშლილი სიტყვების გამ-თლიანება	5	დამხმ. მასალა	საკლასო
4	მოძრავი ანბანით მუშაობა		8	მოძრ. ანბ.	საკლასო, ინდ.
5	წერითი სავარჯიშო	თემა 6. № 2. გვ4	10	სამუშაო რვეული	ინდივიდუალური

დამხმარე მასალა:

1) დაშლილი სიტყვების გამთლიანება (ნებისმიერი სიტყვა).

2) მასალა ფონეტიკური წყვილებისათვის:

რიდი – რიდი	ნესვი – ფესვი	პეშვი – პეშვი
რიდი – რიდე	ფესვი – ფესვი	ეშვი – ეშვი
რიდი – რიდე	ნესვი – ნესვი	ეშვი – პეშვი
რიდე – რიდე	ფესვი – ნესვი	პეშვი – პეშვი
რიდე – რიდი	ნესვი – ნესვი	პეშვი – ეშვი
რიდი – რიდი	ნესვი – ფესვი	ეშვი – ეშვი

რეკომენდაციები:

სამუშაო რვეულის №2 სავარჯიშოში მოცემულია სიტყვები, მოსწავლემ უნდა შემოხაზოს დ-ზე დაწ-ყებული სიტყვები. სავარჯიშოში მოცემულია ნიმუში.

ჯერ მოსწავლეები 2-3-ჯერ ერთად წაიკითხავენ სიტყვებს.

შემდეგ მოსწავლეები ხმამაღლა კითხულობენ, რა სიტყვები შემოხაზეს. ვისაც შეცდომა აქვს, მასწავ-ლებელი მიუთითებს, გაირჩევა შეცდომა და გასწორდება.

გაკვეთილი №20 – ძირითად ტექსტზე მუშაობა

მიზნები:

- კითხვის საწყისი უნარის განვითარება;
- ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციასთან – გააზრებული კითხვის საწყისი უნარების განვითარება;
- მიზანმიმართული სამეტყველო აქტივობის უნარის განვითარება;
- ყურადღების გავარჯიშება;
- კლასიფიკაციის უნარის განვითარება;
- სივრცითი მიმართებების უნარის განვითარება;
- მთელისა და ნაწილის მიმართების დაფიქსირება.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები და შესაბამისობა სტანდარტთან: ქართ.დაწყ.(I). 1.1; 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 1.6; 6.1; 6.3; 6.4; 6.7; 6.8; 6.9; 6.10; 6.11; 7.1;7.2; 7.7; 8.3; 9.2; 10.3; 11.1; 11.3; 12.1; 12.3; 12.4

- შეძლო მარცვლების ამოკითხვა მთლიანად, სიტყვების ამოკითხვა ასო-ასო ან დამარცვლით და აზრის გამოტანა;
- შეძლო მოკლე წინადადების ამოკითხვა და მისი დაკავშირება ილუსტრაციასთან;
- შეძლო სურათის აღწერა („სასეირნოდ პარკში“);
- შეძლო ნახატების მეშვეობით სიუჟეტის დაფიქსირება და დაკლებული დეტალების ამოცნობა;
- შეძლო ყვავილების სახელების დასახელება და მათი გამაერთიანებელი სიტყვის მოძებნა ნახატის მიხედვით;
- შეძლო სივრცითი მიმართებების კალმით დაფიქსირება;
- შეძლო ნახატების შედარება და დაკლებული დეტალების შევსება.

გაკვეთილის სტრუქტურა

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	საკითხავ სავარჯიშოზე მუშაობა	გვ. 15	5	მოსწავლის წიგნი	ინდივიდუალური
2	ნახატებზე მუშაობა	გვ. 16	5	მოსწავლის წიგნი	ინდივიდუალური
3	ძირითად ტექსტზე მუშაობა	გვ. 16	20	მოსწავლის წიგნი	ინდივიდუალური, საკლასო
4	წერითი სავარჯიშო	თემა 6. №3, გვ. 4	5	სამუშაო რვეული	ინდივიდუალური

თემა №28: „ხეების დავა“ (3 სთ.)

გაკვეთილები № 14, 15, 16

მიზნები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტივი საბავშვო მოთხრობის წაკითხვა;
- ტექსტის ლექსიკური დამუშავება;
- ტექსტის შინაარსობრივი დამუშავება;
- საინფორმაციო ტექსტში მოცემული ინფორმაციის გაგება/დამახსოვრება;
- აზროვნების გააქტიურების მიზნით, მთელსა და ნაწილს შორის მიმართების დადგენა და კლასიფიკაცია;
- წინადადებაზე მუშაობა;
- ასოს, სიტყვისა და წინადადებების ბადეში გამოწერა.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები: ქართ. დაწყ. (1) 6, 10, 11, 12, 5, 14.

მოსწავლემ შეძლო:

- ტექსტის ხმამაღლა, შესაბამისი ინტონაციებით, პაუზებით და შეცდომების გასწორებით წაკითხვა;
- წინადადების საზღვრების დადგენა;
- ტექსტში მითითებული ადგილების ხელახალი ამოკითხვა მასწავლებლის კითხვისა და ინსტრუქ-ციის შესაბამისად;
- საგნების, მათი თვისებების და ნაწილების გამომხატველი სიტყვების ადეკვატურად აღქმა;
- წიგნისა და სამუშაო რვეულის სათანადო მოხმარება;
- სათაურის, ძირითადი ტექსტის, საინფორმაციო ტექსტის გარჩევა;
- უცნობი სიტყვების მნიშვნელობების დაზუსტება;
- ხელის სწორი მოძრაობით, მიმართულების, პროპორციებისა და დისტანციის სათანადო დაცვით ასოს, სიტყვისა და წინადადებების ბადეში გამოწერა.

გაკვეთილების სტრუქტურა: გაკვეთილი № 14

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	ტექსტის კითხვა და დამუშავება	„ხეების დავა“, “მოძებნე და წაიკითხე”	მოსწ.წიგნი, გვ.10	ინდივიდუალური
2	ლექსიკური სავარჯიშო	რა არის დავა, რა არის ტრაბახი?	მოსწ.წიგნი, გვ.10	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო **ო**	„ქამაბუკი“	კომპიუტერი, ბმული buki.ge/programs-list.html	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.28, ო,ოთახი	მოსწ. რვეული	

გაკვეთილი № 15

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	წერითი სავარჯიშო	№ 1, გვ.28	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
2	ტექსტის კითხვა	„ხეების დავა“	მოსწ.წიგნი, გვ.10	ინდივიდუალური
3	საინფორმაციო ტექსტი, წინადადე-ბების დასრულება	მარადმწვანე მცენა-რები, წერითი სავ. № 4, გვ.29	მოსწ.წიგნი, გვ.11, მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.28, წინადადება	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

გაკვეთილი № 16

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	მუშაობა ნახატებზე	ნახატები, გვ. 11	მოსწ.წიგნი,	ინდივიდუალური
2	წერითი სავარჯიშო	№5, გვ.29	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო **კ**	„ქამაბუკი“	კომპიუტერი, ბმული buki.ge/programs-list.html	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 6, გვ.29	მოსწ. რვეული	

თემა №29: „რა ჰქვია კვირის დღეებს?“ (2 სთ.)

გაკვეთილები № 17, 18

მიზნები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტივი ტექსტის წაკითხვა და გაგება;
- კვირის დღეების სახელწოდებების დამახსოვრება;
- აზროვნების გააქტიურება ლექსიკურ-კოგნიტური სავარჯიშოების მეშვეობით.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები: ქართ. დაწყ. (1) 6, 7, 9, 11, 12, 14, 13.

მოსწავლემ შეძლო:

- ტექსტის ხმამაღლა, მთლიანი სიტყვებით, შეცდომების გასწორებით, შესაბამისი ინტონაციებითა და პაუზებით წაკითხვა;
- ტექსტში მოწოდებული ინფორმაციის გაგება და დამახსოვრება;
- ტექსტის წაკითხვა დიალოგში;
- მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე (წაკითხული ტექსტიდან) პასუხის გაცემა და მისი მარ-ტივი, ზეპირი ინსტრუქციების შესრულება;
- წიგნის სათანადო მოხმარება;
- ხელის სწორი მოძრაობით, დისტანციების, პროპორციებისა და მიმართულებების დაცვით ასოს, სიტყვისა და მოკლე წინადადების გამოწერა ბადეში.

გაკვეთილების სტრუქტურა:

გაკვეთილი № 17

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	მუშაობა ტექსტზე და ნახატზე	„რა ჰქვია კვირის დღეებს?“ ნახატი, გვ. 12	მოსწ.წიგნი,	ინდივიდუალური, საკლასო
2	წერითი სავარჯიშო	№1, გვ.30	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო **ვ**	„ქამაბუკი“	კომპიუტერი, ბმული buki.ge/ programs-list. html	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.30, ვ, ვაზი	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

გაკვეთილი № 18

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	ტექსტის კითხვა	„რა ჰქვია კვირის დღეებს?“	მოსწ.წიგნი, გვ.12	ინდივიდუალური
2	საკითხავი სავარჯიშო	დაასახელე	მოსწ.წიგნი, გვ.12	ინდივიდუალური
3	წერითი სავარჯიშო	№ 2, გვ.30	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.30, წინადადება	მოსწ. რვეული	

რეკომენდაციები:

დაფის გააქტიურების დ ახალი ინფორმაციის უკეთ დამახსოვრების მიზნით, რეკომენდებულია კვირის დღეების სახელწოდებების დაფაზე ჩამოწერა მასწავლებლის მიერ.

თემა №30: „სახალისო ლექსები“ (2 სთ.)
გაკვეთილები №19, 20

მიზანი:

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- მცირე ზომის ლექსების წაკითხვა;
- სათაურიდან გამომდინარე, ტექსტების შინაარსის გაგება და განწყობის დაფიქსირება;
- სამეტყველო აქტივობაში ადეკვატური ჩართვა და მართლმეტყველების ნორმების დაცვა;
- ენობრივ-კოგნიტურ სავარჯიშოს მეშვეობით მარცვალსა და სიტყვაზე მუშაობა;
- ასოს, სიტყვისა და მოკლე წინადადების გამოწერა ბადეში.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები: ქართ. დაწყ. (1) 6, 7, 9, 1, 2, 4, 13, 14.

მოსწავლემ შეძლო:

- პოეტური ტექსტების ხმამაღლა, შეცდომების გასწორებით, სათანადო პაუზებისა და ინტონაციური აქცენტებით წაკითხვა;
- ტექსტების შინაარსისა და განწყობის შემჩნევა/ამოცნობა;
- წიგნის სათანადოდ მოხმარება;
- მასწავლებლის ინსტრუქციების შესრულება და წაკითხულ ტექსტთან დაკავშირებით მასწავლებლის მარტივ კითხვებზე პასუხის გაცემა;
- წაკითხული ტექსტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა;
- წაკითხული ტექსტების განწყობის დაკავშირება სათაურთან;
- სამეტყველო აქტივობის წარმართვა მართლმეტყველების ელემენტარული წესების დაცვით;
- მარცვლებით სიტყვის შედგენა;
- ხელის სწორი მოძრაობით, პროპორციების, მიმართულებისა და სათანადო მანძილის გათვალისწინებით ასოს, სიტყვისა და წინადადების გამოწერა ბადეში.

გაკვეთილი № 19

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	მუშაობა ლექსებზე და მათი დამუშავება რვეულში	„სახალისო ლექ-სები“გვ. 13, წერითი სავ. №1, გვ.31	მოსწ.წიგნი, მოსწ. რვეული	ინდივიდუალური, საკლასო
2	სასაუბრო	რატომ არის ეს ლექსები სახალისო?	მოსწ. წიგნი	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო **გ**	„ქამაბუკი“	კომპიუტერი, ბმული buki.ge/ programs-list. html	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.31, გ, გემი	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

გაკვეთილი № 20

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგანი-ზების ფორმა
1	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.31, წინადადება	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
2	ლექსების წაკითხვა და ნახატთან მიმართება	„სახალისო ლექსები“, ნახატი, გვ. 13,	მოსწ.წიგნი	საკლასო
3	ცხოველების ნახატების განხილვა	ნახატები, გვ. 13	მოსწ. წიგნი	საკლასო ინდივიდუალური

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ სამეტყველო აქტივობის წარმართვის დროს, მასწავლებელმა სათანადო კითხვებით პროვოცირება გაუკეთოს მოსწავლის მიერ წაკითხული ტექსტების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების დაფიქსირება/გამოხატვას.

თემა №31: „მოგზაური“ (2 სთ.)

გაკვეთილები № 21, 22

მიზნები:

- მარტივი საბავშვო მოთხრობის წაკითხვა და შინაარსის გაგება;
- ტექსტის დეტალურ-შინაარსობრივი დამუშავება;
- აზროვნების გააქტიურება კოგნიტური სავარჯიშოების მეშვეობით;
- ასოს, სიტყვისა და წინადადების გამოწერა ბადეში.

შედეგები, შეფასების ინდიკატორები: ქართ. დაწყ. (1) 6, 7, 9, 12, 10, 13, 14.

მოსწავლემ შეძლო:

- მარტივი საბავშვო მოთხრობის ხმამაღლა, შესაბამისი ინტონაციებით, პაუზებით, შეცდომების გასწორებით წაკითხვა და წინადადებების საზღვრების დადგენა კითხვის პროცესში;
- სხვის მიერ დაწყებული კითხვის გაგრძელება;
- ტექსტში მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით მითითებული პასაჟების ამოკითხვა;
- მასწავლებლის კითხვებზე ადეკვატური პასუხების მოძებნა ტექსტში;
- წიგნისა და სამუშაო რვეულის სათანადო გამოყენება;
- საგნებისა და მათი მახასიათებლების/თვისებების გამომსახველი სიტყვების ადეკვატური შერჩევა;
- ხელის სწორი მოძრაობით, შესაბამისი მიმართულების, პროპორციებისა და დისტანციის დაცვით ასოს, სიტყვისა და წინადადების გამოწერა ბადეში.

გაკვეთილების სტრუქტურა:
გაკვეთილი № 21

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	ნახატების დამუშავება და ტექ-ტის წაკითხვა	„მოგზაური“	მოსწ.წიგნი, გვ.14	ინდივიდუალური, საკლასო
2	სასაუბრო და წერითი სავარჯიშო	როგორი ბიჭია ზურიკო? წერითი სავ. № 1	მოსწ. წიგნი,გვ.14, მოსწ. რვეული, გვ.32	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო ძ	„ქამაბუკი“	კომპიუტერი, ბმული buki.ge/ programs-list. html	ინდივიდუალური
4	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.32, ძ, ძიძა	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

გაკვეთილი № 22

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.32, წინადადება	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
2	გამოკრებითი კითხვა	მოძრბნე და წაიკითხე	მოსწ.წიგნი	ინდივიდუალური
3	წერითი სავარჯიშო	№ 3, გვ.32, წინადადება	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

თემა №32: „კატო ავად გახდა“ (3სთ.)

გაკვეთილი №23

მიზნები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტივი ტექსტის წაკითხვა;
- ტექსტის შინაარსის გაგება;
- ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან და მათი დეტალური აღწერა;
- ილუსტრაციებს შორის ლოგიკურ-თანმიმდევრული ხაზის გამოკვეთა და მოცემული ამბის სიუჟეტის გადმოცემისას სამეტყველო აქტივობის წარმოება;
- ილუსტრაციების მეშვეობით გადმოცემული ამბის ტექსტის მეშვეობით ამოკითხვა და კოგნიტური ამოცანის გადაჭრა.

შედეგები: ქართ. დაწყ. (1) 6, 7, 8, 1, 2, 3, 4, 5.

მოსწავლემ შეძლო:

- ხმამაღლა, მთლიანი სიტყვებით მარტივი, მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა;
- ილუსტრაციის დაკავშირება წაკითხულ ტექსტთან;
- პაუზებისა და ინტონაციების დაცვა;
- წიგნის სწორად და სათანადო დისტანციაზე დადება;
- განარჩია ტექსტის სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილები;
- შეძლო მასწავლებლის მარტივი ზეპირი ინსტრუქციების შესრულება;
- წაკითხულისა და ილუსტრაციების მიხედვით ამბის კონსტრუირება და გადმოცემა;
- ილუსტრაციების დეტალების და ფაქტების თანმიმდევრული აღწერა;
- მეტყველების დროს სიტყვების, ბგერების, პაუზებისა და ინტონაციების ადეკვატურად გამოკვეთა.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
1	თემის გაცნობა, მოტივაციის ამაღლება, ტექსტის წაკითხვა	თემის სათაური, „კატო ავად გახდა“	10	მოსწ. წიგნი; დაფა	საკლასო
2	ნახატების მიხედვით ამბის თანმიმდევრული გადმოცემა	ილუსტრაციები	10	მოსწ.წიგნი	ინდივიდუალური
3	გავიხსენოთ ასო **შ**	„ქამაბუკი“	5	კომპიუტერი, ბმული buki.ge/ programs-list.html	ინდ./საკლასო
4	წერითი სავარჯიშო	№3, გვ.33, შ, შოშია	10	სამუშაო რვეული	ინდივიდუალური

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია ილუსტრაციების მიხედვით ამბის თანმიმდევრული გადმოცემის სამუშაოს ჯგუფებში ან წყვილებში ჩატარება.

2. ილუსტრაციების მიხედვით ამბის შექმნის დროს რეკომენდებულია, რომ მასწავლებლის კითხვები განსაკუთრებით იყოს მიმართული ნახატების დეტალების შემჩნევა/დაფიქსირებასა და თანმიმდევრობაზე: თავიდან რა ხატა, მერ რა მოხდა, ბოლოს როგორ დამთავრდა?

გაკვეთილები № 24, 25

მიზნები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მარტივი ტექსტის წაკითხვა;
- ტექსტის შინაარსის გაგება და წაკითხულის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემა საკუთარი ნახატების მეშვეობით;
- ტექსტის დაკავშირება ილუსტრაციებთან და მათი დეტალური აღწერა;
- ილუსტრაციებს შორის ლოგიკურ-თანმიმდევრული ხაზის გამოკვეთა და მოცემული ამბის სიუჟეტის გადმოცემისას სამეტყველო აქტივობის წარმოება;
- ასოს, სიტყვის, წინადადების გამოწერა ბადეში.

შედეგები: ქართ. დაწყ. (1) 6, 7, 8, 2, 4, 5, 13, 14.

მოსწავლემ შეძლო:

- ხმამაღლა, მარტივი, მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა;
- ილუსტრაციების დაკავშირება ტექსტთან;
- პაუზებისა და ინტონაციების დაცვა;
- წიგნის სწორად და სათანადო დისტანციაზე დადება;
- ტექსტის სიტყვიერი და არასიტყვიერი ნაწილების გარჩევა;
- წაკითხულისა და ილუსტრაციების მიხედვით ამბის კონსტრუირება და გადმოცემა;
- ილუსტრაციების დეტალებისა და ფაქტების თანმიმდევრული აღწერა;
- მეტყველების დროს სიტყვების, ბგერების, პაუზებისა და ინტონაციების ადეკვატური გამოკვეთა;
- ტექსტის თითოეული ეპიზოდის შესატყვისი ილუსტრაციის შექმნა;
- ხელის სწორი მოძრაობით ასოს მიმართულებისა და პროპორციის დაცვით გამოწერა;
- ასოებს შორის მანძილის დაცვა;
- მოცემული ასოებით სიტყვებისა და წინადადების ბადეში გამოწერა.

გაკვეთილის სტრუქტურა:

№	აქტივობები	მასალა	დრო	რესურსი	აქტივობის ორგანიზების ფორმა
		გაკვეთილი №24			
1	ტექსტის წაკითხვა	„კატო ავად გახდა“	15	მოსწ.წიგნი	ინდივიდ.
2	წერითი სავარჯიშო	№2, გვ.33	5	მოსწავლის რვეული	ინდივიდ.

გაკვეთილი № 118

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ფორმა
1	ტექსტის წაკითხვა	იაკობის სტუმარი, გვ. 64	მოსწავლის წიგნი	ინდივიდ.
2	ტექსტის დამუშავება კითხვებით	გვ.64	მოსწავლის წიგნი	
3	წერითი სავარჯიშო	№ 1, გვ. 87	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური

გაკვეთილი №119

№	აქტივობები	მასალა	რესურსი	აქტივობის ორგა-ნიზების ფორმა
1	საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა	იაკობ გოგებაშვილი, გვ. 65	მოსწავლის წიგნი	ინდივიდ.
2	წერითი სავარჯიშო	№ 2, გვ. 87	მოსწ. რვეული	ინდივიდუალური
3	კითხვები	უპასუხე შეკითხვებს, გვ. 65	მოსწ. წიგნი	ინდივიდ. საკ-ლასო
4	სასაუბრო	იაკობ გოგებაშვილის რომელი მოთხრობა მოგეწონათ? გვ.65	მოსწ. წიგნი	საკლასო

5. დაწყებითი საფეხურის სასწავლო ამოცანებისა და პრინციპების შესახებ

სწავლა-სწავლება, უპირველეს ყოვლისა, დადებით დამოკიდებულებას უნდა უყალიბებდეს მოსწავ-ლეს, უნდა ემსახურებოდეს მის მრავალმხრივ განვითარებას, ხელს უწყობდეს წიგნიერების განვითარებას. ხოლო თუ გავიხსენებთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპებს, სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავ-ლა). ერთი სიტყვით, ეს სხვა არაფერია, თუ არა სწალების კონსტრუქტივისტული მეთოდების, გამჭოლი კომპეტენციებისა და მეტაკოგნიციის (სწავლის სწავლა) გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში.

5.1 გამჭოლი კომპეტენციები

წიგნიერება. წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღების უნარი.

მედიაწიგნიერება. ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა – ტექსტმა, რომლიც ერთდროულად იყენებს ენობრივ, ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს. მოსწავლემ უნდა შეძლოს მრავალგვარი ფორმის მულტიმედიატექსტების აღქმა-გააზრება, ინტერპრე-ტირება, გამოყენება და შექმნა.

ციფრული წიგნიერება იგივეა, რაც კომპიუტერული წიგნიერება. იგი ამჟამად მოიცავს ქსელური ძიების, ტექსტების ელექტრონული დამუშავების უნარს. ტექსტური შეტყობინების პროგრამების გამოყენების უნარსაც ციფრული წიგნიერება ეწოდება.

რაოდენობრივი წიგნიერება. რაოდენობრივი წიგნიერება არის რაოდენობებით ოპერირების უნარი, რაც რიცხვებს შორის მიმართებების გაგებას, რაოდენობათა შედარებასაც გულისხმობს.

ეკოლოგიური წიგნიერება. ეკოლოგიური წიგნიერება გულისხმობს გარემოსადმი ადამიანის ჯანსაღი დამოკიდებულებისა და პირადი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას.

მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია. მრავალენობრივი კომპეტენცია არის ადამიანის უნარი, დაეუფლოს ენას/ენებს და გამოიყენოს ეს ცოდნა.

სემიოტიკური კომპეტენცია. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალური და არავერბალური (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატის, მელოდიისა და სხვ.) საშუალებით გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტირების, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორ-მაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, შემწყნარებლობა, სხვათა უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება და სხვ.

გამჭოლი კომპეტენციების მთავარი აზრი ის არის, რომ ეს არ არის ერთი რომელიმე საგნის ამოცანა, ამიტომ გამჭოლი კომპეტენციების დაუფლება ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, მას არ უნდა უფრთხო-დეს მასწავლებელი. თუმცა დაწყებით საფეხურზე ყველა ასპექტის თანაბარი სიხშირითა და სიძლიერით გამოყენება ვერ მოხერხდება.

ჩვენთვის გამჭოლ კომპეტენციათა შორის მნიშვნელოვანია წიგნიერება. რაც უფრო ხშირად მივცემთ მოსწავლეს შეფასების, შეჯამების, დამოუკიდებლად აზრის გამოთქმის, წიგნიერების სხვადასხვა კონ-ტექსტში და სხვადასხვა რაკურსით გამოყენების, საკუთარი გამოცდილების ახალ იდეებზე მორგების საშუალებას, მით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ. ჩვენ მიერ შედგენილ სახელმძღვნელოში ამის საშუალებას იძლევა რუბრიკები: „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“, „სასაუბრო“, „დახატე“, სხვადასხვა რჩევა-დარიგება (მაგ., „როგორ უნდა მოიქცე, თუ დაიკარგე“, „როგორ უნდა მოექცე მეგობარს“ და სხვ.).

განსაკუთრებით საინტერესოა დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაწიგნიერება. ერთდროულად ენო-ბრივი, ხმოვანი და ვიზუალური მხარეების გამოყენება ძალიან აადვილებს ბავშვისათვის სასწავლო ამოცანის წვდომას.

რაოდენობრივი წიგნიერება ალბათ მოგვიანებით შემოვა, მინი კვლევის, სტატისტიკური გათვლების სახით. მანამდე კი, იმასაც შეიძლება დავჯერდეთ, რომ მოსწავლეებს ხშირად მოუწევთ თვლა, რამდენი ხმოვანი და თანხმოვანია სიტყვაში, რამდენი მარცვალია სიტყვაში, რამდენჯერ მეორდება სიტყვა, მერამ-დენე გვერდზე უნდა გადაშალოს წიგნი ან რვეული, რამდენი ასო ან სიტყვა უნდა გამოწეროს და ა.შ.

სემიოტიკური კომპეტენცია დაწყებით კლასებში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება. ასე მაგალითად, ჩვენს საანბანო სახელმძღვანელოში ნახატს მრავალგვარი ფუნქცია აქვს. ესენია: სურათის აღწერა, ნახატზე არსებული საგნების კლასიფიკაცია, დახატული საგნების მწკრივიდან ზედმეტის გამორიცხვა, ნახატის მიხედვით ამბის შედგენა, ნახატების დალაგება ამბის თანმიმდევრობის აღდგენით, ნახატებზე გამოსახ-ული პერსონაჟების ქცევის შეფასება. სახელმძღვანელოში არის ტექსტების ილუსტრაციები, რომლებიც მოსწავლემ ტექსტის შინაარსს უნდა დაუკავშიროს. სახელძღვანელოში მოცემულია აგრეთვე სასწავლო ტექსტთან მიმართებაში მოსწავლის მიერ ნახატის შექმნის დავალებები (რუბრიკა „დახატე“). ასევე კარგი იქნება, თუ მოსწავლეებს მოვასმენინებთ შესწავლილ ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, სადღესასწაულო სიმღერებს და ისინი გამოხატავენ თავიანთ განწყობას, დახატავენ ნახატებს.

რაც შეეხება ციფრულ ანუ კომპიუტერულ წიგნიერებას, ეს ამ თაობის პრიორიტეტია, ამიტომ მას-წავლებელმა, თუ ამის საშუალება არსებობს, აქტიურად უნდა გამოიყენოს იგი, მასალის მოძიებისათვის, თვალსაჩინოების მოპოვებისათვის და ა.შ.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციისათვის, სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელია ისეთი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, როგორებიცაა კონსტრუქციული თანამშრომლობა, პრობლემების მოგვარება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება. საამისოდ სახელმძღვანელოში შესულია მასალა ტექსტებისა და აქტივობების სახით: სხვადასხვა დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ტექსტები („დაბადების დღე“, „ახალი წელი“, „დედის დღე“), ქცე-

ვის წესებისადმი მიძღვნილი ტექსტები („პირველად თეატრში“, „ქუჩაში მოძრაობის წესები“, „როგორ უნდა მოიქცე, თუ დაიკარგე“), პრობლემების მოგვარებისა და კონსტრუქციული თანამშრომლობისადმი მიძღვნილი ტექსტები („ახალი მეგობარი“, „მეგობრობა“, „როგორ უნდა მოექცე მეგობარს“, „ხატვის გაკვეთილზე“, „სიტყვის ძალა“). სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის შემუშავების მიზნით დაწყებით საფეხურზე მიზანშეწონილია ჯგუფური სამუშაოების ორგანიზება და მოსწავლეების ჩართვა წესების შეუშავებასა და დაცვაში. სახელმძღვანელოში ამ მიზანს ემსახურება მიზნობრივი თამაშები და რუბრიკა „ვთამაშობთ და ვსწავლობთ“.

სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის განვითარება არა მარტო საგაკვეთილო პროცესის პრიორიტეტი უნდა იყოს, არამედ საერთოდ, აღმზრდელობითი პროცესისა. საგაკვეთილო პროცესში სამოქალაქო თემატიკა უნდა იქცეს, ერთი მხრივ, მასალასთან მიმართებაში მსჯელობის საგნად, მეორე მხრივ იგი უნდა ვაქციოთ სასკოლო ცხოვრების წესად. მუშაობა ამ მიმართულებით უნდა დავიწყოთ ბავშვის სკოლაში მოსვლის დღიდანვე.

5.2. მეტაკოგნიცია

მეტაკოგნიცია ანუ სწავლის სწავლა არის სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის უნარი, სწავლის სტრატეგიების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. ეს მეტაკოგნიციის პროცესის პედაგოგიური ხედვაა.

მაინც რა არის მეტაკოგნიცია? მეტაკოგნიცია საკუთარი შემეცნების (უფრო ფართოდ კი საკუთარი ფსიქიკური პროცესების) შემეცნების საგნად (ობიექტად) გადაქცევაა. პედაგოგიური თვალთახედვით ეს ნიშნავს მოსწავლის მიერ სწავლის ქცევის შემეცნებითი დაკვირვების საგნად, ობიექტად გადაქცევას. საამისოდ, პირველ რიგში, საჭიროა მოსწავლემ დასვას შემდეგი კითხვები: რა გავაკეთე და როგორ? რას ვაკეთებ და როგორ? რას გავაკეთებ და როგორ?

პირველ კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეს დასჭირდება, დააკვირდეს უკვე შესრულებულ სასწავლო აქტივობას, მაგალითად, კრიტიკული დაკვირვების ობიექტად აქციოს უკვე შესრულებული სავარჯიშო: სწორად შეასრულა თუ არა იგი, რა შეცდომები დაუშვა და რატომ. შემდეგ კი საჭირო ა დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება (ვთქვათ, „მე დავუშვი ასეთი და ასეთი შეცდომები, რადგან ...). დაკვირვების შედეგის ვერბალური განზოგადება სასწავლო ქცევის ობიექტივაციის აუცილებელი ეტაპია.

კითხვაზე – რას ვაკეთებ და როგორ? პასუხი ფაქტობრივად ნიშნავს იმას, თუ როგორ იყენებს მოსწავლე წინარე გამოცდილებას, გამოაქვს თუ არა სწორი დასკვნები უკვე მიღებული გამოცდილებიდან. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეტაკოგნიციის საკმარისი დონე. მთლიანი მეტაკოგნიტური ციკლის დასრულებისათვის საჭიროა პასუხი ბოლო კითხვაზე – რას გავაკეთებ და როგორ? ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდგომი სასწავლო ქცევის წინასწარი განჭვრეტა – ანიციპაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლე უკვე მიღებული და განზოგადებული გამოცდილების საფუძველზე, დაგეგმავს შემდგომ სასწავლო ქცევას.

როგორც ვხედავთ, სწავლების სწავლა საკმაოდ რთული ფსიქიკური აქტივობაა. მასში ჩართულია სხვადასხვა შემეცნებითი პროცესი, როგორიცაა დაკვირვება, უშუალო ან ხანგრძლივი მეხსიერება (შესრულებული სამუშაოს გასახსენებლად), კრიტიკული აზროვნება (შეცდომებისა და მათი გამომწვევი მიზეზების აღმოჩენისათვის), ლოგიკური აზროვნება (შედეგების განზოგადებისათვის). საჭიროა აგრეთვე ყურადღების კონცენტრაციისა და ნებელობითი ქცევის განხორციელების უნარები.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ინტელექტის განვითარების კონკრეტული ოპერაციების სტადიაზე იმყოფებიან. ინტელექტის განვითარების ეს დონე ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სრულფასოვანი მეტაკოგნიტური აქტივობის განხორციელებას. ეს შესაძლებლობა მოსწავლეს გაუჩნდება ინტელექტის განვითარების შემდეგ სტადიაზე – ლოგიკური ოპერაციების სტადიაზე (12 წლის ასაკიდან). მაგრამ მეტაკოგნიციის განვითარების თვითდინებაზე მიშვება დიდი პედაგოგიური და მეთოდური შეცდომა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ დაწყებით სკოლას აქვს კარგი საშუალებები ამ პროცესების მართვისათვის, კონკრეტული სასწავლო საგნების შინაარსისა და ზოგადად, სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სახით.

სწავლის უნარს მინიმალურ დონეზე გამოცდილება აყალიბებს. სკოლაში ამ უნარის გამოყენება სისტემატურ და სისტემურ სახეს უნდა იღებდეს. მეტაკოგნიციის გარეშე ვერ განხორციელდება ხარისხიანი სწავლა-სწავლება. ამას კი საფუძველი დაწყებით კლასებში უნდა ჩაეყაროს.

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს ჩვენგან არ ესწავლებათ, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული პირველი კლასის მართვა. სკოლაში მოსულ ბავშვს, საუკეთესო შემთხვევაში, უხარია, რომ მოსწავლე გახდა, მაგრამ ბავშვმა ხომ ჯერ საერთოდ არ იცის, რას ავალებს მას ეს ახალი სოციალური სტატუსი! პირველი კლასის მოსწავლეებს მასწავლებელმა უნდა გააცნოს ყოველივე ის, რაც სწავლის ქცევასთანაა დაკავშირებული და სკოლაში ახალმოსული ბავშვისათვის თავისთავად ცხადი და გაგასაგები სრულიადაც არ არის. მაგალითად: საჭიროა სასკოლო ნივთების მოვლა და მოწესრიგება, მასწავლებლისა და თანაკლასელების მოსმენა, დავალებების შესრულება, საკუთარი აზრის გამოსათქმელად ხელის აწევა და არა ადგილიდან წამოძახება და სხვ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ეტაპზე მეტაკოგნიციაზე საუბარი გადაჭარბებულია, მაგრამ უკვე ის ცვლილებები და ძალისხმევა ბავშვის ცხოვრებაში, რაც მოსწავლის როლის გათავისებას სჭირდება, არის პირველი მცირე საძირკველი შემდგომი მეტაკოგნიტური ამოცანების გადაჭრისათვის. გარდა ამისა, მასწავლებელმა ნათელი და ცხადი ინსტრუქციებით უნდა დაასტრუქტუროს გაკვეთილი, გარკვევით აუხსნას მოსწავლეებს, თუ რისი შესრულება ევალებათ; როგორ უნდა შეასრულონ ესა თუ ის სავარჯიშო; მოგვიანებით მისცეს მოსწავლეებს საშუალება, თავად ახსნან, როგორ იმუშავებენ ამა თუ იმ სავარჯიშოზე; ასევე მასწავლებელი დაუგეგმავს მოსწავლეებს, თუ როგორ გაასწორონ საკუთარი ნაწერი და საამისოდ გამოიყენებს დაფაზე მოცემულ მოდელს; შემდგომში მოსწავლემ უნდა შეძლოს საკუთარი ნაწერის გასწორება ზეპირი განხილვის საფუძველზე.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, საკუთარი სამუშაოს თანმიმდევრობის განხილვა: ჯერ ეს საქმე კეთდება, მერე — ეს და ბოლოს – ეს. საჭიროა ჩატარებული სამუშაოს შეფასება. დავიწყოთ ჯგუფური მუშაობის შეფასებით, თუ რატომ იყო ჯგუფი წარმატებული ან წარუმატებელი. კარგია შეფასების ბარათების გამოყენებაც. კარგად დაგეგმილი განმავითარებელი შეფასებაც მოსწავლეს გააცნობიერებინებს, რატომ დაუშვა შეცდომა და როგორ გამოასწოროს იგი.

5.3. სწავლება-სწავლის კოგნიტური სქემები

სწავლების დაწყებით საფეხურზე საინტერესო აქტივობები შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა ვერბალური თუ არავერბალური საშუალებით (სქემები, დიაგრამები და სხვ.) გააზრების, განცდის და გამოხატვის უნარის განვითარების მიზნით. მათ შორისაა კოგნიტური ცხრილები და დიაგრამები. ცნობილია, რომ გრაფიკული მაორგანიზებელის გამოყენება ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ზოგ შემთხვევაში ცხრილი კონკრეტული ამოცანისათვისაა შექმნილი, თუმცა არის ყველასათვის ცნობილი ვენის დიაგრამა, T დიაგრამა და ცხრილი „1, 2, 3“. ისინი საკმაოდ აქტიურად გამოიყენება ქართული ენის სწავლებაში.

სწავლება-სწავლის სხვადასხვა კოგნიტური სქემის გამოყენება სრულფასოვნად მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც მოსწავლეები კარგად დაეუფლებიან წერა-კითხვას. მანამდე კი მასწავლებელი თავად დახაზავს დაფაზე T-დიაგრამასა თუ ვენის დიაგრამას, ხოლო მოსწავლეებს ჩართავს თემის მიხედვით საკითხის გააზრებასა და დიაგრამების შევსებაში.

ჩვენ გთავაზობთ სწვლება-სწავლის კოგნიტური სქემების გამოყენებას მეორე სემესტრიდან, კერძოდ კი შემდეგ თემებთან მიმართებაში:

T - დიაგრამა – თემა №40, „წითელი და მწვანე“, ქუჩაში მოძრაობის წესები: რა არის სწორი, რა არ არის სწორი.
თემა №43, „თხუპნია“, როგორ მოვუაროთ სასკოლო ნივთებს: რა არის მოსაწონი, რა არის დასაწუნი.

„1,2,3“ ცხრილი – თემა №56, „უშიშარი კაპიტანი“, ოკეანის ბინადარნი:
რა ვიცოდი ოკეანის ბინადრებზე;
რა გავიგე ახალი;
რისი გაგება მინდა კიდევ ოკეანის შესახებ.

თემა №60, „წელიწადის დროები“.
რა ვიცოდი წელიწადის დროების შესახებ;
რა გავიგე ახალი;
რა მინდა ვიცოდე კიდევ წელიწადის დროების შესახებ.

ვენის დიაგრამა – თემა №44, „მეგობრობა“. რა აქვთ საერთო ლიზა ბებიას და ბავშვებს?
რით განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

6. ინკლუზიური განათლების შესახებ

თანამედროვე საზოგადოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ავლენს სსსმ მოსწავლეების მიმართ, ამიტომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალური მატერიალური თუ საგანმანათლებლო სტანდარტები, რომლის დაცვაც ევალება სკოლას. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სპეციალური საჭიროების განსაზღვრის საქმეში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი: მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სპეცმასწავლებელი. პირველ რიგში, კვალიფიციური დიაგნოსტიკის მეშვეობით განისაზღვრება, რა კონკრეტულ საჭიროებასთან გვაქვს საქმე. ამის შესახებ ვრცლადაა საუბარი ესგ-ს VIII თავში. არსებობს შესანიშნავი სახელმძღვანელოები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ცხრილები. ყოველ სსსმ მოსწავლეს თავისი შესაფერისი ისგ სჭირდება. ამჯერად ჩვენ ინკლუზიური განათლებისადმი მიდგომის მთავარ პრინციპებს ჩამოვაყალიბებთ:

1. სსსმ მოსწავლე უნდა იყოს სასწავლო პროცესში ჩართული;
2. კომფორტულად გრძნობდეს სოციალურ გარემოში თავს და გრძნობდეს კლასელებისა და პედაგოგების მზრუნველობას;
3. სსსმ მოსწავლე მხოლოდ სპეცმასწავლებელთან არ უნდა მუშაობდეს;
4. ისგ ისე უნდა შედგეს, რომ იგი უკავშირდებოდეს საგაკვეთილო პროცესს;
5. მასწავლებელი თემატურად უნდა გეგმავდეს, როგორ გაუმარტივოს სსსმ მოსწავლეს სამუშაო ან რით ჩაანაცვლოს იგი;
6. სსსმ მოსწავლე შეძლებისდაგვარად ჩართული უნდა იყოს კლასგარეშე ღონისძიებებში;
7. სსსმ მოსწავლე უნდა მონაწილეობდეს ჯგუფურ მუშაობაში და ასრულებდეს მისთვის დაძლევად დავალებებს და სხვ.

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობელი ხედავს და აღიარებს ბავშვის პრობლემებსა და საჭიროებებს, როდესაც იგი თანამშრომლობს სკოლასთან, გონივრული შედეგიც სახეზე იქნება. თუმცა ყოველთვის ასე არ ხდება. კლასში ზოგჯერ გვეყოლება არაღიარებული სსსმ მოსწავლე, ან, უბრალოდ, სწავლის სიძნელეების მქონე ბავშვი. მასწავლებელს არ აქვს უფლება მშობლის თანხმობის, სპეციალური დასკვნის გარეშე, რომელიმე მოსწავლე აღიაროს ინკლუზიურად, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესის მიღმა დავტოვოთ. რადგან ეს გამოიწვევს მოსწავლის უფრო მეტ ჩამორჩენასა და იზოლირებას. როგორც ვიცით, I-IV კლასებში შეფასება მხოლოდ განმავითარებელია. ამიტომ მასწავლებელმა უნდა სტანდარტის მოთხოვნების მინიმუმის გათვალისწინებით, გონივრულ ფარგლებში, გაუმარტივოს მოსწავლეს პროგრამა და არ დატოვოს საგაკვეთილო პროცესის მიღმა. მის მიმართაც დაიცვას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები, იყოს ობიექტური, მშობელს ხშირად მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლის ძლიერი მხარეების შესახებ, რა დაძლია და რისი დაძლევა გაუჭირდა, მისცეს რეკომენდაციები, შეფასებისას იყოს ჰუმანური, მოზომილი, მაგრამ ობიექტური. შესაძლოა ამგვარმა დამოკიდებულებამ მშობელი განაწყოს თანამშრომლობისაკენ. ეს არ იქნება იმ ტიპის პროგრამა, რასაც სსსმ მოსწავლეს უდგენენ, მაგრამ ეს იქნება დიფერენცირებული მიდგომა მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

ჩვენი სასწავლო საგნიდან (ქართული ენა) გამომდინარე, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რაც მოსწავლეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესში შეიძლება გაუჩნდეს.

ზოგადად, წერა-კითხვის დაუფლების სერიოზულ და მნიშვნელოვან დარღვევაზე მაშინ შეიძლება საუბარი, თუ მოსწავლე კლასის დონეს ორი სასწავლო წლით ჩამორჩება. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა საქმე გვქონდეს ან მნიშვნელოვან გონებრივ ჩამოჩენასთან ან ისეთ დარღვევასთან, როგორიცაა დისლექსია. დისლექსია ნაწერ ნიშანთა სისტემის კოდირება-დეკოდირების უუნარობაა.(იგივე პრობლემა გამოჩნდება ხოლმე რაოდენობრივ ცნობიერებაშიც, დისკალკულიის სახით.) დღესდღეობით მისი გამომწვევი მიზეზები ბოლომდე დადგენილი არ არის.

ხშირად წერა-კითხვის დაუფლების პრობლემები ზედაპირზე დევს და ადვილად შესამჩნევია. ასეთი პრობლემების „დადებითი მხარე“ ის არის, რომ ისინი, დროული და სწორი ჩარევის მეშვეობით, ადვილად

დაძლევადია.

პირველი, რაც წერა-კითხვის ათვისების შეფერხების შემთხვევაში უნდა გავაკეთოთ, ბავშვს საფუძვლიანად უნდა შევუმოწმოთ მხედველობა და სმენა. მხედველობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა შორსმხედველობა, ახლომხედველობა, სიელმე, ასტიგმატიზმი, თვალის კუნთის მოდუნება და სხვ., მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს წერა-კითხვის პროცესებზე. რაც შეეხება სმენას, სმენის დაქვეითებამ შეიძლება გამოიწვიოს ფონოლოგიური ცნობიერების შეფერხება; ხოლო ფონოლოგიური ცნობიერება წერა-კითხვის ათვისების საფუძველია.

მეორე და მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც ადვილად განხორციელებადია: არ დავაძალოთ ცაცია ბავშვებს მარჯვენა ხელით მუშაობა! ჩვეულებრივ, დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობისათვის წამყვანი ხელია მარჯვენა. ასეთი ადამიანების ტვინი გარემოდან მიღებულ აღქმით ინფომციას (მხედველობით, სმენით, შეხებით და სხვ.) მარცხენა ჰემისფეროს მეშვეობით გადაამუშავებს. ცაციების ცენტრალური ნერვული სისტემის თავისებურება კი ის არის, რომ გარემოდან მიღებული აღქმითი ინფორმაციის გადამუშავება მათი ტვინის მარჯვენა ჰემისფეროთი ხდება. ჩვენ რომ ცაციებს მარჯვენა ხელით აქტივობა დავაძალოთ, შემეცნებით დისონანსში ჩავაგდებთ მათ. ეს მაშინვე აისახება წერისა და კითხვის ათვისებაზე, მთლიანად ბავშვის ქცევაზე.

არსებობს წერა-კითხვის ისეთი შეცდომები, რომლებსაც სწავლა-სწავლების დაწყებით საფეხურზე ხშირად ვხვდებით და, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზევით, ადვილად ექვემდებარება გამოსწორებას. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი და შევეხოთ მათი გამოსწორების გზებსაც.

ყველაზე გავრცელებულია ე.წ. **პედაგოგიური მიშვებულობა**. ამის მიზეზი ის არის, რომ მოსწავლეს ეზარება კითხვა, არ ერთვება აქტიურად გაკვეთილის მსვლელობაში. შესაძლოა მასწავლებელმა და მშობელმა ეს გვიან შეამჩნიონ და პრობლემა გაღრმავდეს.

ამ პრობლემის თავი და თავი მოტივაციის უქონლობაა – ბავშვი პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში კარგავს კითხვისა და წერის მოტივაციას. ასეთი პრობლემის დაძლევის კარგი საშუალებაა პატარა, ადვილი ტექსტების განმეორებითი კითხვა. მაგრამ განმეორებითი კითხვა უნდა გავაძლიეროთ დამატებითი მოტივით. ამის საუკეთესო საშუალებაა წამზომით დროის მონიშვნით კითხვა. ტექსტის ყოველი შემდეგი წაკითხვა წინაზე უფრო სწრაფად მოხდება. ბავშვიც ჩართული იქნება საკუთარ თავთან ამ ერთგვარ შეჯიბრში (მიაქციეთ ყურადღება, ხომ არ დაიზეპირა ბავშვმა ტექსტი!).

ფონოლოგიური ცნობიერების განუვითარებლობა. ჩვეულებრივ, 6 წლის ასაკისათვის ბავშვების უმრავლესობას შეუძლია გაბმული მეტყველებიდან ცალკეული ბგერების გამოყოფა.წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლე ვერ შეძლებს კონკრეტულ ბგერას კონკრეტული გრაფიკული ხატი – ასო დაუკავშიროს. არის შემთხვევები, როდესაც ამ უნარის ჩამოყალიბება ფერხდება და ბავშვს სპეციალური დახმარება სჭირდება. ჩვენ გთავაზობთ მთელ რიგ ფონეტიკურ ვარჯიშებს, რაც წერა-კითხვის სწავლების ჩვენი მეთოდით არის გათვალისწინებული და ამგვარ პრობლემას თავიდან აგვაცილებს. ეს ვარჯიშები შედის პირველი კლასის მასწავლებლის სახელმძღვანელოში. ესენია: ფონეტიკური წყვილების შედარება-განსხვავება, ერთ ბგერაზე დაწყებული სიტყვების დასახელება, ბგერებად დაშლილი სიტყვების გამთლიანება. ამას შეიძლება დავუმატოთ სიტყვების ბგერებად დაშლის ამოცანაც.

ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება შეიძლება შეფერხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბავშვს მეტყველების სპეციფიკური პრობლემები აქვს. აქ საქმეში ლოგოპედი უნდა ჩავრთოთ.

ჩვენ გავითვალისწინეთ აგრეთვე ისეთი ტიპური შეცდომები, როგორიცაა სიტყვის გამთლიანებით ამოკითხვის პრობლემა, სარკისებრი ასოების აღრევა და ბადეში ასოების არასწორად ჩაწერა (გამომწვევი მიზეზი – ჩამოუყალიბებელი სივრცითი მიმართებები), გამოცნობით კითხვა (გამომწვევი მიზეზი – კითხვაში გაუმართლებელი აჩქარება), კითხვისას ასოების გამოტოვება (მიზეზი – თვალის არათანმიმდევრული მოძრაობა) და სხვ.

ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, პირველი და მეორე კლასის მოსწავლის სამუშაო რვეულებში შეტანილია სპეციალური სავარჯიშოები.

წერა-კითხვის სწავლება-სწავლის სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეები მეოთხე კლასის დასასრულისათვის კითხულობენ და წერენ გამართულად და თავისუფლად იყენებენ ამ უნარებს სხვა სასკოლო საგნების დასაუფლებლად.